

დალი მამიშვილი



ივანესი  
უაბსესი  
თაბესი

დალი მაზმიშვილი

იმედით  
ძღუეული  
ყიმედობა

თბილისი  
2016

# იმედით ქლავული უიგედოზა

დელი მდზმდშვილი

რედდქტორი დდვიტ სდნდოძე

კორექტორი სდლომე კვდჭდნტირდძე

დდმკდბდონებელი ნუგზდრ დრჩემდშვილი

მხდტვდრი: ხდთუნდ მდხდთდძე

ფოტოები: იდ თინიკდშვილი

ჯემდლ კდსრდძე



ნიგნი გდმოიცდ თბილისის მერიის კულტურული  
ლონისძიებების ცენტრის, თბილისის  
მუნიციპდლიტეტის სდკრებულოსდ დდ ქდლბდტონ  
გულიკო ზუმბდძის მხდრდჭერით

© დელი მდზმდშვილი

ISBN 978-9941-0-6402-9

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ქვეყნისა და ხალხის ტრაგედიას მთელი არსებით შეიგრძნობენ, და არა მარტო აღიქვამენ ქვეყნის სატკივარს, არამედ ცხოვრობენ კიდეც ასეთი ცხოვრებით. ეს ადამიანები პატრიოტები არიან და მათი ნაღვანიც პატრიოტულია, რაც ძალზედ სჭირდება დღეს საქართველოს.

ქალბატონი დალი მაზმიშვილი ერთ-ერთი ასეთთაგანია. ქართველი დედა, პედაგოგი, პოეტი ქალი, ისტორიკოსი, ფილოლოგი. მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი – „იმედით ძღვეული უიმედობა“, ისტორიულ-ლიტერატურული და ამავე დროს ფსიქოლოგიური თხზულებაა, რომელშიც საქართველოს უახლესი პერიოდის რეალური ცხოვრებაა აღწერილი; ცხოვრება, რომელიც ყველა ნამდვილ და პატიოსან ქართველს თავის თავზე გადაუტანია; ცხოვრება, რომელიც დღესაც მთელი სიცხადით დგას ჩვენს წინ და პასუხს ელოდება. ელოდება ძირეულ ცვლილებებს: ქვეყნის წინსვლას, გაერთიანებას, პოლიტიკურ-ეკონომიკური კოლაფსიდან თავის დაღწევას, ქართული გენოფონდის გამრავლებას, ქართველთა ერთიან ამალლებასა და განათლებას.

ქალბატონ დალის წიგნი თავებისაგან შედგება და თითქმის ყველა თავში ავტორი შიდა ქართლის ულამაზესი მხარის – სამაჩაბლოს მოსახლეობასთან გვაკავშირებს. გვამცნობს მათი საშინელი ცხოვრების ამსახველ სურათებს. იმ ცხოვრებისა, რომელიც ქართველმა დევნილებმა 1990-დან 2008 წლების ჩათვლით გამოიარეს. ავტორს არც აფხაზეთის თემა დაუტოვებია განუხილველი და წიგნში მას მთლიან თავს უძღვნის სათაურით – „აფხაზეთო ჩემო!“

„– რა უბედურია ადამიანი, ვისი სამშობლოც განსაცდელშია“, – აცხადებს ქალბატონი დალი და მას აქვს უფლება ამის თქმისა, რადგანაც იგი თვითონ ცხოვრობს ქართლის ძირძველ სოფელ დირბში, საიდანაც სულ რაღაც ერთი ხელის განვდენაზე, მტარვალთა მიერ ქართლის გულზე გადატარებული მავთულ-ხლართები იწყება. ავტორმა თვითონვე იცხოვრა ისეთივე ცხოვრებით, როგორიც ყველა პატიოსანმა ადამიანმა გამოიარა და ცხოვრობს დღემდე.

ქალბატონ დალი მაზმიშვილს მოუვლია ლტოლვილთა თითქმის ყველა დასახლება აღმოსავლეთ საქართველოში და წიგნში გადმოგ-

ვცემს მათ განცდებსა და გულისტკივილს. ბევრ მათგანს ცხოვრებაში გამოაცდევინა ორჯერ დევნილობაც კი და მიუხედავად ამდენი უბედურებისა ეს ადამიანები განაგრძობენ ცხოვრებას: შრომობენ, ზრდიან შვილებს, დგებიან მამულის სამსახურში, იბრძვიან და ისეც მზად არიან სამშობლოსათვის გასწირონ თავი.

ეს ღირსეული ქართველი ქალი უთანაგრძნობს ოს და აფხაზ ხალხსაც და ამხელს ნამდვილ დამნაშავეებს. ეს ნაწარმოები სიმართლეა, სიმწრით დანერილი სიმართლე. ეს წიგნი მონოდებაა ქართველი ქალისა, რომელსაც თაობები აღუზრდია ქვეყნის სასიკეთოდ და აღზრდის მომავალშიც. ეს წიგნი იმედია, იმედი ყველა ქართველი დევნილისა, რომელთაც მტკიცედ სწამთ, რომ დადგება დრო გამთლიანებისა და ერთიანობის.

„– ჩემო გულნატკენო, ჩემო ერთგულო, ჩემო გაუტყეხელო, ლამაზი ხეობის სულით ლამაზო ქართველებო, ქვეყნის სიყვარულში თქვენ ვინ შეგედრებათ, ჭირთმენაში ვინ გაგიტოლდებათ, მხნეობისა და იმედის ძიებაში ვინ არ შემოგნატრით. აუცილებლად დაბრუნდებით სამაჩაბლოში.“

„– ჩემო გონიერო ქართველებო. თქვენ ყველაზე კარგად იცით რაც დაგვემართა. გავაწლები და სიმართლე დაინერება. დღეს კი ყველას სანუხარი საერთოა. სამაჩაბლოს სოფლები ტყვეობაშია, ნასოფლარებადაა ქცეული. გულისშემძვრელია ეს ყველაფერი. მთავარი იმ გზის მოძებნაა, რომელიც გამთლიანებისკენ წაგვიყვანს, ურთიერთპატივისცემასა და უფლის სიყვარულს შეგვაძლებინებს, დასახულს მიგვალწვევინებს და იმედით აგვაგვსებს, ოცნებას შეგვისრულებს.“ – აცხადებს ავტორი და თვითონაც შეუვალად სჯერა ამისა.

ქალბატონ დალი მაზმიშვილის წიგნი – „იმედით ძლეული უიმედობა“ – სასარგებლო და საჭირო წიგნია, რომელსაც გულანთებული წაიკითხავს ნებისმიერი ასაკის ადამიანი, თუნდაც მოზარდი და მასში ისტორიულ სიმართლეს დაინახავს.

**დავით სანდოძე**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი*



## ცილან იმედი ჩამოაქვთ წვიმებს

ფერადოვანი ზაფხულის დღეები მოსდგომია ქართლის ულამაზეს მიწას. მზის ამოსვლამდე ფრინველთა საამური ჟღურტულით ივსება ბალ-ვენახები. ხშირი წვიმებისაგან მწვანედ ხასხასებს შემოგარენი. კორდისპირებს უამრავი წვრილი ყვავილი ჩაჰკვრია გულში. ნიავის ოდნავ შეხებაზეც კი ერთმანეთს ეფერებიან. კობტაობენ, თუმცა სიმწვანეში მიკარგულან. გზებზე აკაცის თეთრი და ვარდისფერი ყვავილის სურნელი იღვრება. აქ მიწის ყველა მტკაველი განუმეორებელი და მშვენიერია.

ვდგავარ საზღვართან, ტკივილით სავსეა საგულე. ვიგონებ წარსულს, გადის წლები, საუკუნეები, იგივე სატკივარი მეორდება. კვლავ იზარება ერის სიმტკიცის კედელი, რომელიც მოურჩენელ ტკივილად გვრჩება და ყოველ წუთს თავს გვახსენებს.

საზღვრის იქითა მხრიდან თითქოს მდურვით შემომყურებენ ქართველის თვალს მონატრებული ნასოფლარები, სიმართოვეში დაღლილი ბილიკები და ახოები, გაუთიბავი მინდვრები, ბალახს შერჩენილი სამკალი, დაუთესავი სავარგულები, სარეველას მინდობილი მიწა-წყალი, უმრევლოდ დარჩენილი ეკლესია-მონასტრები და მერე გოდებასავით, ოხვრასავით, მიწის გულიდან მძლავრი ამოძახილი მესმის, რომელსაც შიგნით დაგროვილი გულისტკივილი ამოაქვს. მისი ექო მთელ ხეობას სწვდება. მდუმარე სივრციდან თითქოს გუგუნად აღიქმება, მერე მაღლა-მაღლა მიიწევს და ცაზე გაკრულ ღრუბელს უერთდება, რომელიც სანვიმრადაა გამზადებული.

ეს ჩემი მინის ტკივილია, მისი კვნესაა. ეს ყველას არ ესმის, ამას გულის ყურით თუ მოისმენ, გრძნობით თუ გაითავისებ. ხან თბილი მზე ერთიანად გახვევს ნათელ სხივებში შეჭირვებულ სანახებს, წელში მოხრილ აღმართ-დაღმართებს, კაცის ნატერფალი რომ ენატრებათ. მიუალერსებს, სხივების საღბუნს დააფენს, ტკივილს შეუმსუბუქებს.

გავყურებ სივრცეს დაღონებული და უნებურად მზეს მივმართავ: „დიდო მნათობო, ვით იყო ბედნიერი უკეთუ არ გყავდე ვისაც შენ ასინათლებ!“ ეს ნიცშეა და მე ვრწმუნდები, აქ, ამ სევდიან სიცარიელეში არც მზეა ბედნიერი.

*მინდვრებზე გრილი რიჟრაჟი დნება,  
ნამიან ლერებს ბალახი მანვდის,  
მლაშე სისველის ვიგრძნობ შეხებას.  
ნამი კი არა, ცრემლია მინის.*

ჩემო გონიერო ქართველო! განგებამ გამორჩეული ერის შვილობა გვარგუნა წილად. უხსოვარი დროიდან დღემდე იოლი გზით არ გვივლია. გამოსავალი მუდამ გვიპოვია. დღეს, საკუთარ სამშობლოში, ქართველები დევნილებად ცხოვრობენ. მონატრებული მინა-წყალი კი სხვის ხელშია. მე უამრავ მათგანს შევხვდი და მოვუსმინე, ძნელია გადმოსცე ის ემოციები, რასაც ისინი განიცდიან. საოცარი გულისტკივილი და მონატრებაა მათ საუბარში. ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, სხვაგვარ ტკივილს დაატარებენ. შეუძლებელია მათი მონათხრობი სრულიად გაითავისო, რადგან ის მათია, მათ გადახდათ თავს, მათ ოჯახებს, მათ შვილებს.

ამ წიგნში მონათხრობი ყველა დევნილის გულში ჩარჩენილი ჭრილობაა, ყველა მათგანის სატკივარი ხომ საერთოცაა, რომელსაც წამალი ესაჭიროება. წამალი კი შენშია, ჩემშია,

თითოეულ ქართველშია. ჩვენს წარსულსა, აწმყოსა და მომავალშია, გადანყვეტილების სიმტკიცეშია, მოვალეობის გათავისებასა და უდიდეს ნუგეშშია.

ეს წიგნი ჩემი მინის, ჩემი ხალხის და ზოგადად ადამიანის სიყვარულმა დამანერინა. ამით ჩემეული განცდა გამოვხატე. ვფიქრობ, რალაცნაირად დახმარების ხელიც კი გავუწოდე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მოძმეს.

აფხაზეთი და სამაჩაბლო ბოლო დროის გაუნელებელი ტკივილია ჩემთვის. აფხაზეთს მხოლოდ ერთი თავი მივუძღვენი, რამდენადაც შეეძელი. ორივე კუთხე ერთნაირად სათაყვანო და მოსაფერებელია, მაგრამ აფხაზეთს მე თვითონ ვერ შევბედე. როგორ შეიძლება მისი ზღაპრული სილამაზის გარეშე დარჩეს საქართველო.

რაც შეეხება სამაჩაბლოს – ჩემი სახლია, ჩემი ეზო-კარია. აქ ბალახის თითოეული ღეროც კი ნაცნობია. თითოეული კენჭიც კი მშობლიურია, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ეს ჩემი ქართლია. რელიეფურად კი მყარად მდგარი პლანეტაზე. ხალხი გონიერი, განონასწორებული, მშრომელი, თრიალეთისა და ულამაზესი კავკასიონის მთათაშორისში ჩამჯდარი, საქართველოს მაცოცხლებელი გული.

არ ვიცი, როგორ შეეძელი იმ ტკივილის ასახვა, რაც ქართველს აწუხებს, ან დევნილი მოსახლეობის იმ მცირე ნაწილით რამდენად მიუუახლოვდი მთლიანი სათქმელის გამომხატვას. თქვენ ძალიან ბევრნი ხართ ასეთ მდგომარეობაში. ყველასთან მოსვლა მინდოდა, მსურდა თანადგომა გამომეხატა, გამემხნეებინეთ, ერთად გვესაუბრა ხვალინდელ დღეზე, იმედიან მომავალზე, დასახულ მიზნებზე, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთი შემთხვევა ვთქვა: მე თქვენ ძალიან, ძალიან

მიყვარხართ. თქვენს თვალეში ჩემს ტანჯულ საქართველოს ვხედავ. თქვენ ღირსეული, გამორჩეული გმირები ხართ, რომლებმაც გაუსაძლისს გაუძელით და მაინც ინარჩუნებთ ღირსებას, მხნეობას. შრომობთ, ცხოვრობთ, მრავლობთ, გიხარიათ. უნებურად მახსენდება ლა ბრუიერის სიტყვები: „არსებობს შემადრწუნებელი უბედურებანი და თავზარდამცემი ბედუკუღმართობა, რის წარმოდგენასაც ვერ ბედავს კაცი და რასაც შიშით ვერ უსწორებს თვალს, თუკი ვინმეს თავს დაატყდება, მოულოდნელ ძალას მოიკრებს, პირისპირ მედგრად შეებმება უიღბლობას და რომ არ მოელოდა ისეთ მხნეობას გამოიჩინს“. სწორედ თქვენ მოიქეცით ასე.

მინდა მომავალმა თაობებმა წაიკითხონ და გაითავისონ ყოველივე, რათა ხმამაღლა, მსოფლიოს გასაგონად თქვან: ეს აღარ უნდა განმეორდეს!

ფიქრს შორს მიყვავარ. გულში იმედის სხივი შეუმჩნეველად ჩნდება და ვგრძნობ როგორ მამშვიდება. უფალმა ადამიანი ხომ სახედ და ხატად შექმნა თვისად. მაშ, რატომ არ უნდა მჯეროდეს სხვა ადამიანების და მათი სიკეთის, მათი კეთილშობილების, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ და რა ეროვნებისანიც არ უნდა იყვნენ ისინი? ასეთები ხომ ყველგან არიან? საკუთარ თავზე ამალღება ხომ თითოეული ჩვენგანის გამორჩეულობაა, როგორც პიროვნების?

ჰოდა, მეც მჯერა, საზღვრის იქითაც სტკივით გული ღირსეულ ადამიანებს დაკარგულ მეგობრობაზე, დაშლილ ნათე-

საურ კავშირებზე, ისინიც დარდობენ მორეულ ქირზე, იპყრობთ სინანული, ტკივათ განვლილი წლები და ენატრებათ სამეზობლოდ გაღებული კარი, ქართველი და ოსი ოჯახების შეუდარებელი სტუმარ-მასპინძლობა და იმედს არ კარგავენ.

მზე მოსდგომია ფრონისა და ლიახვის ხეობებს. მზის სხივებშია გახვეული სამაჩაბლო. შორიდან ზარების რეკვა ისმის. პირჯვარს ვინერ და მინას ვემთხვევი, შემდეგ კი უფალს ვევედრები: უფალო! მოგვეც ძალა სინანულის, აღსარების, პატიების, დაკარგულის დაბრუნების, გამთლიანებისა და სიყვარულის.

*ციდან იმედი ჩამოაქვთ წვიმებს  
და ითესება მინდვრებში თეთრად,  
ჯერ სათითაოდ დავინანილებთ,  
სიყვარულისთვის შევკრიბავთ ერთად.*


## ომის ექო

შუა ქართლის გულზე საზღვარია გავლებული, სამანს იქითაც ქართული მიწაა და სამანს აქეთაც. საუკუნეების მანძილზე ბრძოლით დაცული ქართული სამკვიდრო უფლებააყრილია. საკუთარი სახლ-კარიდან იძულებით გამოსული მოსახლეობა სხვადასხვა კუთხეებშია თავშეფარებული. გლოვის ზარს ჯერ კიდევ არ გადაუვლია ავნევის, ნულის, თიღვის, ოქონის, ქალეთის, წნელისის, სუნისის, წორბისის, ქურთას, ხეთის, ძარწემის, თამარაშნის, ახალშენის და სხვა სოფლებიდან.

ჩაუმუხლავთ ჭერჩაშლილ ვეება სახლებს, ნაქცეულან ბრძოლით დაღლილი კედლები. საფლავებში წვანან სამშობლოს სიყვარულით ანთებული გულები. ჯვარზეა გაკრული დედა საქართველო.

მოლოდინს არა აქვს საზღვარი; გამთლიანების, შინ დაბრუნების და სიხარულის მოლოდინს, თუმცა ცხოვრება გრძელდება, მაგრამ ტკივილი არ ნელდება, ყველგან თავს გვახსენებს ჩვენს თვალწინ მომხდარი ომის ექო. არც ის წუთები გვავინწყდება, როდესაც ეს თავზარდამცემი ამბავი გავიგეთ პირველად.

ახლა, როცა გავლილია ომის ხანძარი, საკუთარ თავს ვეკითხები, – ომი დამთავრდა? თუ დამთავრდა, რატომ არ ზეიმობს სიხარული ფრონისა და ლიახვის ხეობებში? რატომ არ ამოდის ბღღვრიალა მზე მაღალი ციდან? რატომ არ ელვარებს ცისარტყელა ოცნების ცაზე? ვის გლოვობს ადგილის დედა? იქნებ იმ გმირებს, უანგაროდ რომ შეეწირნენ საკუთარი მიწა-წყლის დაცვას? იქნებ იმ უსახელო საფლავებს, წარ-



საზღვარზე

ნერებიც რომ არ დარჩა ზოგიერთს არსად? იქნებ იმ დაქსაქსულ, სხვადასხვა მიზეზით, ქართულ მხედრობას, იმ დღეების გახსენება დღესაც რომ ეთაკილება? იქნებ იმ ქართველების თავმოყვარეობას, დღემდე დევნილები რომ ჰქვიათ საკუთარ მინა-წყალზე? იმ ღირსეულ, განათლებულ, მიწისა და სამშობლოს მოყვარულ ადამიანებს დაუსრულებელი მოლოდინით რომ ტკივათ გულები?

უნებურად ერის მოჭირნახულის, დიდი ილიას სიტყვები მახსენდება: „რა არ გადაგვხდენია, რა მტრები არ მოგვსევინან... რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევიწინაბეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მინა-წყალი... რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი... დღეს მძლეთა მძლეთა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორციითა. ცოდნით და მარჯვენითა. გვჭირს კი დღეს ეს დროთა შესაფერი სიკეთე?“

სამწუხაროდ, საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ და კვლავ იგივე კითხვა ისმის: „გვჭირს კი დღეს ეს დროთა შესაფერი სიკეთე?“

შორს მედიდურად აღმართულა თეთრი კავკასიონი. აქვე საზღვარზე სოფელი დვანია. იგი ანტიკური პერიოდის ერთერთი უძველესი სოფელია საქართველოში. სოფელი ფრონისპირზეა გაშენებული, რომელსაც ამშვენებს გამორჩეული მთა და მთაზე აღმართული ეკლესია. ამ მშვენიერ ტერიტორიაზე ქართველებს ჩვენ წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებშიც

უცხოვრიათ. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრები და მრავალი მცირე ნასოფლარი. საუკუნეების მანძილზე ტადარი მოუხმობდა მლოცველებს. საეკლესიო მსახურებას წმინდა მინიდან ჩამოსული მამებიც აღასრულებდნენ. საინტერესოა ისიც, რომ სოფელ დვანში ორი ეკლესია მოქმედებდა: სამების და კოხიჯვრის წმინდა გიორგის.

დვანის მოსახლეობამ ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალეში, მაგრამ ჭირს არ ეჩაგვრინება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე კი ცხოვრობს, მაგრამ სულით არ ეცემა. მცოცავი საზღვრის გამო, დვანელმა მოსახლემ გივი მახაჭაშვილმა სახლიც კი დაშალა, რომელიც საზღვრის იქით მოიქცია დამპყრობმა და კვლავ საზღვრის წინ ააშენა, აქედან ფეხსაც ვერ მომაცვლევინებთო. სახლის შენებაში მთელი სოფელი ეხმარებოდა. ასეთია ქართველის ბუნება. საზღვრის იქით კი ავნიევი და ნულია, უკვე ნასოფლარები. ეს ნატყვიარი ტერიტორიები დიდ ჭირგამოვლილია. რა არ გადახდათ თავს. უამრავი სისხლია დაღვრილი ორივე სოფლის მიწაზე.

სოფელი ავნიევი რუსულ და ოსურ გარემოცვაში ქართულ ოაზისს წარმოადგენდა. საკუთარი მაგალითით მეზობლობის, სტუმარ-მასპინძლობის მაგალითს უჩვენებდა. ერთგულების სურვილს უღვივებდა გარშემომყოფთ. ღვთისმშობლის შობის ეკლესია ღვთიურობასა და მიმტევებლობას შთააგონებდა საკუთარ მრევლს. 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საზღვრის იქით აღმოჩნდა ეს ქართულ წიაღში ღრმად ფესვგადგმული სოფელი. ასევე საზღვრის იქით დარჩა სოფელი ნულიც. კვლავ უხმობს მრევლს ნულის წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც ერთად იდგნენ ოდითგანვე ქართველი და ოსი მართლმადიდებლები. ნელ-ნელა იშლება ქართული ნა-

ტერფალები საზღვრის იქითა ბილიკებზე. ლოდინით დაღლი-  
ლა ყველა დაღუპულ შვილზე მგლოვიარე „ადგილის დედა“.   
დღედაღამ ფხიზლობს, შვილების შინ დაბრუნების წუთები არ  
გამომეპაროსო. მისი ექო კი ყოველ ნაბიჯზე თან დაგვეყვება  
მის შვილებს და თავს გვახსენებს, ბევრ რამეზე გვაფიქრებს.  
იქნებ სწორი გზის ძიებაში დაგვეხმაროს კიდეც. ვინ იცის...

*მონყენილი მივდევ ბილიკს,  
ვინ წამართვა საფიცარი?  
მერამდენედ შემაჟროლებს,  
საზღვარია აქ, საზღვარი.  
სამაჩაბლო! – ჩემი ქართლი,  
გაძარცული ნატვრისთვალი  
და ზედ გულზე დასმულ სამანს  
ვერ ერევა საფიქრალი.*



## მინის ქასილი

მიყვარს ქართლის გზები, აკაციებით დაჩრდილული ბილიკები. დიდი კაკლის ხეები, უზარმაზარი ქოლგებივით რომ ეფარება გარემოს. ისინი ზამთარში ხელაპყრობილ მლოცველებს წააგვანან, ზაფხულში კი მზრუნველ დედებს. საოცარია ყაყაჩოებჩაბნეული შრიალა ყანები, ყანისპირებზე თეთრი გვირილები და ლურჯი ღიღილოები. ოქროსფრად მბზინავი სათიბები. მწკრივად მოღალანე ხეხილის ბალები. ფერდობზე კი უამრავი წვრილ-წვრილი ყვავილია მიმოფანტული, ფერთა მრავალფეროვნებით რომ გაგაოცებთ. მინის ერთ მტკაველზეც კი ვერ დაითვლი მათ სიუხვეს.

მწვანედ ჩაბურულ ვენახებში კი სარწყავს მინაკადლებულ რუმი, მდინარის კრიალა წყალი ლივლივებს, სიცოცხლეს ალამაზებს, სიმწვანეს აცოცხლებს და გრძნობ, მინა როგორ გეძახის, როგორ გელაპარაკება, როგორ მოითხოვს მზრუნველობას და პატრონობას. შენც მისდევ მინის ძახილს, ყველაზე ძლიერს და ყველაზე მშობლიურს. ისიც იცი, მინა თავისას მოითხოვს, ამიტომ ხნავ, თესავ, მკვი, დარდს არ ეჩაგვრინები, ყურძენს წურავ, ზედაშეს გემოს უსინჯავ, ნათლობებსა და ქორწილებს იხდი, მოყვასს იმრავლებ, ტაძარში დადიხარ, სხვათა ერის შვილებს პატივისცემით ეპყრობი, ქართველობაც ხომ ეგ არის!

ჩრდილოეთიდან გადმოგვეყურებს მშვილი, ლამაზი, ქათქათა კავკასიონი, ეს იყო ოდითგანვე ჩემი ქვეყნის ისტორიული საზღვარი. მოკრიალებულ ცაზე მის მშვენებას თვალს ვერ ვაშორებ. რამდენჯერ მომნატრებია ხმაურიან, მღელვარე

ქალაქში მისი ხილვა. სამხრეთიდან კი თრიალეთის მთა გად-  
მომდგარა, დინჯად, დარბაისლურად, მრავალ მთად და ბორ-  
ცვად ფესვგადგმული. ნეტავ თუ არსებობს დედამიწის გულ-  
ზე უფრო ლამაზი ადგილი, ვიდრე ეს მთათაშორისია.

სულ ახლახან გადაიარა ომის ხანძარმა ამ მშვენიერ მიწა-  
წყალზე და ხშირად თავსაც გვახსენებს. თუნდაც ღამით, გა-  
რეთ გამოსულს საზღვრის იქითა მხრიდან, უზარმაზარი ბა-  
ზები, კაშკაშა შუქურებით რომ შემოგვეფეთება, დღენიადაგ  
თავზე რომ დაგვეყურებს. საკუთარი სახლის ყოველ შეხედვა-  
ზე, მთელ კედელზე ჩამონგრეული ნალესი, ომს გამახსენებს.  
გზებზე გავლისას ნატყვიარ ხეებს დავინახავ, სასაფლაოზე  
კი ჩემი სოფლის უდანაშაულო შვილიც განისვენებს, ბრმა  
ჭურვმა რომ იმსხვერპლა ომის დღეებში.

გასაოცარი მაინც ის არის, ვიძინებ ისე, კარებს არ ვკეტავ,  
მეზობლისთვის და სტუმრისათვის ის მუდამ ღიაა.

ისევ გზას მივდექ. საფიქრალიც მიათკეცდება. ეს უძვე-  
ლესი ქართლის გულია – ქალაქი გორი – ამაყი ციხით. როცა  
ვერხვიანს ვუახლოვდები სულ სხვა რამეს ვგრძნობ. აქ დევ-  
ნილების დასახლებაა სამაჩაბლოდან. კვლავ ომს მახსენებს.  
ვუახლოვდები წეროვანს და მიკვირს ერთნაირი სახლების  
სიმრავლე. როგორ აგნებენ საკუთარ ბინებს?

მინდა ვიცოდე, როგორ ცხოვრობენ დევნილები. რას ფიქ-  
რობენ ომის შემდგომ, რით არიან კმაყოფილნი, ან უკმაყო-  
ფილონი? იქნებ საუბარი მათაც სურთ ჩემთან? მერე რა, რომ  
ცხელი, თაკარა ზაფხულია. მე მინდა გავიცნო ისინი. ჰოდა,  
ვიღებ გადანყვეტილებას. მივდივარ მათთან. მე უკვე ქარე-  
ლის ცენტრში ვარ, თიღვის მუნიციპალიტეტში.



*ნეროვანი*

### *16 ივლისი, 2014 წელი*

ნაცნობ შენობაში შევდივარ. აქ „თიღვის თემია“ განთავსებული. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ მათ. ისინი ხომ დევნილები არიან საკუთარ ქვეყანაში?

დღეს შეხვედრა გვაქვს დანიშნული. ჩემთვის და ალბათ მათთვისაც საინტერესო კითხვები მაქვს შერჩეული. მინდა მოვუსმინო, როგორ საუბრობენ ომზე, ხიდრატეხილობაზე, ორჯერ დევნილობაზე, მიტოვებულ სოფლებზე, ადრინდელ მეგობრობა-მეზობლობაზე, დაღუპულ ადამიანებზე, მონატრებულ საფლავებზე, საკუთარ ოჯახებზე, დაღმინებასა და გასაჭირზე, რას ნატრობენ, რაზე ოცნებობენ, რას ელიან სამომავლოდ?

## ბურამ შერაზადიშვილი

ოთახში სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი შემოდის, ერთმანეთს ვეცნობით. მცირე საუბრის შემდეგ ვხვდები, რომ ეს არის განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ერთ-ერთი საამაყო ქართველი, შესაშური ცოდნითა და ნატკენი გულით. კაცი, რომელსაც საკუთარ მხრებზე აქვს გადატანილი ოსურ-ქართული ურთიერთობების სიმძიმე დასაწყისიდან დღემდე. იგი საუბრობს იმაზე, რაც ცხოვრების გზაზე შეხვდა და განიცადა.

გურამ შერაზადიშვილი ქალაქ ცხინვალის მკვიდრი იყო. მამინ ცხინვალში ორი ქართული სკოლა მოქმედებდა. ერთ-ერთ ქართულ სკოლაში ბატონი გურამიც მუშაობდა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში.

„თავიდან ცხოვრება ჩვეულ რიტმში მიდიოდა, ოსებსა და ქართველებს შორის გასაყოფი არაფერი გვექონდა – ჰყვება გურამი – იყო ურთიერთქორწილები, ნათლობები, ძეგბები. ცხინვალში ოსის ოჯახი რომ ქორწილს გადაიხდიდა, თამადა



ცხინვალის N1 ქართული სკოლა დღეს

ჯერ ოსურად იტყოდა სადღეგრძელოს და მერე აუცილებლად ქართულადაც გაიმეორებდა, ქართველების პატივსაცემად. ყველა ოსს ვილაც ნათესავი ჰყავდა ქართველი.

40-იან წლებში ოსი ინტელიგენცია განათლებას თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იღებდა. ამიტომაც ქართული ყველამ იცოდა. 70-იან წლებში კი ოსი ახალგაზრდობა უკვე რუსეთისკენ მიემგზავრება ცოდნის მისაღებად. ქართულიც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. დღევანდელმა ოსმა ახალგაზრდებმა უკვე ქართული აღარ იციან.

1982 წლიდან, როკის გვირაბის გახსნის შემდეგ უფრო იმძლავრა ოსების რუსეთისაკენ ლტოლვამ. 89-90-იანი წლებიდან კი ამოქმედდა სეპარატისტული მოძრაობა. 90-იან წლებში ცხინვალში იქმნება „ადამონ ნიხასის“ (სახალხო კრება) გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ალან ჩოჩიევი, ასლან ჯიკაევი და ვალერი გაზაევი, მოძრაობის ძირითადი მიზანი იყო საქართველოდან ოსების გამოყოფა. მოძრაობამ მოქმედება დაიწყო მიტინგებით.“

ბატონი გურამი იხსენებს ერთ-ერთ ასეთ მიტინგს, რომელიც 1990 წლის ზაფხულში ჩატარდა სეპარატისტების მიერ, ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე. მიტინგს უძღვებოდა ალან ჩოჩიევი, სადაც უამრავი ოსი ესწრებოდა. იდეა იგივე რჩებოდა. ხმამაღლა ისმოდა ქართველი ხალხის ლანძლვა-გინება. მიტინგს მაშინდელი სამხრეთ-ოსეთის პირველი მდივანი – ანატოლი ჩეხოვეიც ესწრებოდა. ის ახლა რუსეთში ცხოვრობს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ბატონი გურამი და მოუნოდა ოსებს შეენწყვიტათ ქართველი ხალხის უსამართლო ლანძლვა. როგორც ცხოვრობდნენ აქამდე მეგობრულად, კვლავ ისე გაეგრძელებინათ ცხოვრება ქართულ მიწაზე.

1991 წლის 6 თებერვალს ერედვში ზვიად გამსახურდიამ მიტინგი ჩაატარა, რასაც მოჰყვა მილიციის დიდი კორდონის ჩაყენება. მცირე ხნის შემდეგ კი, ეს კორდონი უკან იქნა გან-  
ვეული. ქართველობაც გამოჰყვა მას. ოსებმა ყველა იქ მცხოვ-  
რები ქართველის სახლი დაწვეს, ვინც კი ქართულ მილიციას-  
თან კონტაქტში შევიდა. წყალიც კი თუ ვინმემ მიანოდა, არც  
ის დაინდეს. ეს დაპირისპირება ექვს თვეს გაგრძელდა. 1991  
წლის იანვარში ცხინვალიდან უკვე წამოვიდნენ ახალგაზრდე-  
ბი, შემდეგ მშობლებიც. ასე წამოვიდა გურამის ოჯახი. გურამი  
ერთ ხანს, მეუღლის სოფელში – კარალეთში დასახლდა, შემ-  
დეგ აგარაში. აქ მცხოვრებმა ოსებმა ბინების გაცვლა შესთა-  
ვაზეს ცხინვალიდან წამოსულ ქართველებს და რადგან სხვა  
გზა არ იყო, გაცვლა მოხდა. ასე დასახლდა გურამის ოჯახი,  
როგორც დევნილი, აგარაში, ასევე აიძულეს სხვა დევნილებიც  
ბინის გაცვლაზე.

გურამი ხშირად აქვეყნებდა პრესაში სტატიებს ცხინვალის  
რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ოსურ ინტელიგენციას-  
თან მჭიდრო ურთიერთობებზე. გული სწყდება ცხოვრება რომ  
ასე წარიმართა, დევნილობა რომ ჩვეულებრივ მოვლენად იქ-  
ცა. ცხოვრობს, შრომობს, ფიქრობს უკვე დიდ ჭირგამოვლი-  
ლი ახალგაზრდა კაცი და მაინც იმედით შეჰყურებს მომავალს.  
ნატრობს საკუთარ ჭერქვეშ დაბრუნებაზე, დაკარგულ მეგობ-  
რებთან შეხვედრაზე, ჩატეხილი ხიდის გამთელებაზე, საზღ-  
ვარგავლებული სამშობლოს გამთლიანებაზე. გრძნობს საკუ-  
თარი მიწის ძახილს. იცის და სჯერა ილიას სიტყვების:

*„პატიოსან მტერთა შორის  
მოციქული ნამუსია“.*

ქართველი ხომ ბუნებით მიმტყვებელია.

## გია ნადირაძე

გია ნადირაძეც თიღვის თემშია. იგი ბრეთის მეურნეობაში ცხოვრობს, როგორც დევნილი. მამამისი გახლდათ ვანო ნადირაძე – ადრე სოფლის თავკაცი, შემდეგ თიღვის თემის პირველი გამგებელი. კაცი – დარბაისელი, გონიერი, განათლებული, პატივსაცემი პიროვნება.

გია გულდანყვეტილი ჰყვება იმ ურთიერთობებზე, როცა ოსებსა და ქართველებს შორის მეგობრობა სუფევდა. იგი ზნაურში ავტოსატრანსპორტო სანარმოს დირექტორად მუშაობდა. გია იხსენებს 1990 წელს, როდესაც ზნაურში რუსეთის ერთ-ერთი სამხედრო მოღვაწე გენერალი კიმი ცაგალოვი ჩამოვიდა. გენერალი შეხვდა ოს მოსახლეობას და ყველაფერი აირია ამის შემდეგ. დაიძაბა მდგომარეობა ქართველებსა და ოსებს შორის. „მესამე ძალამ შუღლი და მტრობა გააღვივა. წლობით ფესვებგადგმულ სიყვარულს აკვაცობამ დარია ხელი. გაუთავებელი დაპირისპირების გამო 1991 წელს ქართველები გამოვედით ზნაურის რაიონიდან. გვეგონა ყველაფერი მოგვარდებოდა, ურთიერთობა აღდგებოდა, ჩვენც მამაპაპისეულ ფუძეს დავუბრუნდებოდით და მტრად გამხდარი მეზობლებიც გონზე მოვიდოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, დაბრუნება ვეღარ მოხერხდა. სამომავლოდაც იმედი გადაგვეწურა“ – ჰყვება იგი.

დიდი ტანჯვის გზა გაიარა გიას ოჯახმა, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. რომელი ერთი შეიძლება ჩამოვთვალოთ: უსახლკარობა, ცარიელ იატაკზე ძილი, დევნილობის მარადიული სტატუსი, საერთო გასაჭირის გადატანა თუ პირველი დევნილების დღემდე უარეს მდგომარეობაში ყოფნა.

## იანა ლანჩავაშვილი


გიას მსგავსად ბევრი ქართველის ოჯახი წამოვიდა 1991 წლიდან ზნაურიდან. ასეთია იანა ლანჩავაშვილის ოჯახიც. იანა ზნაურის რაიონის სოფელ თიღვაში ცხოვრობდა. როგორც დევნილი, ამჟამად ბრეთის მეურნეობაში ცხოვრობს.

როგორც ცნობილია, თიღვა ისტორიული სოფელია და ამით თავი მოსწონს იანას. იგი სიამაყით ჰყვება მშობლიურ სოფელზე მისი წინაპრების მონათხრობს. სოფელს განსაკუთრებული დიდებით მოსავს თიღვის ტაძარი. ქართული მატინეების მიხედვით ტაძარი დავით აღმაშენებლის ქალიშვილს – თამარს აუგია და აქვე აღკვეცილა მონაზვნად. გადმოცემის თანახმად თამარი თიღვის მონასტერში უნდა იყოს დასაფლავებული. ტაძრის მშენებლობა დასრულებულა 1152 წელს.

*ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „დასავლით მეტეხისა და ფცის წყლით არს თიღვის ჯვრის მონასტერი, რომელიც აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათნი, დიდშენიერი, კეთილად ნაშენი“... ტაძარს აქვს საინტერესო წარწერა.*

იანა ჰყვება თიღვაში გატარებულ დღეებზე. მისი საფიქრალი იმ კეთილ მეზობლობასა და მეგობრობას დასტრიალებს, რომლის დავინწყებაც შეუძლებელია. იქ მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს ლხინიც და ჭირიც საერთო ჰქონდათ, მაგრამ იმძლავრა „მოკეთედ“ მოსულმა მტერმა და ყველაფერი შეცვალა.

უნებურად მახსენდება ქრისტეს ერთ-ერთი იგავი მათეს სახარებიდან: „*ცათა სასუფეველი ჰგავს ადამიანს, რომელმაც კარგი თესლი დათესა ყანაში. როცა ხალხს ეძინა, მოვიდა მისი მტერი, ხორბალში ღვარძლი ჩათესა და წავიდა. ხოლო*



*თილვის მონასტარი*

*როცა ჯეჯილი ამოვიდა და ნაყოფი გამოიღო ღვარძლმაც მაშინ იჩინა თავი... მტერმა კაცმა გააკეთა ეს“.*

იანა საცხოვრებელი ადგილიდან წამოსვლის მიზეზს ასახელებს: „გარეთ ველარ გამოვდიოდით, ვერც დღისით და ვერც ღამით. იქ ყოფნა უკვე შეუძლებელი იყო. ოჯახში ოთხი დედმამიშვილი ვიყავით, მეხუთე დევნილობის დროს გაჩნდა, დედა წარმოშობით რუსი მყავს, მაგრამ ქართული მენტალ-იტეტის მატარებელია, მეხუთე ვაჟი გააჩინა.

ღამით ჩუმად გამოვედით სახლიდან, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიდექით. ტანსაცმელიც კი ვერ წამოვიღეთ. ღამაში, ორსართულიანი სახლი დავტოვეთ თიღვაში. ჩემი გული იქ დარჩა.“

იანა თიღვის მუნიციპალიტეტში მუშაობს 2010 წლიდან, სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურში. მას მოსწონს ეს სამსახური, რადგან ქართველ ახალგაზრდებს ქვეყნის დასაცავად აგზავნის და ამ დიდ პატრიოტულ საქმეში მისი წვლილიცაა ჩადებული.

ზნაურის რაიონიდან წამოსულ ქართველებს ენატრებათ მიტოვებული მშენიერი სოფლები, მაღალი კოშკები, ციხე-ტაძრები. ახსენდებათ წორბისის ექვსსართულიანი კოშკი, რომელიც XVII საუკუნეშია აგებული და რომელიც ამაყად გადმოჰყურებს უძველეს სამკვიდროს. დრო კი თვალსა და ხელს შუა მიიპარება. სანატრელი მიუღწეველი რჩება. კვლავ გულგაყოფილია ჩემი საქართველო. ხსოვნაში ჩარჩენილა ღამაში დღეები უამრავი მოსაგონარით.

## ზაქარია მუშკიაშვილი ვალერი ფუსაევი

„80-იანი წლების ერთ მშვენიერ დღეს, – იხსენებს დირბელი ზაქარია მუშკიაშვილი – ჩემს ამხანაგებთან ერთად ზნაურში მოვხვდი და ჩემი ოსი მეგობარი, მოჭიდავე ვალერი ფუხაევი მოვიკითხე. ჩემდა გასაოცრად, მის ეზოში ორას კაციანი სუფრა იყო გაშლილი. ბავშვის ძეობას აღნიშნავდნენ. ვალერი ჩემს დანახვაზე სიხარულისგან გადაიროა, მაშინვე მიგვიპატიჟა და საპატიო ადგილი მოგვიჩინა. თამადას მიუბრუნდა და უთხრა, სუფრას ქართულად უნდა გაუძღვე, ისეთი მეგობრები მომივიდნენ, უკეთესს რომ ვერ ვინატრებდიო. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. მაგიდის ყველა წევრი ჩვენს პატივისცემას ცდილობდა. როგორ არ მოგვესიყვარულნენ, როგორ არ გვეფერნენ. გადის წლები და ის დღე არ მავიწყდება, მენატრება, მენანება. იმ სიყვარულზე ხომ კვლავ სიყვარულს უნდა ეხარა“, – ასე ამთავრებს მონათხრობს ზაქარია.

ნუთუ იმ დიდი ურთიერთობის კვალი ვალერის გულში წაიშალა? ნუთუ ის დიადი გრძნობა ასე გაუბრალოვდა, რომლის შესახებაც ბრძენი სულხან-საბა ორბელიანი გვეუბნება: *„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის. ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაღლე დაურღვეველია... ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია... ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქიმპო არა არის რა“.*

მე მჯერა, ისეთივე გულისტკივილით იხსენებს ვალერი ფუხაევიც ადრინდელ მეგობრობას, უღალატო ურთიერთობებს, როგორც ზაქარია მუშკიაშვილი.

## შოთა ჩოჩიშვილი

ამ მოგონებამ სახელგანთქმული მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, შოთა ჩოჩიშვილი გამახსენა, რომელიც გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კათედრის აღზრდილია, რომლის წარმატებებითაც ქართველი ხალხი ამაყობდა. უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა.

მახსოვს, სტუდენტობის დროს გულდია, უბრალო, ათლეტური აგებულების ახალგაზრდა, როგორი სიყვარულით სარგებლობდა გარშემომყოფთაგან. იგი წარმოადგენდა ქართველი და ოსი ხალხის საუკეთესო ნაზავს.

მაშ, რატომ არ გავუფრთხილდით თვალის ჩინივით ამ დიდ საგანძურს. ვინ დაგვაშორიშორა?



## ბაგიაშვილი

ისინი ზნაურის რაიონის მკვიდრნი იყვნენ. **ალექსანდრე ბეგიაშვილი** ახლა თიღვის თემში მუშაობს. იგი საუბრობს 90-იანი წლების მძიმე დღეებზე. გაუსაძლის პირობებზე, დღემდე გამოვლილ გზაზე და ნამდვილად ქვეყნის გულშემატკივარია. ნატვრად ექცა საკუთარ სახლ-კარში დაბრუნება.

ალექსანდრეს მეუღლე **ნაირა გელაშვილი** ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონია. იგი სამი შვილის დედაა და უდიდესი პატრიოტია. ნაირა სოციალური მომსახურეობის სააგენტოში უფროს სპეციალისტად მუშაობს. იცის ხალხის მდგომარეობა და მათი დიდი გულშემატკივარია. „დერეფნის მიღმა, დახურულ კარს იქითაც კი ვცნობ იმ გაჭირვებული ადამიანების ფეხის ხმას, დახმარების სათხოვნელად რომ მოდიან. ყოველთვის ვცდილობ, მხარში ამოვუდგე და მცირედით მაინც შევუმსუბუქო ტკივილი“ – გვეუბნება ქალბატონი ნაირა. მადლობა უფალს, რომ დიდი განსაცდელის შემდეგაც ქართველს თანადგომის უნარი არ დაუკარგავს. მადლობა უფალს, რომ ასეთი ადამიანები ცხოვრებას გვილამაზებენ.

**ვახტანგ ბეგიაშვილის** ოჯახი ზნაურის რაიონში, სოფელ სუნისში ცხოვრობდა. ვახტანგი საქ-სოფტექნიკის რაიონული განყოფილების სარემონტო სახელოსნოს გამგედ მუშაობდა. კაცი გონიერი, განონასწორებული, ინტელიგენტი, ოჯახსაც ამშვენებდა და სოფელსაც. მისი მეუღლე **ანა ჯებისაშვილი** პედაგოგად მუშაობდა საკუთარ რაიონში. მათი ოჯახი სიყვარულით გამორჩეული და კეთილგანწყობით სხვებისადმი, მაგალითის მიმცემი იყო.

ოსებსა და ქართველებს შორის ატეხილი კონფლიქტის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. 1990-91 წლებში პირველი დევნილობა გამოიარეს. მათი ორსართულიანი სახლი შემალღებულ ადგილზე იდგა და სწორედ ის აირჩიეს სათვალთვალო პუნქტად მოძალადეებმა. დაიბზარა და მოირყა შენობის კედლები

გაუთავებელი სროლისგან. სამი წლის მანძილზე ბეგიაშვილების ოჯახი ანას მშობლიურმა სოფელმა – მეჯვრისხევმა შეიფარა. ანაც იქ განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. შემდეგ თითქოს იმედიც გამოჩნდა შინ დაბრუნების. დროდადრო სოფელ სუნისშიც ახერხებდნენ შესვლას, მაგრამ 2008 წლის ომის შემდეგ საბოლოოდ დაიხურა მშობლიური სოფლის კარები ქართველებისათვის, ასევე ბეგიაშვილებისთვისაც.

ვახტანგ ბეგიაშვილის ოჯახი ამჯერად თბილისში, დიღმის ტურბაზის დასახლებაში ცხოვრობს, სადაც მათ მდგომარეობაში მყოფი 120 ოჯახამდეა ჩასახლებული. ვახტანგი ახლაც განიცდის განვლილი წლების სიმძიმეს. განიცდის იმასაც, რომ ჯანმრთელობა შეერყა. ოჯახის იმედი და სიამაყეა მათი შვილები – გიორგი და შალვა, რომლებმაც მძიმე პირობების, დევნილობის გზის გავლის მიუხედავად, უმაღლესი განათლებაც მიიღეს, დაოჯახდნენ და სამსახურიც დაიწყეს. ისინი თბილ, მყუდრო გარემოს უქმნიან მოამაგე მშობლებს.

გიორგის და შალვას, როგორც მათ მშობლებს, მშობლიურ კუთხეში დაბრუნების ოცნება არ უნელდებათ. ოჯახში ორი ულამაზესი შვილიშვილი იზრდება, რომლებსაც ანა ბებია თავს ევლება. იგი დილიდან საღამომდე მათ გვერდით ფუსფუსებს.

„სუნისში ორი ოჯახილა დარჩა – ერთი შერეული და ერთი ქართული. ის ქართული ოჯახია ჩვენი წინაპრების საფლავების პატრონი, იმ საფლავების, ყველაზე მეტად რომ გვტკენს გულებს და ყველაზე მეტად რომ გვენატრება“, – ამბობს ანა.

ვიცი, როგორ არ ვიცი, ყველა დევნილის გულისტკივილი მამა-პაპათა საფლავების უნახაობაა, აღდგომის დრესასწაულზე იქ მიუსვლელიობაა, უცრემლობაა, მიუფერებლობაა.

*ლიახვისა და ფრონისპირის გაეხედავ სოფლებს,  
მინას ჩაკვრიან მატიტელები,  
დრო საზღვრისპირა საფლავების დარდთან მამყოფებს,  
იმ საფლავის ქვებს აქ ვეფერები.*

## ნაზი მჭედლიძე

ოთახში სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი შემოდის. მის გარეგნობაში სათნოებასთან ერთად გაუტეხელი სულიც იგრძნობა. იგი მრავალჭირგამოვლილია. ნაზი საზღვრისპირა სოფელში – კოდაში ცხოვრობდა. მისი მეუღლე – ვიგენტი მაისურაძე ადრე გარდაიცვალა. ღირსეულმა ქალბატონმა, სამი შვილის დეიდა, მარტო გამოსცადა ცხოვრების გამოცდა. მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, ცხოვრებას შეჭიდებული, ზოგჯერ ზღვარზეც მდგარა, მაგრამ ბოლომდე გაიტანა ლელო. იგი სევდიანად იხსენებს 1991 წლის პირველ დევნილობას, 2008 წლის ომს და კვლავ დევნილობის გავლილ გზას. ეს ყოველივე კი გასახსენებლად არ არის ადვილი. „მოულოდნელად დავტოვეთ საცხოვრებელი სახლი – იგონებს ქალბატონი ნაზი, – იქ ყოფნა შეუძლებელი იყო, გარდაუვალი დაღუპვა გველოდა, ამიტომ ქუჩაში გამოვედი და საცალფეხო ბილიკებს გავუყევი კალთაზე ჩაჭიდებული ბავშვებით. ვიცოდი, რომ გზა-გზა თავდასხმებიც ხდებოდა. კეთილი ადამიანების წყალობით რუსთავეში ჩავაღწიე ახლობლებთან და ერთი წელი იქ ვიცხოვრე, შემდეგ ქარელში ჩამოვედით და აქ დავსახლდით. შვილები დავზარდე, მე მათი კმაყოფილი ვარ.“

ნაზის ოჯახი ცხოვრებამ ვერ გააბოროტა. გია სასახლოდ უძღვება ოჯახს. მამამისის ტრადიციებს აგრძელებს. გასაჭირსა თუ ლხინში გვერდით დადგომა იცის. იგი მუშაობს კეთილმოწყობის სამსახურში. დედა ამაყობს ასეთი შვილით. ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია.



## თამუნა მაისურაძე

ჩემს წინ სანდომიანი, მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი ზის. იგი საუბრობს გულწრფელად განვლილ წლებზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, იმ უმთავრესზე, რითაც ადამიანის არსებობა მშვენდება. თამუნას არასოდეს ავიწყდება ის მძიმე წარსული, რომელიც მისმა ოჯახმა გაიარა დედასთან და ძმასთან ერთად. ენატრება მამის საფლავი, რომელსაც ხშირად სიზმარში ხედავს.

თამუნამ ქარელში შექმნა ოჯახი. იგი საზანდრიშვილების რძალია. თვითონაც დედაა და ზრდის შვილებს. მისთვის ახლა უფრო გასაგებია, როგორი გზა გაუვლია დედამისს.

ქალბატონ თამუნას არ ავიწყდება იმ მძიმე და გაუსაძლისი წლების დროს მხარში მდგომი ადამიანები, რომლებიც მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ, განიცდიდნენ, ღამეებს ათენებდნენ, სიყვარულსა და გულის სითბოს უნანილებდნენ, პრობლემის გადაჭრაში ეხმარებოდნენ, მათი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, გარდაცვლილს უპატიოსნებდნენ, აწყნარებდნენ, არწმუნებდნენ, უნდობლობას უქარვებდნენ, ცრემლს ღვრიდნენ. ამის გარეშე შეუძლებელი იყო დევნილების ნდობის მოპოვება, ომგამოვლილი ადამიანების დამშვიდება. უფალიც ხომ დიდი გასაჭირის დროს ცდის ჩვენს ადამიანურ ღირსებებს. ქარელის რაიონში საბედნიეროდ იყვნენ ასეთი ადამიანები. ერთ-ერთს თამუნა იხსენებს, როგორც დედამთავარს, ოთარაანთ ქვრივს. რომ არა ისინი, ჩვენ აქამდე ვერ მოვადნევედითო, ამბობს იგი.

## ნანა საბანაძე

იგი ჟურნალისტობაზე ოცნებობდა. უყვარდა წერა, ჰქონდა საკუთარი ხედვები. სიტყვასთან ჭიდილი ყველაფერს ერჩია. მისი ფიქრი და ოცნება მრავაფეროვანი იყო. მას ვერ წარმოედგინა ცხოვრების დაუნდობლობა.

ნანა ქართლის ერთ-ერთ მშვენიერ ქალაქში – ცხინვალში დაიბადა. იქვე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 2002 წელს ამთავრებს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტს და ახლა უკვე მის საყვარელ პროფესიას ეუფლება. ნანა სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქციაში, ჩამდგარი იყო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, მონაწილეობას იღებდა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაში. დაინტერესებული იყო შიდა ქართლის პრობლემებით და სამხრეთ კავკასიის აქტიურ ქალებთან ერთად ეძებდა კონფლიქტების მოგვარების გზებს. „ოცი წელი გავიდა მას შემდეგ და ცხინვალში შესვლას ისე ვნატრობ, როგორც გამოსვლისას ვნატრობდი“... – გულისტკივილით ამბობს ნანა. ოსურ-ქართული კონფლიქტის გამო ბევრი სიძნელე გადაიტანა ახალგაზრდა ქალმა. იყო დარბევა, დევნა, დაუნდობლობა, გადარჩენისთვის ბრძოლა. როგორ შეიძლება დაივიწყოს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დამდგარმა ადამიანმა ის განსაცდელი. ამ გაუსაძლის წლებში ნანას დაეღუპა შვილი, დედა, ქმარი, დაეწვა სახლ-კარი. ნანა დღემდე გორში ცხოვრობს დევნილის სტატუსით. ყავს ორი შვილი გიგა და ეკა, რაც დედისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ნანა საინტერესო ქალბატონია. ცხოვრებამ გამოაცდევინა ორჯერ დევნილობა, ასწავლა სიცოცხლის სიყვარული, დედაშვილო-

ბის მადლი, მწუხარება და სიხარული. იგი საუბრობს დამა-  
ჯერებლად, მისი მთავარი მიზანია შვილები სრულუფლებიან  
და სრულყოფილ მოქალაქეებად აღზარდოს, რათა თავად გა-  
დანყვიტონ საკუთარიც და დაკარგული ქალაქის ბედიც. ღირ-  
სეული ქალბატონი ღირსეულ ოჯახს ამშვენებდა. იგი ფელიქს  
ქესანაშვილის რძალი გახლდათ.



*ცხინვალის მდინარის სანაპიროს 60-იან წლებში*

**ფელიქს ქესანაშვილი** რეგიონალური სამსახურის უფრო-  
სი იყო შიდა ქართლში. არაჩვეულებრივი ქართველი შინაგა-  
ნი ბუნებითა და ინტელექტუალური შესაძლებლობებით. მისი  
დაღუპვა დიდად განიცადა შიდა ქართლის მოსახლეობამ. ფე-  
ლიქს ქესანაშვილი დევნილი იყო. ასეთი ოჯახის რძალი კვლავ  
ღირსეული გზით მიემართება, რადგან მომავლის სჯერა. რო-  
ცა ასეთი ქალბატონის ბიოგრაფიას ეცნობი იმედით ივსები,  
ასეთი დედები მხოლოდ საკუთარ ოჯახებს კი არა, საქართვე-  
ლოსაც გადაარჩინენ, ქართველობაც ხომ ეგ არის.

\*\*\*

ეს დღე არასოდეს დამავინწყდება ცხოვრებაში. მე შეეხვდი და ვესაუბრე საინტერესო ადამიანებს. სასაუბრო მაინც ბევრი დაგვრჩა. გულში ჩარჩენილი ტკივილის ნაკვალევი ასე ადვილად არ იშლება. პრობლემები ხომ კვლავ გადასაჭრელია. ბევრი რამ ხომ ისევ მოსაგვარებელია. ჩვენ ვისაუბრეთ იმ ადამიანებზეც, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობდნენ და შრომობდნენ, მაგრამ საკუთარი მამულისათვის თავგანწირვამ სხვებისაგან გამორჩეულები გახადა. ისინი ბევრნი არიან, ზეციური საქართველოდან გვლოცავენ და სულის ამალლებაში გვეხმარებიან. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პიროვნება იყო **ბეგლარ კასრადი**. სურათიდან შემოგვეყურებს წარმოსადეგი გარეგნობის, სიკეთით სავსე გამომეტყველების, საინტერესო პიროვნება. იგი სოფელ ნულის მკვიდრი იყო. იქ მცხოვრებთ ახლაც კარგად ახსოვთ ყველას ქომაგი, გასაჭირის დროს დამხმარე, მეზობლისა და მეგობრის ერთგული ადამიანი. ბეგლარი სოფელ ნულში მეურნეობის დირექტორად მუშაობდა. ყველასგან განსხვავებული სოფლის თავკაცი იყო. ქართველებიც აფასებდნენ და ოსებიც. ოსურ-ქართული კონფლიქტის დანყება გულს უკლავდა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა ოს ძმებთან. მათ ხომ ძირიც და ლხინიც საერთო ჰქონდათ. სხვა თუ არავინ, საქმის მოგვარებას ის ჩაუდგებოდა სათავეში. იმდენად ფესვგადგმული იყო ნათესაური კავშირები, რომ ყველაფერს დიდი ურთიერთობები და სიყვარული გამოასწორებდა. ბეგლარს სჯეროდა, არც ერთი ოსი მასზე ხელს არ აღმართავდა. აქ, ამ ქართულ მიწა-წყალზე, ერთად ჰქონდათ გატარებული ბავშვობისა და ვაჟკაცობის წლები. ყველგან უშიშრად დაიარებოდა, მაგრამ ნამქეზებელმა შური და მტრობა გააღვივა საუკეთესო მეგობრებს შორის.

ბეგლარი გაიმეტეს. იყო ტყვეობა, პოვნა, ბრძოლა მისი დახსნისთვის, შემდეგ ერგნეთის საგუშაგო და ბოლოს გორის საავადმყოფო. ყველაფერი დაგვიანდა. ბეგლარი ისე გარდაიცვალა გონზე არ მოსულა. ბეგლარს ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა, მეოთხე მხოლოდ თვეებისა იყო. ცხოვრებამ მაინც ვერ გატეხა მისი ოჯახი. ქვეყნისთვის თავშენიწილი კაცი კი თავისი სიმართლითა და სიყვარულით ხალხის ხსოვნაშია.

მოსალამოვდა თიღვის მუნციპალიტეტში. ემოციებით დავიტივრთე, უამრავი საფიქრალი გამიჩნდა. რატომ არ ვიცნობდი აქამდე ამ ადამიანებს? რამდენი კეთილშობილება, რამდენი სიბრძნე, რამდენი გულახდილობა და თავშეკავება დავინახე. აი, რა არის გმირობა, როცა არ აცხადებ, რომ გმირი ხარ. აი, როგორები არიან ისინი. მინდა მთელმა საქართველომ იცოდეს მათ შესახებ.

# სიყვარულით სავსე გზებზე

*24 ივლისი, 2014 წელი, სოფელი წვერი*

სოფელი წვერი მდებარეობს დვანის ფრონის მარჯვენა სანაპიროზე. ეს არის პატარა, მწვანეში ჩაფლული, ოდნავ ფერდობზე შეფენილი ქართული სოფელი. წვერი მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიულ წყაროებში ფეოდალური ხანიდან, რასაც ამტკიცებს ნასახლარები და ეკლესიის ნაშთები.

## **ეთერ მესხი**

### **ლიდა გოგუშოვა**

ჭიმკართან სანდომიანი გარეგნობის, სათნო, კეთილშობილი ქალბატონი გვეგებება მე და ჩემს მეგზურს. ეს **ეთერ მესხია**. იგი დევნილობამდე სოფელ ახალშენში ცხოვრობდა მეუღლესთან, **ვახტანგ ღონღაძესთან** ერთად.

ეთერი საინტერესო მოსაუბრეა. მას გუშინდელი დღესავით ახსოვს ყველაფერი, რაც დევნილობის დროს თავს გადახდა. რა არ ნახა მოძალადე ადამიანებისაგან: დევნა, დამცირება, სახლში შემოვარდნა, სროლა, მკვლევლობა, სახლების დაწვა. ასეთ დღეში მართო ეთერი არ ყოფილა, ის დიდი მეგობრობა და კეთილმეზობლობა, რაც ქართველებსა და ოსებს შორის სუფევდა, ერთ მშვენიერ დღეს, საპნის ბუშტივით გასკდა და მისგან აღარაფერი დარჩა. ოსები იძულებულეხს ხდიდნენ ქართველებს მშობლიური ტერიტორია დაეტოვებინათ.

90-იან წლებში იმდენად გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, რომ მოსახლეობამ დატოვა საკუთარი სახლ-კარი და დევნილად იქცა. ასე წამოვიდა ეთერის ოჯახიც ზნაურის რაიონიდან. ქალბატონი ეთერი იხსენებს იმ პირველ თვეებს, როდესაც ქარელის რაიონში მოვიდნენ. ქართლებმა თავიდან დიდი სიყვარულით მიიღეს, მაგრამ თანდათან მოსახლეობასაც გაუჭირდა და მაშინ გაუსაძლისი გახდა ცხოვრება. ახსოვს ის მწარე დღე ქალბატონ ეთერს, როდესაც ერთი ტომარა ნაჩუქარი ლობიო მუჭებით გაინანილეს დევნილებმა.

„ჩვენზე ზრუნავდა დევნილთა და განსახლების სამინისტრო და დევნილთა რაიონული სამსახური რაიონის გამგეობაში – იხსენებს ქალბატონი ეთერი – როგორ შეიძლება დაივიწყო იქ მომუშავე ადამიანები, მათი მხარში დგომა, ჩვენი ჭირი და ლხინი მათი ჭირი და ლხინი იყო. მათ გარეშე არსებობა ვერ წარმოგვედგინა“. იგი დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს თემურ სანდოძეს, მის თანადგომას დევნილებისადმი. დიდი პატივისცემით იგონებს გურამ შარაძეს, რომელიც ყველაფერს აკეთებდა მათ დასახმარებლად. კარგი საქმე ხომ არ გვავიწყდება. სოფელ წვერში 12 ოჯახია ჩასახლებული. მათ შეისყიდეს ოსთა ბინები. ზოგი დოღლაურში ჩაასახლეს კომპაქტურად. ზნაურის რაიონის მოსახლეობის 90% ქარელის რაიონმა მიიღო.

ქალბატონ ეთერს გამორჩეული ვუნოდე და ეს შემთხვევითი არ იყო. მას ცხოვრებამ ბევრი რამ გამოაცდევინა. ჯერ იყო და ობლად დარჩენილი ძმები – ბონდო და შოთა თვითონ დაზარდა. შემდეგ ძმისშვილისა და დისშვილის ერთად დალუპვის მწუხარება მეხივით დაატყდა თავს, შემდეგ ძმის – შოთას დაფანტული შვილები მოაგროვა დევნილებში და საკუთარ ოჯა-

ში მოუყარა თავი. ახლა ისინი დაზარდა, დააოჯახა და მათზე ზრუნვაში აღამებს და ათენებს. ეთერის სიმდიდრე ძმისშვილები და მათი შვილებია. მეუღლე კარგა ხანია გარდაეცვალა.

ძლიერი ქალბატონი სულით არ დაცემულა. დღესაც იმედით უყურებს მომავალს, ენატრება მშობლიური სოფელი, საკუთარი კარმიდამო, ისევ ოცნებობს შინ დაბრუნებაზე, თუმცა აქ, წვერშიც, კვლავ გრძელდება ის კარგი ურთიერთობა ახლა უკვე სხვა ოს მეზობლებთან: ვალიშვილებთან, ფუხაშვილებთან, ქობესაშვილებთან და სხვებთან, როგორც ადრე იყო.

ეთერი იხსენებს ერთ საინტერესო ოს ქალბატონს – **ლიდა გობუზოვას**, რომელიც ძალიან ეხმარებოდა ქართველ ოჯახებს იმ არეულობის დროს. მას ქართველი ქმარ-შვილი ჰყავდა. ოსებმა სახლ-კარი გადაუწვეს და ლიდაც დევნილად გამოვიდა საკუთარი სახლიდან. მეზობლების ბედი გაიზიარა.

საუბარში საკმაო დრო გასულა. გულუხვ მასპინძელს ვემშვიდობებით. ვინრო ბილიკით მდინარე ფრონეზე გადებულ ხიდზე გადავდივართ. სავსე ვარ განცდებით. თან მომყვება ქართული სულის სიდიადე, რომელიც ახლახანს გაცნობილ ქალბატონში დავინახე. მწუხარეც ვარ, ამაყიც და ბედნიერიც.

უნებურად ვჩერდები და ფრონეს გავყურებ, რომელიც დედა მტკვრისაკენ მიიქარის. რა ბედნიერია ადამიანი, ვისაც სხვათა უანგარო სიყვარული შეუძლია. პატიებისა და პირველი ნაბიჯების არ ეთაკილება, სხვისი ჭირის გამზიარებელია. ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ვეფხვისა და მოყმის ლექსი განა ასეთი ურთიერთობებისაკენ არ მიგვანიშნებს?

*„წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიმარ უთხრა ჭირისა,*

*... იმასაც ბრალი ექნების  
უნყალოდ ხმლით დაჭრილისა“.*

ხომ მეთანხმებით ქართველო  
დედებო?

ალბათ, ამ ყველაფერში, ღვთის  
ხელი ურევია, რომელიც უმძიმესი  
განსაცდელის დროსაც გვიცავს  
და ღირსებით გვმოსავს.

მოვუყვები ვინრო ხიდს და  
თითქოს სამყაროს გულში მივა-  
ბიჯებ, ცასა და დედამიწას შორის  
გამჭვირვალე სივრცეში და მეს-  
მის, როგორ ფეთქავს დედამიწის  
გული. სამყაროს ცენტრი მგონი  
რომ სწორედ აქ გადის.



*ეთერ მესხი და  
ლიდა გოგუშოვა*

## პირველი დევნილები

*3 ივლისი, 2014 წელი*

დილაა. ცა მოკრიალებულია. უკვე ცხელა. წელს განსაკუთრებულად ცხელი ზაფხული დაიჭირა.

კვლავ დევნილებთან შეხვედრაზე მივიჩქარი. მაინტერესებს თითოეული მათგანის ცხოვრება. აგარის ტერიტორიას ვუახლოვდები. აგარა მდებარეობს ქარელის რაიონში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. სულხან-საბა ორბელიანს სიტყვა „აგარა“ განმარტებული აქვს, როგორც „სადგური საზაფხულო“. აქ 90-იანი წლების დევნილები ცხოვრობენ.



*მდინარე ფრონა*

მე და ჩემი მეგზური პირველივე ბინასთან ვჩერდებით და მასპინძელს ვკითხულობთ. ჩემი მეგზური და თანამოაზრე საინტერესო ქალბატონია. წლების მანძილზე დევნილთა განსახლების საქმეს ემსახურებოდა ქარელის რაიონში, ამიტომ მის დანახვაზე სიხარულს ვერ მალავენ მასპინძლები. გულითადი მოკითხვის გარდა უამრავ საკითხზე საუბრობენ. წარსულს იხსენებენ. დევნილები მის მიმართ პატივისცემასთან ერთად მოკრძალებას იჩენენ. აქ ვეცნობი **ჟენია კაცელაშვილს** – სოფელ ალიბარიდან, **ლალი ჯახველაძეს** სოფელ სუნისიდან, **ნანა ხაჩიძეს** – ახალშენიდან.

ქალბატონები ჰყვებიან როგორ და რატომ დატოვეს საკუთარი სახლ-კარი, როგორ დაიძაბა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის, როგორ წვაგდნენ და ანადგურებდნენ ქართველთა სახლებს ოსი „ბოვეიკები“. როგორ დადგა მათ წინაშე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და გადარჩენის გზა მათი ოჯახებისათვის დევნილობა გახდა. თუმცა არც ის ავინწყდებათ, რა საოცარი სიყვარული და მეგობრობა აკავშირებდათ ქართველებსა და ოსებს მანამდე მიხვდნენ, რომ მესამე ძალა იყო ამ დიდ დაპირისპირებაში ჩარეული, რომელსაც მშვიდობის დამყარება არ სურდა ქართულ ტერიტორიაზე. დევნილებად იქცნენ მათი ოჯახები 90-იან წლებში. სამი-ოთხი წლის შემდეგ კვლავ სცადეს უკან დაბრუნება, ჩადიოდნენ კიდეც, მაგრამ დამწვარი სახლების დანახვაზე გული უკვდებოდათ. მზად იყვნენ ხელახლა აეშენებინათ, ხელახლა შეჭიდებოდნენ ცხოვრებას, მაგრამ უარესი მოხდა შემდგომ. 2008 წლის ომმა მეორედ გახადა ქართველი მოსახლეობა დევნილი.

ქალბატონებს კარგად ახსოვთ, როგორ მოხდა მათი ჩასახლება ქარელის რაიონში, დაბა აგარაში. თითოეულს 35 კვ.

ბინის ფართობი აქვს, მცირე მინის ნაკვეთი და 45 ლარი დახმარება. ახსოვთ ის ადამიანები, რომლებიც ეხმარებოდნენ იმ დიდი გაჭირვების დროს რაიონიდანაც და განსახლების სამინისტროდანაც. განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავენ ვალერი ვაშაკიძის მიმართ, რომელსაც მათი მდგომარეობა ყოველთვის გულთან მიჰქონდა.

დევნილობამ მძიმე ცხოვრების პირობებში გაიარა. ახლაც ბევრი რამ ესაჭიროებათ. ქვა-ლორდიანი მიწებიდან ვერაფერი მოჰყავთ, მცირე დახმარება ვერ უზრუნველყოფს მათ არსებობას, მცირე ფართი არასაკმარისია ოჯახის წევრთა საცხოვრებლად. „დაპირება ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებად რჩება, უკვე ამდენი წელი გავიდა“ – გულსტკივილს გამოხატავენ ქალბატონები.

მოვდივარ და კვლავ ტკივილი მომყვება. არადა, უამრავი დევნილია დღეს საქართველოში. უამრავი სახლ-კარია დაკარგული. ყველაზე მტკივნეული მათთვის მაინც საკუთარი წინაპრების საფლავებია, რომელთა მონატრებას საზღვარი არა აქვს.

### **მონისის დევნილთა დასახლება**



აგარის დევნილთა დასახლების შემდეგ გეზი მოხისისკენ ავიღეთ. მძლოლმა ცენტრალური გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და მალე გამორჩნდა კომპაქტური დასახლება თავისი ქუჩებით, შესახვევებით და ეზოებით.

სიცხე თანდათან მატულობს, ამიტომაც გარეთ არავინ არ ჩანს. აი, შევნიშნეთ, პატარა შემოღობილ ეზოში შუახანს ოდნავ გადაცილებული ცოლ-ქმარი, რომლებიც ლობიოს მოსავალს ამუშავებენ, შრომაში გართულებს გამოველაპარაკე და ჩემი მისვლის მიზეზი გავაგებინე.

მაშინვე მიგვიპატიჟეს, მოიბოდიშეს და სახლში შეგვიძღვნენ. ეს ყაზახაშვილების მრავალსულიანი ოჯახი აღმოჩნდა, რომლებიც წარმოშობით ცხინვალიდან არიან: **ნუგზარ ყაზახაშვილი** და **ნელი ბასიშვილი**, ჰყავთ სამი შვილი, დაოჯახებულები და შვილიშვილები. ეს ადამიანები ორჯერ გახდნენ დევნილები საკუთარ სამშობლოში.

1991 წელს, დიდი არეულობის დროს, ცხინვალიდან წამოვიდნენ და დასახლდნენ ავნევში. 2008 წელს კი ომმა მრავალ ოჯახთან ერთად ეს სოფელიც დაატოვებინათ.

ახლა უკვე აქ, მოხისში მისცეს თავშესაფარი. მათ ეკუთვნით ორი ოთახი, მისაღები და სამზარეულო, რაც აუცილებელი იყო ყველაფერი დახვდათ. როცა ერთმანეთს ადარებენ პირველ და მეორე დევნილობას, პირველში საკმაოდ მძიმე პირობებში იცხოვრეს, ახლა ბევრად უკეთ არიან. აქვთ მოსავლელი მიწები, რომელზეც თესავენ, მოსავალს იღებენ, უვლიან ვაზს, ხილს, უზრუნველყოფილები არიან წყლით. რაზეც ხელი მიუწვდებათ ყველაფერს აკეთებენ შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

მოხისის დასახლებაში 58 კოტეჯია, ამდენივე ოჯახია ჩასახლებული.

დიასახლისი აღელვებით გვესაუბრება დაკარგულ ქალაქზე, ლამაზ სახლ-კარზე, მონატრებულ წარსულზე. ოცნებობს ოდესმე ცხინვალში დაბრუნებაზე. იგი ცხინვალის ცენტრალურ ფოსტაში მუშაობდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. ქალბატონ ნელის დიდი მონატრება აქვს ცხინვალელი მეზობლების და ახლობლების, მაგრამ განსაკუთრებით მასაც წინაპრების საფლავები ენატრება. ცრემლს ვერ იკავებს: ჭეშმარიტ ქართველებს იქ დარჩენილი საფლავები გვტკივა, უწარსულონი ხომ არ ვიყავით, ასე რომ დავრჩითო – ნუხს იგი. ყაზახაშვილები კმაყოფილები არიან აქ მცხოვრებ დევნილთა მეზობლობით. მათ გვერდით ცხოვრობენ: სიკტურაშვილები, კაპანაძეები, ტაბატაძეები, ქოქოშვილები, გეგელაშვილები, მარანელები, შუბითიძეები და სხვები. მკვიდრ მოსახლეობასთანაც კარგი ურთიერთობა აქვთ.

საუბარი და მასპინძლობა იმდენად ბუნებრივი და გულწრფელი გამოგვივიდა, რომ გულში სხვანაირი სიტბო ჩამეღვარა და დღემდე არ მავიწყდება. არც ის სიხარული დამრჩა შეუმჩნეველი, თუ როგორი კმაყოფილები დარჩნენ ყაზახაშვილები, მათი ცხოვრებით რომ დავინტერესდი.

მშვიდი, სასიამოვნო, შრომისმოყვარე, განათლებული, კეთილი ადამიანები გამოდგნენ. ნებისმიერი პიროვნება მათ მეზობლობას ინატრებდა. როგორ შეიძლება ასეთი კეთილშობილი ხალხი საზღვრის იქით მცხოვრებ ოს მეზობლებსაც არ ენატრებოდეთ.

რამდენი რამ ვიგრძენი ამ შეხვედრით. ერთდროულად გულიც დამწყდა და კიდეც გამითბა. სიყვარულით დავემშვიდობე და სხვა ოჯახებისაკენ გადავინაცვლე.

რამდენიმე ქუჩა გავიარეთ და ერთ-ერთ ბინასთან გავჩერდით. იქიდან სანდომიანმა დიასახლისმა **მარინა სტეფნაძემ**

გამოიხედა. ჩემი მეგზურის დანახვაზე მარინა სიხარულისგან გადაირია. დიდი სიყვარულით მოიკითხა, როგორც ახლობელი და ოჯახში შეგვიპატიუა. აქ მისი მეზობლებიც დაგვხვდნენ: **მაკა მაჭარაშვილი** – ოქონიდან, რომელსაც სამი შვილი ჰყავს **ელისო ასანიძე** – ხუნდისუბნიდან, **ნესტან ლაცაბიძე**, **კლარა ფეხშველაშვილი**. აქვე ცხოვრობენ: **ლაშა, ლერი, ევგენი გაჩეჩილაძეები** – ლოპნიდან. **ალიკა არაბაძისა და ნათია დავითიძის** ოჯახი ავნივიდან, რომლებსაც ჰყავთ ორი შვილი ლია და თეა. ჭილაძეები, კვინიკაძეები, კაპანაძეები, სიქტურაშვილები. არიან ოჯახები სოფელ ნულიდან: მარინა და ნონა ტაბატაძეები, ეკატერინე ჭავჭავაძე.

დევნილთა შვილები დადიან მოხისისა და ქვენატკოცის სკოლებში.

ქალბატონები დღეს ხალისიანად გამოიყურებიან. გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლათ. „ჭირსა შიგან გამაგრება“ მათი ცხოვრების ხედვაა. ესენი არიან შრომაში გამობრძმედილი ქართველი დედები, რომლებიც საკუთარ ოჯახებს დედაბოძებად ედგნენ, რაც დევნილობაშიც გაგრძელდა. გაუსაძლისმა წლებმა გამოავლინა, რომ ზნაურის რაიონის ქალბატონები გამოირჩევიან განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, საუკეთესო დიასახლისობით და უმაღლესი ნდობა ჰქონდათ და აქვე მოპოვებული მეუღლეებისაგან. ასეთი ერთგულებით მოიყვანეს ოჯახები დღემდე. როცა ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, მათაც დატოვეს საკუთარი სახლ-კარი და დევნილება იქცნენ. არც აქ, დევნილობაში არ უშინდებიან ცხოვრებას. იმ მცირე ტერიტორიაზე, რომელიც დაურიგდათ, მათთვის საკმარისი მოსავალიც მოჰყავთ. ნატრობენ დაკარგულის დაბრუნებას. რა დაავიწყებთ იმ დღეებს, როცა მათი ოჯახე-

ბის ძარცვა, დაშინება დაინყეს. წაასხეს საქონელი და ფრინველი. რაც დანგრევას გადაურჩა, ის სახლები რუსმა სამხედროებმა დაშალეს და მისგან „ყაზარმები“ ააშენეს.

მოხისში ცხოვრებას უკვე მიეჩვივნენ. მეზობლობენ, მეგობრობენ ერთმანეთთან. უკეთეს პირობებში არიან. ბინებს ურემონტებენ. გაზი შემოდის. წყალი აქვთ. უმოკლეს დროში დაბრუნების იმედი ნაკლებია, რადგან იქ მათი ბინები დანგრეულია. ყველაფერი თავიდან დასაწყებია და რაც ყველაზე მტკივნეულია, ჯერ ტერიტორია დასაბრუნებელი. ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ისიც არის, რომ ოსებმა ქართველების სახლ-კარი არ დაინდეს, იმ მძიმე დღეებში. ქართველების მიერ კი არც ერთი ოსის სახლი არ დამწვარა ქარელის რაიონში, მათ ან აიძულებდნენ, ან თვითონ ტოვებდნენ და მიდიოდნენ.

ცხოვრება კი ისევ გრძელდება. მრავლდება დევნილთა ოჯახები ჩასახლებულ ტერიტორიაზე. არის ქორწილები, ძეგობები. ესიზმრებათ მიტოვებული სოფლები, ენატრებათ საკუთარი ლამაზი სახლ-კარი, ტყეში დაკრეფილი სოკო და ჯონჯოლი, სახლის ყველი და კარაქი, საყვარელი საფლავეები, აღმართ-დაღმართი, მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა, იქაური თოვლი და წვიმა, მაგრამ გულს მაინც არ იტყხენ:

*თვალ-ხელს შუა წლები დნება,  
ერთად ყოფნით ერთურთს ათბობთ,  
სოფლის ასე მონატრება  
ლოპნელებმა იცით მარტო.*

## დოღლაურში

კვლავ გზას ვაგრძელებთ. მალე დოღლაურის დასახლებაც გამოჩნდა. მანქანას ვაჩერებთ და ერთ-ერთ ეზოში შევდივართ. შემოვლობილ, მოვლილ ეზოებს შიგნით კოტეჯებია. ჭიშკარს გვიღებს ქალბატონი **მარინა ცაბაძე**. ეს არის საშუალო ასაკს გადაცილებული, ყოჩალი, შრომაში ნანრთობი ქალბატონი, რომელიც თონიდან ცხელ პურს ყრის. მას ოთხი შვილი ჰყავს. მეუღლეა **გურამ ცაბაძე**.

ეს ოჯახი გამორჩეულია იმით, რომ ორჯონიკიძიდან (ვლადიკავკაზიდან) დევნილები არიან. მარინა დიდ მადლობას გამოხატავს, როგორც დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, განსაკუთრებით ბატონ ვალერი ვაშაკიძის მიმართ, ასევე ქარელის რაიონის დევნილთა სამსახურის წარმომადგენელთა მიმართაც. მარინა არადეთიდან არის და დევნილობის დროსაც საკუთარ რაიონს მოაკითხა.

მარინას არ დაავიწყდება ის გულისხმიერება, რაც მის მიმართ გამოიჩინეს. იგი ამბობს, რომ ამ ადგილის გარდა, ახლა უკვე ვერსად ვერ იცხოვრებს. აქ ისეთი წესიერი, გონიერი ხალხი ცხოვრობს, თავს ბედნიერად გრძნობს. მარინას ოჯახი სოციალურ დახმარებას იღებს, რაც მცირეა, ამიტომ კერძო სამუშაოსაც ასრულებს. შრომა არ ეზარება, იგი ხალისიანი, აქტიური, საინტერესო ქალბატონია. მთელი ოჯახი მხარში უდგას. ასეთი ქალბატონები არ ბერდებიან. დიდ ენერგიას სხვასაც გადასცემენ და ენთუზიაზმით ავსებენ.



## მიმინო – ჟენია სამხარაძე ცირა კუჩმაზოვა

ხეივანით დაჩრდილულ პატარა ეზოში შევედით. დიასახლისი ღიმილით შემოგვეგება და შინ შეგვიპატიჟა. ჩემი მეგზურის დანახვაზე სინარულის ცრემლები წამოუვიდა, მომიბრუნდა და მითხრა, – რაც ამ ქალბატონმა დახმარება გამინია, იმას როგორ გადმოგვცემ ენით, თანაც მაღლობაც კი არ მითქვამს დღემდეო. სახლში შესვლისას ისეთი იდილია დამხვდა, ვიფიქრე აქ აუცილებლად პედაგოგი უნდა ცხოვრობდეს მეთქი. არც მოვტყუებულვარ.

მიმონო ზნაურის რაიონიდან არის, სოფელ ნაბაკევიდან. მუშაობდა ზნაურის რაიონში ბუღალტრად, თუმცა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. მისი ოჯახი ჯერ ძმასთან ერთად ცხოვრობდა აგარაში, შემდეგ გამოცალკევდა და აქ დასახლდა. სიყვარულით ზრდის ძმისშვილს. „ნეტავი ჩიტად მაქცია, შორიდან მაინც მაჩვენა ჩემი სახლკარი“ – ნატრობს მიმინო. მიმინოს უყვარს ყველაფერი, რაც წარსულს ახსენებს. იგი სიყვარულით იგონებს ზნაურის საშუალო სკოლის დირექტორს ქალბატონ ცირა გუჩმაზოვას, რომელიც საუკეთესო ქართულის მცოდნე იყო. სიყვარულით ექცეოდა ყველა მოსწავლეს, ოსსაც და ქართველსაც. ახლაც კი ყურში ჩაესმის მისი სიყვარულით სავსე დარიგება.

დიდი მაღლობა ქალბატონო ცირა, რომ თქვენი კეთილშობილებით აღამაზებდით ზნაურის საზოგადოებას, დღემდე არ ავიწყდებათ თქვენეული სიკეთის მაღლი. თქვენნაირი დიდებული ადამიანები სიცოცხლეს სხვათა გულებშიც აგრძელებენ, სადაც სიკეთისა და სიყვარულის მარადიულ ძეგლებს ემსგავსებიან.

მიმინოს არ ავიწყდება ის კარგი მეზობლობა, მეგობრობა, ნათლიობა, რძალ-დედამთილობა, სიძე-სიმამრობა, რაც ქართველებსა და ოსებს შორის სუფევდა, „თითო-ოროლა მწარე ოსიც გამოერეოდა ხოლმე, მაგრამ სიკეთე და მეგობრობა მეტი იყო“, – ამბობს იგი.

„23 წელიწადია წინაპრების საფლავები არ მინახავს, ამაზე მტკივნეული რა უნდა იყოს ჩემთვის. ქართველები მიმტევებლები ვართ. მე იმედი მაქვს ტერიტორიების დაბრუნების, ერთმანეთის მიტევების. ჩემი ძმაც ისევ ნაბაკევში დაბრუნებაზე ოცნებობს, სადაც ახალგაზრდობა გაატარა. თუ დიდ სახლს ვერ ავაშენებ, პატარა ქოხს დავდგამ, შევალ და იქ ვიცხოვრობო“. ასეთია მიმინოს ოჯახის განწყობა. „ვერც იმ დღეებს ვივინყებთ, როცა დევნილებად ვიქეციით – განაგრძობს იგი. ერთ მჭადს 6 ნაწილად ვიყოფდით, რომ ყველას გვყოფნოდა. მეზობლები ლობიოს რომ მოგვანვდიდნენ, ჩვენ საფანლით ვაბეგრებდით. არანაირი ნივთი არ გაგვაჩნდა, არც ტანსაცმელი და არც ფეხსაცმელი. ჩემი ძმა ზოგ ფეხსაცმელს ძირს ააცლიდა, ზოგს ზედაპირს და ასე გვიკერავდა. ამ ყველაფრის შემდეგ მაინც გვინდა საკუთარ ქერქვეშ დაბრუნება, თუნდაც იმიტომ, რომ დევნილები აღარ გვერქვას. ეს ჩვენს ღირსებას ამცირებს, შრომა არ გვეზარება, გასაჭირი გამოვლილი გვაქვს. საქართველოში 300 000 დევნილია, თუ არა ბრძოლის უნარი და ერთმანეთის მხარში დგომა, ისე რა უნდა გვეშველოს?“

ვემშვიდობები ქალბატონ მიმინოს და მეც იმედით ვივსებ. მისი საუბარი იმდენად გულწრფელი და დამაჯერებელია, თვალნათლად ვხედავ მის გავლილ გზას. ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს კეთილო ქალბატონო! ქვეყნის გულშემმატკივარო ქართველო! ქვეყნის გულშემმატკივრობა ხომ ყველა ჩვენგანის მოვალეობაა.

## ქეთევან ცისკაძე



წლების მანძილზე მუშაობდა საგანგებო სიტუაციების უფროსის მოადგილედ. ქეთევანი სახემოლიმარი, ენერგიული, სასიამოვნო ქალბატონია. თვითონ დევნილი, იმდენ ადამიანს ამოუდგა მხარში, იმდენი ადამიანის ტკივილი გაიზიარა, რომ საკმაოდ პოპულარული გახდა გარშემომყოფთათვის მისი პიროვნება.

ქეთევანი საუბარს იწყებს იქიდან, რომ მისთვის ქვეყნად ყველაზე საყვარელი ადგილი ზნაურია, ის სახლი, სადაც დაიბადა, გაიზარდა, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ის საყვარელი სახლი აღარ არსებობს, ოსებმა მთლიანად დაწვეს, ხოლო ზნაური ოკუპირებულ ზონად გამოცხადდა. ამას მტკივნეულად განიცდის პატრიოტი ქალბატონი. ქარელის რაიონში ცხოვრებას შეეგუა, მაგრამ მისთვის ახალ რაიონში ახალი სტატუსით შემოვიდა. ლტოლვილი, დევნილი – ასე იწოდება დღემდე. „ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენ ადგილნაცვალი პირები ვართ და არა დევნილები და ლტოლვილები, მაგრამ ეს მტანჯველი სიტყვა მძიმედ დაგვანვა მხრებზე, როდემდე უნდა ვზიდოთ მისი სიმძიმე, არც ის ვიცი“ – ამბობს ქეთევანი.

ქეთევანს ისიც გულს სტკენდა, რომ დევნილების შესახებ ხდებოდა ოსების სახლებში, მაგრამ ბევრი კარგიც ხდებოდა. კარგი ის იყო, რომ რაიონი გვერდში დაუდგა, უამრავი საუკეთესო ადამიანი გაიცნო, სიყვარული და სიკეთე ათმაგად დაუბრუნდა, სამსახურში მიიღეს, შრომა დაუფასეს, ნდობა მოიპოვა, ბებნისში თავშესაფარი მისცეს, რომელიც უკვე თვითონ გაალამაზა და ცხოვრებაც ჩვეული რიტმით წარიმართა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მეგობრები სა-

კუთარ ულუფას უნანილებდნენ შვილებისთვის. ერთ წუთსაც კი არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. ამაზე მეტი სიკეთე რაღა უნდა ენახა.

ქეთევანს ლამაზი ოჯახი აქვს. მისი მეუღლე პატრიოტი პიროვნებაა. ვაჟი სტუდენტი ჰყავს, მომავალი ექიმი. ქეთევანთან საუბრისას ტკივილთან ერთად დიდი იმედიც ვივსები. იგი ოცნებობს ერთიან, თავისუფალ საქართველოში ცხოვრებაზე, ზნაურში დაბრუნებაზე, დევნილის სტატუსის გაუქმებაზე. ეცნობი ასეთ ადამიანებს და გრძნობ, ერის ძალა მათ შინაარსიან ცხოვრებაშია. ერის სიდიადე მათი გზის სისწორეშია, იმ ადამიანებშია, რომლებსაც ჭირშიც და ლხინშიც არ დაუკარგავთ უფლის მიერ მონიჭებული სახე, რათა თვითონ შექმნან მომავალი, უპატრონო ნარსულს, მოიპოვონ სიყვარული, იშრომონ და არ შეუშინდნენ განსაცდელს, რათა ღირსეულად იცხოვრონ სხვა ერის შვილთა გვერდით, როგორც გვიცხოვრია. ჩვენ ხომ ძველთაძველი მრავალსაუკუნოვანი კავკასიის შვილები ვართ.



# ქარელი – ქართლის მტკიცე საყრდენი

*15 აგვისტო, 2014 წელი*

ზაფხული თანდათან იწურება. სიცხე კი უკან არ იხევს. დედამინა გვალვისაგანაა გამომშრალი. ბალახის ღეროებს ენატრება დილის ცვარ-ნამი. ზენა ქარსაც კი სინოტივე აღარ მოჰყვება. შუა ქართლის ველ-მინდვრებზე კი მუხლჩაუხრელად შრომობს მოსახლეობა გარიჟრაჟიდან შებინდებამდე. მთელი წლის მონეულ მოსავალს გულდაგულ აბინავებენ.

კვლავ ჩემს მშობლიურ ქარელში მივემგზავრები. ავტობუსი ცენტრალური გზიდან მარჯვნივ უხვევს და ესეც ჩემი ქარელის გადასახვევი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი გადასახვევია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. გზის ორივე მხარეს ჩარიგებული ფიჭვისა და ვერხვის, ნაძვისა და კაკლის ტანაშოლტილი ხეები მასპინძლებივით ქარელისკენ მიგიძღვებიან. გზაზე საოცრად ბრწყინავს ხასხასა სიმწვანე შუქ-ჩრდილების ფონზე. გზას უამრავი კაშკაშა სხივი მარაოსებურად აფერადებს და ალამაზებს. ახლაც მივყვები ამ საოცარ გზას და სიმშვიდე მეუფლება. ფიქრით კი შორეულ წარსულს ვეხმიანები.

ქარელი ოდითგანვე ქართლის მტკიცე საყრდენია, შიდა ქართლის ვაკეზე განლაგებული. მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მშვენიერი რაიონია. მოცულობით არც თუ დიდი, მაგრამ საკმაოდ მიმზიდველი მდებარეობით. თუ

უძველეს ფოლიანტებს გავეცნობით, ბევრ საინტერესო ამბავს წავიკითხავთ მის შესახებ. მას მრავალი განსაცდელი აქვს გადატანილი მტერთა შემოსევების დროს. ძვ. წ. აღრიცხვით I საუკუნეში განადგურდა ქარელის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე „დედოფლის მინდვრის“ სატაძრო კომპლექსი თავისი განსაცვიფრებელი ორნამენტებითა და კაპიტელებით.

VIII საუკუნის I ნახევარში მურვან ყრუმ გაუგონარი სისასტიკით დაანგრია და გადაწვა ქალაქი ურბნისი. 1400 წელს განსაკუთრებით დაზარალდა ძამის ხეობა თემურ ლენგის მეექვსე შემოსევის დროს.

ქარელის რაიონში შემავალ სოფლებს დიდ ზიანს აყენებდა ლეკთა თარეში. მრავალჯერ აღდგა დაცემული და მრავალჯერ იწყო აღორძინება. როგორც შიდა ქართლის ღირსეულ ნაწილს, არც განსაცდელი დაჰკლებია და არც მხარდაჭერა საქართველოს მეფეებისგან.

თურქ-ყიზილბაშთა, ლეკ-აბრაგთა და სხვა მომხდურთა წინააღმდეგ შიდა ქართლში და მათ შორის ქარელის რაიონის ტერიტორიაზე თავგანწირვით უბრძოლიათ გიორგი ბრწყინვალეს, გიორგი VII-ს, სიმონ I-ს, ლუარსაბ II-ს, გიორგი XI-ს, თეიმურაზ II-ს, ერეკლე II-ს და სხვა სახელოვან პიროვნებებს.

მკვიდრი მოსახლეობის გარდა, საქართველოს ყველა კუთხიდან სახლდებოდა აქ ხალხი: ჯავახეთიდან, იმერეთიდან, კახეთიდან და სხვა რაიონებიდან. ასევე ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქარელში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლები. ქართველებთან ერთად ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, რუსები და სხვები, რომელთა შორის ურთიერთშეთანხმება და მეგობრობა სუფევდა.

ქარელი რუისის საეპისკოპოში შედიოდა. იგი ძირითადად თავად ციციშვილებსა და მათ აზნაურებს ეკუთვნოდათ. ქა-

რელის რაიონიდან უამრავი სასახელო ადამიანია გამოსული, რომლებმაც სხვადასხვა დროს ასახელეს არა მარტო რაიონი, არამედ ქვეყანა. ასეთები იყვნენ: ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, გიორგი არადულ-იშხნელი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, შიო მღვიმელი, ანასტასია ერისთავ-ხომტარია, ჯანო ბაგრატიონი, სოფრომ მგალობლიშვილი, ელენე ყიფშიძე, თამარ ციციშვილი, გიორგი ციციშვილი, ნაზი კილასონია, შოთა ჩოჩიშვილი, ომარ ვარძელაშვილი და სხვები.



*შიონიშვილის ტაძარი*

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი მწერლის, ისტორიკოსისა და საეკლესიო მოღვაწის – ლეონტი მროველის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც XI საუკუნეში მოღვაწეობდა. ქარელის რაიონში თრეხვის ძნელად მისადგომ გამოქვაბულში აღმოჩენილი იქნა ქვაჯვარი, რომელზეც ნარწერა ასე იკითხება: „ მე, ლეონტი მროველმა დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებსა დღესა ჭირისასა და ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის.“ ასე, რომ ლეონტი მროველი მრავალმხრივ მისაბაძი პიროვნება ყოფილა. მას ეკუთვნის ვრცელი ისტორიული ნაწარმოებები: „მეფეთა ცხოვრება,“ რომელიც „ქართლის ცხოვრების“ განუყოფელი ნაწილია.

ქარელს იმ ჯვრის სიმტკიცე იცავს დღესაც, რომელიც მის ღვანღმოსილ შვილს ქვაში გამოუკვეთია და მრევლის გადასარჩენად მყუდრო ადგილი მიუჩინია. ასეთი საეკლესიო მამები რომ არა, ვინ იხსნიდა ქართველობას. რწმენის სიმტკიცე და უამრავი განსაცდელის გადატანა რომ არა, რა გადაარჩენდა ქართველს იმ უამრავ თავს დატეხილ ქართველებში, ერთგულების ნიჭი და სიცოცხლის სიყვარული რომ არა, როგორ მოვალწევდით დღემდე.

ქარელში ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნეშია აგებული დავით ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ. აქვე, ციციშვილების სასახლის ეზოში მდგარა ციხე, რომელიც დანგრეულია, მაგრამ ხალხი ამ ადგილს დღესაც „კომკებს“ უწოდებს. ამჯერად ქარელში ააგეს სამების ეკლესია. დღეს, არამარტო ქარელში, არამედ ქარელის რაიონის მრავალ სოფელში განახლებულია ტაძრების აღდგენა, მშენებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით

გამოირჩევა ძამის ხეობის შემოგარენი, სადაც ორმოცდაათ ტაძარზე მეტია ამოქმედებული და ასევე ტაძრებში მოღვაწე საეკლესიო პირების ცხოვრება მისაბაძი და დასაფასებელია. ამ ღვთიურ საქმეს ისე რუდუნებით შესდგომიან საეკლესიო მამები, მონაზვნები, რომ ეჭვი არ არის, რწმენის სიმტკიცე გვიხსნის განსაცდელისგან.

უახლოეს წარსულშიც ვინ მოთვლის იმ ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ქარელის რაიონს და რომლებმაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს მის ისტორიაში. ვინ დაივინყებს იმ თეატრალურ წარმოდგენებს, იმ პოეზიის საღამოებს, იმ საინტერესო შეხვედრებს, რაც ქარელის ინტელიგენციას მოუწყვია საზოგადოებისათვის.

ვინ აღწერს იმ საუკუნოვან მეგობრობას, რაც ქართველ და სხვა ერის შვილთა შორის ტრადიციად იყო დამკვიდრებული. ქარელის მოსახლეობას არ დაავინყდება ის წლები, როდესაც მასიურად მოხდა ებრაელთა გაცილება ისრაელში. საკუთარი მიწის ძახილზე ფეხზე დადგა ებრაელი ერი და სამშობლოსაკენ დაიძრა, მაგრამ უმძიმესი იყო მეორე სამშობლოს – საქართველოს დატოვებაც. იყო ტკივილი და ზღვარს გადასული სიყვარულის გამოხატვა, იყო ცრემლი და გათენებული ღამეები, გაცილება და განშორება. ეს დღეები იყო სიყვარულის უდიდესი დასტური ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობაში, რაც დღემდე გრძელდება. ამის დავინყება შეუძლებელია.

ქარელელმა კაცმა იცის უანგარო მეგობრობისა და ერთგულების ფასი... ვისაც ეძმოა, ბოლომდე მისი გატანაც შეუძლია. ვინც ქარელში ერთხელ მაინც ყოფილა და ღირსეულ მასპინძელთან მოხვედრილა, მას შეუძლია იმ სიყვარულის გათავისება, რაც ქარელელებს სჩვევიათ – ერთგულება და თანადგომა.

ავტობუსი ულამაზესი ხეების ხეივნიდან რაიონის ცენტრისკენ მიემართება. შევდივარ მაღალ შენობაში, სადაც თიღვის მუნიციპალიტეტია განთავსებული. დღეს კვლავ დევნილებს ვხვდები. დევნილები... რატომღაც ვერ ვეგუები ამ სიტყვას. თუნდაც იმიტომ, რომ არ უნდა იყვნენ ადამიანები დევნილები საკუთარ სამშობლოში.

**ვაჟა ცისკაძე** – ეს არის ღირსეული პიროვნება, თიღვის თემის ყოფილი გამგებელი. ჰყავს მშობლები, და და ცოლ-შვილი. იგი სათქმელს ამბობს გულისტკივილით და დამაჯერებლად.

დევნილობამდე ვაჟას ოჯახი ცხოვრობდა ზნაურში. 1990 წელს დაამთავრა უმაღლესი და მუშაობა დაიწყო ზნაურის პირველ საშუალო სკოლაში. ვაჟა ჰყვება, რომ ურთიერთობის გამწვავებამდე ერთად, მეგობრულ გარემოში იზრდებოდნენ ქართველი და ოსი ბავშვები. სკოლაში უმეტესობა ქართველობა იყო, ვიდრე ოსები. თანდათან ოსური ეთნოსი გამრავლდა და ქართული მოსახლეობა შემცირდა. მათი დენადობის პროცესმა იმატა. მომრავლებასთან ერთად, რატომღაც ოსი პრივილეგირებული გახდა ქართველთან შედარებით საქმეში, სამსახურში, წინსვლაში. ეს იყო ჩადებული ნაღმი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა აფეთქებულიყო და გამიზნულიც ამისთვის იყო საბჭოური ცხოვრებიდან. მალე „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაცია დაარსდა და ამოქმედდა. ამ ორგანიზაციის დაარსება დააჩქარა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოსვლამ 1987-88 წლების ზაფხულში. იქ საუბარი იყო ქართული ენის გაძლიერებაზე და არაქართველი მოსახლეობისათვის ქართულის შესწავლაზე. ეს გახდა დამაჩქარებელი პროცესი, რათა შექმნილიყო ანტისანინააღმდეგო განწყობა და ამიტომაც ალან ჩოჩიევმა და მისმა მომხრეებმა ჩამოაყა-

ლიბეს ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი.“ ამ ორგანიზაციამ ჩაატარა სხდომა, რომელსაც ესწრებოდა თვითონ ვაჟა ცისკაძე. თავიდან მკაცრი დაპირისპირება არ ჩანდა, მაგრამ იდეური მკვებავეები გამოუჩნდნენ აღნიშნულ იდეას. ალან ჩოჩიევი კონსულტაციებს იღებდა მოსკოვიდან. ამ შემთხვევაში, როცა ეროვნულ გრძნობებზეა საუბარი, ამას მხოლოდ მოსახლეობას ვერ დააბრალებ. ვილაც პროგრამაზე მუშაობს, სამოქმედო პროგრამა აქტუალურია, ვილაც ხელმძღვანელობს და ხალხს მიანვდის იდეებს.

თბილისიდან, მთავრობიდან მცდელობა იყო მოლაპარაკების. როცა გამწვავდა მდგომარეობა, ცხინვალში გამოგზავნეს წარმომადგენლები: გუბაზ სანიკიძე, ელდარ შენგელაია, გიგა ლორთქიფანიძე და პოლიტოლოგი ლევან ალექსიძე.

ალან ჩოჩიევმა ისაუბრა ერთიან ოსურ მოსახლეობაზე, თითქოს ოსები შევიწროებულები იყვნენ ქართველებისგან, რაც სი-



*ორთუხნის ციხე-ქალაქი ქარაღვი. ციციშვილების რეზიდენცია*

მართლეს არ შეეფერებოდა. გუბაზ სანიკიძე გამოვიდა სიტყვით და გააფრთხილა ორგანიზაციის ხელმძღვანელები. მან აღნიშნა, რომ მათეული განაცხადი არ წაადგებოდა სასიკეთოდ მომავალში არც ქართველებს და არც ოსებს. წლების შემდეგ ინანებდნენ ამის გამო. ასეც მოხდა, ამბობს ბატონი ვაჟა.

კარგი, შემრიგებლური სიტყვა თქვა ელდარ შენგელაიამ. გაიხსენა ფილმი „ფატიმა“. აღნიშნა ის საუკეთესო ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ორი ერის შვილთათვის, რომ ორივე ერის წარმომადგენლები ქართულ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ.

გიგა ლორთქიფანიძემ მაშინ ანტიეროვნული ქადაგება უწოდა ამ მოძრაობის იდეას. „ადამონ ნიხასი“ თანდათან ძალებს იკრებდა. მის შეჩერებას კი არ შეეცადნენ, პირიქით, შუღლი და მტრობა გააღვივეს საწინააღმდეგოდ განწყობილმა ძალებმა და დაპირისპირებაც თვალნათლივ გამოჩნდა.

1991 წლის 4 იანვრიდან ვაჟას ოჯახი იძულებული გახდა წამოსულიყო ზნაურიდან. ჯერ გორში, ხოლო შემდეგ ქარელში, სოფელ ბებნისში დასახლდნენ. შეისყიდეს ბინა, რომელშიც დღემდე ცხოვრობენ. ჰყავს ორი შვილი – ხატია და გიორგი. ხატია წარმატებული სტუდენტია. იგი ხშირად დადის იტალიის ქალაქ პალერმოში იტალიელ მეგობრებთან და პირიქით, თვითონაც მასპინძლობს მათ საქართველოში. ეს ორი ქვეყნის მეგობრული კავშირების შედეგია. ქართველი გოგონასათვის კი წარმატების საწინდარიცაა. ვაჟა ცისკაძის ოჯახი ასეთ წარმატებულ, გონიერ ახალგაზრდებს უზრდის ქვეყანას.

# სტუმრად შერეული ოჯახის წევრებთან

## ელიკო ხუროშვილი ოთარ გათიკაევი

რაიონის ცენტრში ლამაზი ეზო-კარი თითქოს გიზიდავს სტუმრობისათვის, თითქოს გეძახის. მეც შევედივარ ჩემს თანამოაზრესთან ერთად გათიკაევის ოჯახში. ჭიშკართან სიმპათიური ქალბატონი – ელიკო ხუროშვილი გვეგებება.

ეს ოთარ გათიკაევის სახლ-კარია. ოთარს მოფერებით „გათკას“ ეძახიან. ქარელში ყველამ იცის, რომ ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ოჯახია, სადაც კვლავ კარგი მომავალი თაობა იზრდება, როგორც წინათ. ოთარი მოსწავლეობიდანვე გამორჩეულად უყვარდათ მეგობრებს. მის მშობლებსაც პატივს სცემდნენ გარშემომყოფნი. ოთარი ქარელში ცნობილი იყო, როგორც წარმატებული სპორტსმენი, არც არავინ გამოარჩევდა იმის მიხედვით, ოსი იყო თუ ქართველი. უპირატესობა ადამიანური თვისებებით ენიჭებოდა ყველას. ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის დროსაც ოთარი წარმატებით თამაშობდა ფეხბურთს, შემდეგ ქარელში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

ელიკოს და ოთარს სამი შვილი ჰყავთ, სამივეს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული.

„ბევრი რამ მოხდა ჩვენს თვალწინ, – ჰყვება ქალბატონი ელიკო, – ბევრჯერ გაგვიჭირდა, სიკვდილ-სიცოცხლის

ზღვარზეც ვმდგარვართ, მაგრამ ოთარის ავტორიტეტმა გვიშველა. ხალხისგან დიდი სიყვარული მოდიოდა ჩვენი ოჯახის მიმართ, ასე რომ, გადავრჩით. მინდა ყველაფერი დავინყო: წყენა, შუღლი, მტრობა, რაც ცუდია და რაც გასახსენებლადაც არ ღირს. ჩემს ოჯახს დავინყებულები აქვს ეს ყოველივე. ჩვენ ხომ ორივე ერის შვილები ვართ და ქართველებს ვზრდით“ – საუბარს ამთავრებს ქალბატონი ელიკო.

შემდეგ ვსაუბრობთ ომის შესახებ, თუ როგორ განიცდიდა ქარელის მოსახლეობა თავს დამტყდარ უბედურებას ოსებისა და ქართველების დაპირისპირების გამო. როგორ ელახებოდათ ღირსება ძირძველ ოს შესანიშნავ ოჯახებს, რომლებიც ოდითგანვე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. უშუქობაში, სიცივეში, გვიანობამდე, როგორ იკრიბებოდნენ ორივე ინტელიგენციის წარმომადგენლები რომელიმე მათგანის ოჯახში და ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, რათა გამოსავალი ეპოვათ. ფრთხილობდნენ ის ხიდი არ ჩამტყდარიყო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე აგებდნენ. ყოველი დაღამებული დღე დამძიმებული ფიქრით თენდებოდა.

დღეს, როცა გადაიარა იმ ქარიშხალმა, კვლავ ერთად არიან, კვლავ გრძელდება ცხოვრება ჩვეული რიტმით და არც არაფერი აქვთ მეზობლებს გასაყოფი. ქართული მიწის მადლი ყველას ათბობს და ყველას ჰყოფნის. ყველა ხომ უძველესი, სტუმართმოყვარე, მართლმადიდებელი საქართველოს შვილები არიან.

## ამაღლებიდან ამაღლებაამდე

ქართლი – ულამაზესი მთათაშორისი, დამშვენებული ხეობებით, მდინარეებით, ციხე-ტაძრებით, ხილის ბაღებით, სახნავ-სათესით, მაღლობებზე შეფენილი სოფლებით, შრომითა და გარჯით დამშვენებული ეზოებით, სიცოცხლის ხალისით გამთბარი ხალხით.

ჩემი ულამაზესი ქართლი.

საქართველოს პირველი სახელმწიფოებრიობაც ხომ ქართლიდან იწყება.

ყოველი ერის ისტორიაში დგება წლები გამთლიანების, ამაღლების, განახლების, სიყვარულისა და ღვთიურობის. ეს გამორჩეული წლები გამორჩეული პიროვნებებით მშვენდება.

III საუკუნე ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

„... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი...“ გვამცნობს XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი. ეს იყო პირველი ამაღლება ერის ისტორიაში. საოცარია, როგორი იყო ფარნავაზის დროინდელი ქართლი, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას ჩაუდგა სათავეში?

ალბათ გაზაფხული იყო მცხეთის შემოგარენში და უამრავი ფერი იღვრებოდა ნათელი ციდან.


IV საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვით.

ღვთიური მაღლით კურთხეული მიწა ნინო კაბადოკიელის ჯვრით იწყებს ამაღლებას და ხდება „მოქცევა“ ქართლისა. ქრისტიანობა მირიან მეფის დროს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს უკვე მეორე დიდი ამაღლება იყო ქართველი ერის ცხოვრებაში. და ასე, მოვდიოდით საუკუნეების ძნელად სავალ უღელტეხილზე ამაღლებიდან ამაღლებამდე.

V საუკუნე.

ვახტანგ გორგასლის ზეობა.

15 წლის ვახტანგმა დარბაზის ერნი პირველ შეხვედრაზევე მოხიბლა სიღინჯით, საქმის ცოდნით და შემართებით. ქვეყანა შენუხებული იყო ოსთა შემოსევებით, საშველი კი თითქოს აღარსად ჩანდა. სადარბაზოდ მიღებული გადანყვეტილება შეუვალი აღმოჩნდა ჩრდილოელი მტრის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მეფის წინამძღოლობით ქართველთა ჯარმა დარილის ხეობა გაიარა და მტერს ეკვეთა. სასტიკად დაამარცხა ოსები და ყივჩაღებიც დაიმორჩილა. ჯუანშერი გადმოგვცემს: „მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი, მათი მოისრნეს და ტყუე იქმნნეს, ხოლო უმრავლესი მეოტი ოვსთა მათგანი ცოცხალი შეიპყრეს, მერმე განიბნივნეს ტყუევნად ოვსეთისა შემუსრნეს ქალაქი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუევანი ურიცხვი... და მეფენი ოვსთანი შელტოლოვილი იყვნეს სიმაგრეთა კავკასიათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი და დაიზავნეს“.



დარილის ხეობა





ამის შემდეგ გამარჯვებულმა მეფემ დარიალის ხეობაში ციხე-სიმაგრეები ააგებინა. ჩრდილოეთიდან საფრთხე აღარ მოელოდა, მაგრამ ვახტანგმა თავისი ჯარით კავკასიონის ქედს იქით, დასავლეთისკენ განაგრძო ლაშქრობა. იგი მივიდა შავ ზღვამდე და მთელი ჩრდილოეთ კავკასია დაიმორჩილა. მას „იალბუზის გმირი“ უწოდეს. ასე განუმტკიცა ვახტანგ გორგასალმა ქვეყანას ჩრდილოეთის საზღვარი.

ქართლის სამეფოს მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უძველესი დროიდანვე, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი, ცენტრალური ქვეყანა.

ქართლი რამდენიმე ნაწილად იყოფა. ერთი ამ ნაწილთაგანი XI საუკუნის ისტორიკოსის – ლეონტი მროველის აზრით უფლოსის სამფლობელო ყოფილა, რომელიც „დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოსისსა და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარავნამდინ...“

საინტერესოა აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული წყარო ქართლის შესახებ.

„ტაშისკარსა და ლიხის მთას ქვეითი არაგვ თბილისამდე სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილისის ზევით მტკვრის სამხრეთისა და თრიალეთი ფარვანამდე არიან წელი უფლოსისა მცხეთოსის ძისა და უფლოსისაგან ეწოდა ზენა სოფელი შიდა ქართლს. და ესენი პირველი იყო ერთი სასპასპეტო და ყოველთა სპასპეტთა ზედამხედველი“.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე შიდა ქართლში შედის ხევი და დვალეთი (მდინარე არდონის და მდინარე ფიაგდონის სათავეები).

დვალეთი რომ უძველესი დროიდანვე შედიოდა ქართლის სამეფოში, ეს კარგად ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით. რომლის მიხედვით „კარნი ოვსეთისანი“ და „ორნი კარნი“ დვალეთისა ქართლის სამეფოს ტერიტორია იყო. ისტორიკოს დავით მუსხელიშვილის გამოკვლევით IV საუკუნეში ქართლის მეფეთა ხელთ იყო კავკასიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილის – დარიალანის, ანუ „ოვსთა კარის“ გასაღები. „...და არსებითად მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული იმიერკავკასიის მეჯოგე ველურთა გადმოყვანა, იმ ნობადებისა, რომელთა თარეში სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა... დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზებულ საზოგადოებას“. (საქართველოს ისტორია. ტ. II გვ. 10. თბილისი. 2012 წ.)

საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დროს, ქართლი იყოფოდა „ხევებად“ მდინარეთა მდებარეობის შესაბამისად. დგინდებოდა სამთავროებად, მთლიანდებოდა სასპასპეტოებად, იწოდებოდა ზენა (ზემო), შუა და ქვემო ქართლად. რომლის დედაქალაქიც იყო მცხეთა. იცვლებოდა მისი საზღვრები. მტერთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს ხან ვიბრუნებდით, ხან ვკარგავდით დროებით, ხანაც სამუდამოდ.

სამაჩაბლოდ წოდებული ტერიტორია ქართლის მხოლოდ ნაწილია. იგი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ სათავადოს წარმოადგენდა. წარმოიშვა XV საუკუნის დასაწყისში მდინარე ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიული აჩაბეთის ხევი. სახელწოდება მომდინარეობს თავად მაჩაბელთა გვარიდან, რომელთა წინაპრები იყვნენ აზნაური თავხელიძეები. სამაჩაბლოს რეზიდენცია იყო აჩაბეთი, ხოლო საგვარეულო საძვალე – სამარხი – თირის მონასტერი და საბანძინდა ეკლესიურად ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს.

სამაჩაბლოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის საერის-  
თავო, სამხრეთიდან ფავლენიშვილთა და ამილახვართა მამუ-  
ლები, სამხრეთ-დასავლეთით საყაფლანიშვილო, ჩრდილო-  
დასავლეთით რაჭის საერისთავო. ჩრდილოეთით მაჩაბელთა  
ძალაუფლება დვალეთამდე აღწევდა. სამაჩაბლო გაუქმდა  
1850 წელს, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწ-  
ვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო სენატის დადგენილე-  
ბით მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყებას გადაეცა.

ყოველ ამალლებას ხომ დაცემაც მოსდევს, როგორც აღ-  
მართს – დაღმართი, უიმედობას – იმედი. დავუჯეროთ ბრძენ  
რუსთაველს:

*„ჭირსა შიგან გამავრება  
ასრე უნდა ვით ქვიტკირსა“.*



თირის მონასტარი

## ო, სამაჩაბლოვ, ტკივილო ჩემო!

ლამაზი იყო გაზაფხულობით სამაჩაბლოს ამწვანებული ველ-მინდვრები, მცხუნვარე ზაფხულში დათავთავებული ხორბლის ყანები, თეთრი და ვარდისფერი აკაციის ხეივნები, შრიალა ტყეები, წვერიახოს მთა, ცხინვალის შემოგარენი, კამკამა ფრონეები, ხმაურიანი ლიახვი.

დიდი და პატარა ლიახვის სიყვარული აქ მაცხოვრებლებს დაბადებიდანვე თან დაჰყვებოდათ. სადაც არ უნდა წასულიყვნენ, ამ მიწა-წყალის ნახვისა და მოფერების სურვილი შინ აბრუნებდათ. ასეა დღესაც, ოლონდ ერთი კია, ნატვრა აუხდენელი რჩება.

განსაკუთრებულად ოქროსფერი, უხვმოსავლიანი შემოდგომა იცოდა ამ შემოგარენში. ივსებოდა გლუხკაცის მარანი მონეული მოსავლით, მისი ნაშრომ-ნაამაგარით. სოფლებში იდგა მაჭრის სურნელი. უყვარდათ სტუმარი და დროც იყო მასპინძლობის. გვიანობამდე ისმოდა სახლებიდან ქართული „მრავალჟამიერი“ და ოსური „ჩეფენა“. ენატკბილობდა თამადა. ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს შექეიფიანებული მეზობლები, მეგობრები და ახლობლები: „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“-ო.

ქართველს მეზობლის გარეშე ჭირი ჭირად არ მიაჩნია და სიხარული სიხარულად. გვერდში მყოფი ცხოვრებას ულამაზებს და უადვილებს.

... და თვლემდნენ დათოვლილი სახლები თბილი ბუხრებით სპეტაკ სიმშვიდეში. მრევლს ელოდნენ ტაძრები. მრავლდებოდა სამეზობლოდ გაკვალული ბილიკები. იყო ქორწილები

და ნათლობები, იყო სიყვარული და თანხმობა სხვადასხვა ერის შვილთა შორის და დუღდა სიყვარულის ზღვად ქცეული ზედაშე ულამაზეს პატარა სამოთხეში – ჩემს სამაჩაბლოში.

ახლა კი ვდგავარ მტკივანი გულით მდუმარე საზღვართან, ზედ ქართლის გულზე გავლებულ საზღვართან. იქით დვანი და ავნეგია, (თუმცა ავნევი სადღაა), აქეთ დირბი, ცოტა უფრო შორს ცხინვალი, სამაჩაბლოს შუაგული, დიდი და პატარა ღიახვის ხეობები. ნისლში დანთქმულან მიტოვებული სოფლები, ნასოფლარები, ნასახლარები, შამბი და ეკალი მოსდებიან გზისპირებს. გაბალახებული მინდვრები. დგანან მლოცველების გარეშე დარჩენილი ეკლესიები, ციხის ნანგრევები. იცდიან პატრონდაკარგული სასაფლაოები. სურათებიდან იმზირებიან მოწყენილი სახეები. მიწაში ღრმად ჩამჯდარან ხავსმოდებული სასაფლაოს უძველესი ოთხკუთხა ქვები. გადაკარგულა სიხარული ამ სოფლებიდან. მერე დევნილებად, ხიზნებად დამკვიდრებულან, დაფანტულან და მონატრებას უნთებენ სანთელს. უფალს შესთხოვენ შინ დაბრუნებას.

დევნა – უკან გაკიდება, ანუ იძულებით გადაადგილება. ლტოლვილი – გარდახვენილი. ლტოლვილი-გარდახვენილი, ხიზანი, ასე განმარტავს აღნიშნულ სიტყვებს სულხან-საბა ორბელიანი.

ვდგავარ საზღვართან. შორიდან ისმის ეკლესიის ზარის ხმა. ზარი უხმობს მლოცველებს. უნებურად მახსენდება სახარებიდან ქრისტეს იგავი მდოგვის მარცვალზე: „ცათა სასუფეველი წააგავს მდოგვის მარცვალს, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში. იგი ყოველგვარ თესლზე მცირეა, მაგრამ როდესაც იზრდება, ყოველ მწვანილეულზე დიდია და ხედ იქცევა, ასე რომ მოფრინდებიან ცის ფრინველები და მის ტოტებს შეაფარებენ თავს.“

ხომ იზრდებოდა ამ კურთხეულ მინაზე მდოგვის მარცვალ-  
ლი ტოტებგაშლილ ხედ? ხომ იგებოდა ეკლესიები, ხომ პატ-  
რონობდა დედა ღვთისა თავის წილხვედრ ქართულ მინას?  
მაშ რატომ, რატომ იმძლავრა ბოროტებამ? რად ჩატყდა ხიდი  
მეზობლებს შორის? ვინ ჩატეხა იგი? რატომ არ ისმის ყველა  
ეკლესიიდან ზარების რეკვა? ან საზღვრის აქეთ რატომღა  
რეკავს მონყენილი ზარი საჭირისუფლო?

განა ოსებს არ დააკლდათ ქართველების სითბო და სიყვარ-  
ული? განა ღირსეული ოსი ადამიანები ვერ გრძნობენ იმ და-  
ნაკლისს, რაც მათ განიცადეს, რაც მოხდა, იმის გამო? განა იქ



*ღუგან ზარები*

არ ცხოვრობენ შვილმკვდარი ოსი დედები, როგორც აქ? განა არ ჰყავთ ახლობლები ქართულ სანათესაოში მიმოფანტული დევნილებად სხვადასხვა მხარეს, რომ ენატრებათ? საით გალღვება ყინული ადრე — აქეთ თუ იქით? ვის ეყოფა მეტი მიმტევებლობა, პატიების მეტი უნარი, ვინ აღმოჩნდება ამადლებული, ვინ ჩამოჰკრავს პირველ ზარს, რის გარეშეც შეუძლებელია ტკივილს მოვერიოთ, დაკარგული დავიბრუნოთ, ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩეთ?

ჩემო სამაჩაბლოვ, გზააბნეულ შვილთა სამშობლოვ, შენ ხომ ის მინა ხარ, ვერც ქართველი და ვერც ოსი რომ ვერ შეგელევა? შენ ხომ ის ნატვრის თვალი ხარ, სადაც საქართველოს გული ფეთქავს:

უერთმანეთოდ ორივეს გვიჭირს  
უფსკრულის პირი მზეზე პრიალებს,  
უფალო! მოგვეც შენდობის ნიჭი,  
სიყვარულს ნულარ დავაგვიანებთ!

ამობრწყინდი, ამოიზარდე, გაშალე მხრები მდოგვის მარცვლის ხევ, რათა ისევ დაგიბრუნდნენ შენი ფრინველები და აგავსონ სიხარულით.

# უფლის მადლით კურთხეულ მინაზე

*აქეთ დირბია, იქით შინდისი,  
აქ ყელქცეულის ბოლო,  
იქვე საფლავი – ერის სინდისი,  
უსახელოა მხოლოდ.*

სოფელი დირბი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, აღმოსავლეთ ფრონეს მარჯვენა ნაპირზე. მისი მოსახლეობა განლაგებულია სამ სერზე. სიდიდით ერთ-ერთი დიდი სოფელია ქარელის რაიონში. დასახლება გადაჰყურებს მშვენიერ ხეობას, სადაც მდინარე ფრონე მიედინება. სოფლის მკვიდრთა ამ ხეობაში აქვთ ბალ-ვენახები.

დირბი პირველად ვახუშტი ბაგრატიონის საისტორიო წყაროებშია მოხსენიებული XVIII საუკუნეში. სოფელს განსხვავებულ მდებარეობასთან ერთად, განსხვავებული ისტორიაც საინტერესოს ხდის. ვახუშტისავე ცნობით დირბის მონასტერი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენცია იყო (მას ირჩევდნენ ქართლის მეფეები) ცნობილია, რომ 1650 წელს როსტომ მეფემ დირბის მონასტერს შეუვალლობის წიგნი განუახლა, გაათავისუფლა სამეფო გადასახადისაგან და დაუტოვა ჯვრის მონასტრის გადასახადი 6000 თეთრი გასაგზავნად „ვერცხლად იერუსალიმს“.

ვკითხულობ ისტორიულ წყაროებს და ვფიქრობ, რამდენ ღვთიურ მადლს უტრიალია ამ უბატონო, ღვთიურ სოფელში. როგორ ინთებოდა იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა სან-

თელი და როგორ მოდიოდა იორდანეს წყლის ნათლისღების სინმინდე მაღალი ციდან. ისიც ცნობილია, რომ აქ მოწეული ხორბლით იკვებებოდა უფლის მიწაზე მოსახლეობა. უფლის წყალობაც არ აკლდა შუა ქართლის მკვიდრ მიწას. იგებოდა ეკლესიები, მტკიცდებოდა ციხე-ტაძრები. საქართველოს მეფეებიც ცდილობდნენ, მაღლი ღვთისა არ შეწყვეტილიყო ქართლის ამ დალოცვილ მიწაზე.

1785 წელს დირბს კვლავ განუახლდა შეუვალობა ერეკლე II-ის ბრძანებით. აქ მოქმედებდა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სოფლის განაპირას მდებარეობს. კომპლექსში შედის ეკლესიასთან ერთად სამრეკლო, გალავანი და სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები. იგი აშენებულია 957-967 წლებში. ეკლესიის ამგები და დამფინანსებელი ყოფილა ვინმე ოთინისძე. დღეს ღვთისმშობლის ეკლესია აღდგენილი და მოქმედია. იგი დედათა მონასტერია. საინტერესოა აქ აღმოჩენილი ფრესკები და ფრესკათა ფრაგმენტები. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია მიდგომილი ღვთისმშობლის უნიკალური ფრესკა, რომელსაც სამკურნალო თვისებები გააჩნია. რომლის წყალობითაც უამრავი ბავშვი დაიბადა. ამავე ტაძარში, სოფრომ მაგალობლიშვილის გადმოცემით იყო ხატი, რომელსაც უწოდებდნენ „კუბოსა ღვთისმშობლისასა“, და რომლის წინაშეც დიდ მოწინებას გამოხატავდა მრევლი. ისინი ლოცულობდნენ არამარტო ხატის წინ, არამედ მანამ, სანამ ეკლესიას სულ არ დაშორდებოდნენ. ხატს ზურგს ვერ აქცევდნენ. ხატსაც უდიდესი დახმარების ძალა შესწევდა.

ყველანმინდის ეკლესია კი დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ციხისუბანში, რომელიც XIX საუკუნის ნაგებობაა, ზედაჯვრის ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-აღ-

მოსავლეთით. იგი აგებულია X საუკუნეში. ეს ეკლესიაც განახლებული და მოქმედა მამა იოანეს წყალობით. სოფლის ცენტრში კი თეოდორეს სახელობის ტაძარია, რომელიც ჩემს ხსოვნაში ჩამოინგრა. ამჯერად მამა იოანეს მიერ დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები. დირბი შედიოდა მროველის (რუისის საეპისკოპოსო) სამწყსოში, ხოლო მამულების მმართველი იყო ჯვარის მამა ნიქოზელი.



*დირბის ეკლესია და ციხე*

სასიხარულოა ის, რომ სოფელ დირბში უკვე სამი მოქმედი ეკლესიაა: ღვთისმშობლის, ზედაჯვარის და ელიას სახელობის. 2015 წლის 13 აგვისტოს რუის-ურბნისის ეპარქიის მღვდელმთავარმა მეუფე იოზმა, სოფლის ზემო უბნის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე აკურთხა და დალოცა წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყება,

მისი საძირკვლის ჩაყრა. გაღმა მხარეს, სერზე, ასევე აკურთხა და დალოცა იოანე დამასკელის სახელობის მშენებარე ეკლესია, რომელიც სულ მალე გაიხსნება.

მეუფე იობმა დირბის დედათა მონასტერში მიდგომილი (ფეხმძიმი) ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად პარაკლისი გადაიხადა. მეუფემ დალოცა მრევლი, მოსახლეობა, სოფელი და საეკლესიო კალენდრის მიხედვით ამიერიდან ყოველი წლის 13 აგვისტოს დირბის დედათა მონასტრის ღვთისმშობლის ხატის მოხსენიების და დალოცვის დღე აღინიშნება.

საოცარია, რომ ქართლის ღვთიურ მიწაზე საზღვარია გავლებული. სულხან-საბას განმარტებით საზღვარი ნიშნავს საზღვრის დადებას, დასასრულს რაიმე ადგილისას. დირბიც საზღვარზეა. საზღვრის იქით კი ქართლის გულია. იორდანეს წყლით ნაკურთხი მიწა განსაცდელშია. უნებურად მახსენდება კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგება: „განსაცდელი ადამიანს იმიტომ კი არ მოევლინება, რომ ღმერთს მისი დასჯა სურს, არამედ, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ადამიანს რწმენა მოეცეს“.

სოფლის განაპირას, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ციხე-დარბაზი, რომელიც თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით. იგი სიგრძით 20 მეტრამდეა და სიგანით 10 მეტრამდე, რომელიც თავის დროზე ქართლში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენდა. ციხე-დარბაზს ბოლოებში კოშკები ჰქონდა დატანებული. შუაში სამსართულიანი ნაგებობა იყო სარკმლებით, სათოფურებით და ბუხრებით. შენობა საცხოვრებლადაც ყოფილა გამოყენებული და თავდასაცავადაც. კედლების სისქე ერთი მეტრია. ჩრდილოეთის ოთხკუთხა კოშკი ხუთსართულიანი ყოფილა. მეხუთე სართუ-

ლი საბრძოლო ადგილს წარმოადგენდა. ციხეს მაღალქონგურებიანი კედლები ჰქონდა. ციხე-დარბაზმა ბევრჯერ იხსნა სოფლის მოსახლეობა მტერთა ძარცვისა და განადგურებისაგან. მას მთელი სოფლის შეფარება შეეძლო ომის დროს.

ცნობილია 1753 წელს ლეკთა შემოსევა სოფელ დირბში. დირბის ციხე-სიმაგრეში გამაგრებული მოსახლეობა დიდხანს იცავდა თავს, მაგრამ საშველი არ იყო, მაშინ ერთმა გაბედულმა დირბელმა ვაჟკაცმა ხალხის დასახმარებლად თავი გასწირა. იგი მტრის ალყიდან შეუმჩნეველად გავიდა და თანასოფლელებს იარაღის სროლით ამცნო მოპირდაპირე სერიდან, რომ მტერს გავეპარე და თქვენც იმედი გქონდეთო. შემდეგ მოახერხა ცხინვალში გადასვლა, სადაც ერეკლე II და თეიმურაზ II იყვნენ დაბანაკებულნი, მტერზე გამარჯვების შემდეგ. ახალგაზრდამ აუხსნა ერეკლე II-ს დირბელების გასაჭირი და დახმარება სთხოვა. მეფე მაშინვე გაეშურა დასახმარებლად, მაგრამ დირბელი ვაჟკაცი ცხენზე უკუღმა შეფხდა და დირბამდე ასე იარა. ისეთ დიდებულ მეფეს, როგორც შენ ხარ, ზურგს ვერ შევაქცევო. გაოცდა მეფე. ასე დაეხმარა ერეკლე მეფე დირბელებს და ასე დაიცვა ციხე-სიმაგრემ საკუთარი მოსახლეობა. იმ ვაჟკაცს კი დღესაც არ ივინყებენ თანასოფლელები. ყველა გვარი იჩემებს, არა, ჩემი გვარისა იყო და არა, ჩემი გვარისაო. (იგი ქურდნადირას ზედმეტი სახელით შემორჩა თანასოფლელთა ხსოვნას.)

კეთილი საქმე მისაბაძი და საამაყო ყველასთვის. უნებურად კვლავ მახსენდება ჩვენი საყვარელი პატრიარქის ილია II-ს ქადაგება: *„როცა ადამიანი კეთილ საქმეს აკეთებს, მასზე გადმოედინება მადლი სულისა წმიდისა, რაც მთელ მის სახლს, მის ახლობლებს შვილებსა და შვილიშვილებს ეფინება.“*

ეს სიტყვები ბევრ საინტერესო მოგონებებს აცოცხლებს ჩემს მეხსიერებაში. თუნდაც ჩემი სოფლის პირველი მასწავლებლის შესახებ. მას ივანე ეფრემიძე ერქვა. ჩვენში, ჩვენი მშობლების შემდგომ თაობებში, იგი ნამდვილ ლეგენდად დარჩა. უშვილო, მოამაგე სოფლის მასწავლებელი თავის მეუღლესთან – ვერასთან ერთად დირბელი მოსწავლეების სწავლა-განათლებას ჩაუდგა სათავეში. იგი ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა ამ კეთილშობილური საქმისათვის. განათლებული, ინტელექტუალური, კულტურული, მომთხონი პიროვნება ყოფილა. მას დიდ ერუდირებასთან ერთად ადამიანური ღირსებებიც ამშვენებდა.

უკვე დამსახურებულ პედაგოგს, ღვანლმოსილს, მთავრობამ მადლობის ნიშნად სურვილის ასრულება შესთავაზა. მან ისევ საქვეყნო საქმეზე იზრუნა და არა პირადულზე. მისი თაოსნობით დაინიშნა პირველი ავტობუსი სოფელ დირბიდან დედაქალაქში. ამ საქმესაც ბოლომდე მიჰყვა და რეალობად აქცია. მას ნამდვილი, უსაზღვროდ მამულიშვილური გული ჰქონდა. დღემდე მადლიერია მისი სოფლის მოსახლეობა.

ასეთივე ერთგულებითა და უბრალოებით ცხოვრობდნენ ჩვენს გვერდით ჩვენი ბებიები და პაპები, მშობლები და ახლობლები, სოფლის უბრალო ადამიანები, რომლებიც ცხოვრების მაგალითს საკუთარი საქმიანობით გვაძლევდნენ. მათ ერქვათ: ესტატე, ნინო, ზაქარია, ქეთევანი, მარიამი, არჩილი, გიორგი, ანა, შიო, მაკრინე, ელენე, კონსტანტინე, ვასილი და ვინ მოთვლის მათ სახელებს.

მახსოვს, მადლმოსილი ბებიაჩემი თონიდან პურს რომ ამოყრიდა, მერე ოჯახის ყველა წევრს აუცილებლად თონის თავთან მოგვაგროვებდა. შავ ღვინოში ცხელ პურს ჩაგვიმტვ-

რევდა და ჯვარს გადაგვსახავდა. თავისი ხელით შეგვაჭმევდა ბავშვებს. გვიყვარდა, მოგვწონდა ეს ყოველივე, მაგრამ გვიან მივხვდით იმ ათეისტურ სამყაროში, რა ღვთის მაღლი ტრი-ალეზდა ჩვენზე და რა გვიფარავდა. 100 წლამდე იცოცხლა ნინა ბებომ. ნაბლისფერი, გრძელი ნაწნავები ეყარა მხრებზე შავი თავსაფრის ქვეშ. სიკვდილსაც მშვიდად, ფეხზე მდგომი შეხვდა. ნათელი დაადგეს მის სულს.



*იქ, შორს, ცხინვალია*

## საზღვარი კავკასიონზე

საუკუნეების ქარტახილებში კვლავ იწყებოდა ერის ამაღლება. ამაღლებიდან ამაღლებამდე ყალიბდებოდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებაც. ქართულ ქრისტიანულ სახელმწიფოს უჩნდებოდა ლტოლვა საკუთარი სახელმწიფოებრივი საზღვრების გამტკიცებისა და ენობრივი ურთიერთობის. ქართული სამყარო მონოეთნიკური არასოდეს ყოფილა, მაგრამ ძირითადად ის ქართული ტერიტორიებისაგან შედგებოდა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველი იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები ბიბლიური დავითის შთამომავლებად მოიაზრებოდნენ.

ამაღლებისკენ მიმავალ ქვეყანას XI საუკუნეში დავით (IV) აღმაშენებელი ჩაუდგა სათავეში. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა დიდგორის ველზე 1121 წელს, რის შემდეგაც აღმავლობისკენ სწრაფვა დაიწყო ქართველმა ერმა. დიდგორი ის ადგილია, სადაც ქართველ მხედრობას წმინდა გიორგი მიუძღოდა ბრძოლაში. რწმენის სიმტკიცემ და ერის გამთლიანებამ დაგვარწმუნა „ძლევაი საკვირველში“. დარიალის ხეობიდან შემოყვანილმა, შემდგომში გაქრისტიანებულმა ყივჩაღებმა თავი რომ დასდეს ქართველებთან ერთად მამულისათვის. არნახული ომი მოიგო დიდმა დავითმა დიდგორის ველზე და დარჩა მარადიული დიდება მირონცხეხეული „აღმაშენებლისა“. ცნობილია, დავითი უდიდეს ყურადღებას აქცევდა კავკასიელ ხალხთან ურთიერთობას. განსაკუთრებით ოსებთან (ალანებთან) და ყივჩაღებთან.

ასევე საინტერესოა თამარ მეფის დამოკიდებულება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან დაკავშირებით. XIII საუკუნის 10-იანი წლების ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის მთავარი ქედის გასწვრივ გადიოდა. ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი (დვალეთი, ხევი და თუშეთი) უშუალოდ საქართველოს სამეფოში შედიოდა. ასევე ჩრდილოეთ საზღვრის მიღმა მდებარეობდა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი და დარუბანდი.

ასე, რომ საქართველოს ორი უდიდესი მეფე დიდი პასუხისმგებლობით ექცეოდა მეზობელ კავკასიელ ტომებთან ურთიერთობის მოგვარებას და ამას სანიმუშოდაც აღწევდნენ. შემდგომ საქართველოს ისტორიაში, XIV საუკუნის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალემაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის განმტკიცებას. მას დამსახურებულად უწოდეს „ბრწყინვალე“. გიორგი მეფემ შეკრა და განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება, გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკა, განავითარა საქალაქო ცხოვრება და განდევნა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოხიზნული მოძალადეები. იმდროინდელი ისტორიკოსი ასე ახასიათებს გონიერ მეფეს: *„უმჯობესი ყოველთა კაცთა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“*.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რაც გიორგი ბრწყინვალემ გაატარა საქართველოში, ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ ოსთა რაზმების წინააღმდეგ გალაშქრება. XIII საუკუნის 30-იან წლებში მონღოლთა ხელშეწყობით გახშირდა ოსთა თარეში შიდა ქართლში: *„ინყეს ოვსთა ოკრებად, კოცად დარბევად, და ტყუევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა... და დანვეს*

გორი სრულიად“. – გვიყვება მემატთანე. ჟამთააღმწერლის სიტყვით მხოლოდ „მეფეთა შორის ბრწინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა“ ისინი. გორის აღებას ქართველებმა სამი წელიწადი მოანდომეს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი მეფემ დაიკავა და გაამაგრა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზებიც და ასე „დაამშვიდა ქართლი ოსთაგან“. გიორგი მეფე იძულებული გახდა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. მან ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად დაუმორჩილებელი ერისთავები „კახეთის ცივზედ მოიწვივა და ამოსწყვიტა“. ოსების ბელადიც დაუმორჩილებელთა შორის აღმოჩნდა.

გიორგი მეფემ კავკასიელ ხალხს მოუწოდა, რომ შემდგომშიც არ შეეწყობოთ ხელი ოსებისათვის ქართლში გადმოსასვლელად. ამ შემთხვევებიდან საკმაოდ დიდმა დრომ განვლო და ოსები აღარ გამოჩენილან ქართლში.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, XV საუკუნეების დამლევს ოსეთში მეურნეობა სუსტად იყო განვითარებული. მხოლოდ ქერს თესავდნენ საკვებად. სამი წლის განმავლობაში ქერის მოსავალიც აღარ მოვიდა. ოსეთში ჩამოვარდნილა დიდი შიმშილი. მემატთანე აღწერს: „1580 წელს ოსეთში იქმნა სიყმილი ფრიად დიდი, მრავალნი სწყდებოდნენ სიყმილითა, ვინაითგან ოსნი იკვებებოდნენ მდელოთი“... ასეთი მასიური მოუსავლიანი წლების გამო ოსებმა იწყეს აქეთ-იქით გადახვეწა. ზოგი შირვანში წავიდა დღიური ლუკმა-პურისათვის, ზოგი – ჩერქეზეთში და ერთი ნაწილი კვლავ ქართლისაკენ დაიძრა. ისინი მოსდევდნენ ფეხით მთის ბილიკებს, ყველგან მათხოვრობდნენ. ქართლში – ამ პურისა და ქერის ქვეყანაში დღიურ ლუკმასაც შოულობდნენ და შინაც მიჰქონდათ.

რაკი სასურველ გარემოში მოხვდნენ, ქართლში უამრავ-  
მა ოსმა მოიყარა თავი. მემატთანეთა თქმით ქართლის ყველა  
სოფელში ნახავდით მათ ხელში პარკებით და მხარზე გუდა-  
აკიდებულებს. მათ თხოვნით მიმართეს სიმონ მეფეს, რომ  
დახმარება მიეღოთ. სიმონ მეფემაც ისინი ხიზნებად მიიღო.  
ეს ხდება XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის და-  
საწყისში. ასე, ხიზნებად ჩასახლდნენ ოსები ქსნის ერისთავ-  
თა, არაგვის ერისთავთა, მაჩაბლების, ფავლენიშვილების,  
ფურცელაძეებისა და სხვათა მამულებში. ისინი მოდიოდნენ  
ფეხშიშველნი, თავშიშველნი, ცარიელ-ტარიელი, წყალნა-  
ღებულის მდგომარეობაში. არ ჰქონდათ ლოგინი, ბარგი, არ  
ჰყავდათ საქონელი და ფრინველი, დღიური პურის ლუკმაც  
კი არ გააჩნდათ. კვლავ სიმონ მეფის დახმარებით და მხარ-  
დაჭერით ოსებს მისცეს ხე-ტყე, მიუჩინეს სახლის დასადგ-  
მელი ადგილები, მათაც ჩადგეს საკუთარი ქოხები, გაიჩინეს  
სარჩენ-საბადებელი. მათ ოჯახებშიც მომრავლდა ქართლის  
დოვლათი და ბარაქა. მემატთანე ბოლომდე აღწერს ქართ-  
ველთა თანდაყოლილ ტოლერანტობას. ქართველმა გლეხებ-  
მა მათ აჩუქეს ლოგინი, ჯამ-ჭურჭელი, ყველა საჭირო ნივთი,  
რაც ცხოვრებისთვის აუცილებელი იყო.

*მთის ბილიკებზე გაკრულებს  
ლეშხი მოსდევდათ ნადენი,  
იქ გუდანაბადაკრულებს  
აქ კარს უღებდა ქართველი  
რაც კი გაგვაჩნდა რამ გენში  
თავს შემოვავლეთ ასნილად,  
ვინც გამოვათბეთ ნუგეშში  
ბოლოს იმანვე გაგვწირა.*

ოსებს ძალიან მოეწონათ პირობები. თანდათან დამკვიდრდნენ ქართულ სამოსახლოებში. ბოლოს თავადებს მიმართეს თხოვნით გვიყმეთ ისე, როგორც მკვიდრი მოსახლეობაო. ჯერ უარი მიიღეს, მაგრამ ბოლოს ქართველმა თავადებმაც იცემეს ისინი.

ამის შემდეგ მეტი დაახლოება მოხდა ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. მალე ნათესაური კავშირებიც გამოიკვეთა: ნათელმრონობის, მეფეგარეობის, ქორწილების და ა. შ. ეს არის წლები ოსებისა და ქართველების ყველაზე საუკეთესო დამოკიდებულებისა. ისინი ერთად შრომობდნენ, ერთად ცხოვრობდნენ და ერთად იცავდნენ ქვეყნის ინტერესებსაც. შემდგომ მესამე ძალა ჩაერია, რომელმაც სიყვარულით ნაშენები მაინც შეძლო და დაგვინგრია.

ოსები ქართველებთან ურთიერთობაში სიყვარულსაც იმსახურებდნენ მათთან ღირსეული დამოკიდებულებით. მაგალითად, 1520 წელს, შაჰ-ისმაილის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოსებიც მონაწილეობდნენ. ისინი ქართველების მხარდამხარ იდგნენ შაჰ-თამაზის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებშიც.

1583 წელს, როცა სიმონ მეფემ გორი გაათავისუფლა ოსმალებისაგან, ოსებიც არ ზოგავდნენ თავს.

1617 წელს შაჰ-აბასმა კახეთი რომ აიკლო, იქ ოსებიც ჩავიდნენ და კახელებს ფიცი მისცეს, მტერს მათთან ერთად შეებრძოლებოდნენ. ყიზილბაშების განდევნაშიც ოსები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

ქართველი მეფეები ზრუნავდნენ ოსთა განათლებაზე. კახთა მეფემ თეიმურაზ I-მა 1640 წელს ოსეთში შეადგინა „ოსთა ძეთა დასი“ და მათ დაუნიშნა წერა-კითხვის მასწავლებლები, რომლებმაც ოსეთში გახსნეს სკოლები.

1690 წელს არჩილ მეფემ ოსთა მონინავე შვილნი შეჰყარა და მათ აუხსნა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სწავლა-განათლების მიღებას. ეს ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, როგორი კეთილ-შობილური დამოკიდებულება დამყარდა ოსებსა და ქართველებს შორის. იკვეთება ზრუნვა ქართველთაგან ოსი მოსახლეობის მიმართ. იგრძნობა სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც საპასუხოდ მტრობა არ უნდა დაპირისპირებოდა.

ქართველი მარადიულად იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. მთელი ჩვენი ისტორია ამ ბრძოლის ასახვაა. საკუთარი მიწის მტრისგან გათავისუფლება იყო ერის ყველაზე დიდი საზრუნავი. გადამთიელის განდევნა ხდებოდა უპირველესი ამოცანა ერის გადარჩენისათვის, ამიტომ დროს აღარ უტოვებდნენ გუთნის დედას მიწის პატრონობისათვის, დიდოსტატს ტაძრების მშენებლობისათვის, ხატმწერს კედლების მოხატვისათვის, შემოქმედს წიგნების წერისათვის. მაგრამ მაინც ირწეოდა მახობლის მზეკაბანი ქართლის მინდვრებზე. მიწიდან ცისკენ მიიწევდა სვეტიცხოველი და ყინწვისი, ბაგრატი და ალავერდი, ხანძთა და იშხანი. ბრწყინავდა ბეჟა და ბემქენ ოპიზრების საოცარი ხელოვნება, დღემდე რომ მნახველს აოცებს, იწერებოდა სწორუპოვარი ხელნაწერები ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები, „ვეფხისტყაოსანი“, „შენ ხარ ვენახი“, „ქება და დიდება ქართულისა ენისა“.

დრო ელვის სისწრაფით მიფრინავს, წარსული კი თავს ყოველ წუთს გვახსენებს, ვინ ვიყავით, როგორები ვიყავით, რა გზებით გვივლია და დღეს რანი ვართ.

ვეცნობი ძველ ფოლიანტებს ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობაზე, ურთიერთობებზე და გული მტკივა ჩვენი ტრადიციების, ჩვენი სტუმარ-მასპინძლობის, მართლმადი-

დებლური ღირებულებების უგულველყოფის გამო, მენანება უშურველად გაცემული სიყვარული, საგზალივით გაღებული სიკეთე.

დგას გულგაყოფილი დედა საქართველო ნასოფლარებად, ნატაძრალებად, სამანდადებული, საზღვარგავლებული, დევნილების თავშესაფრად ქცეული.

*რა უნდა საზღვარს ქვათეთრთან, დევანთან,  
აღარც ავნიევი, აღარც ნულია,  
ადგილის დედავ, გიკოცნი კალთას,  
ნუთუ რასაც ვკმნით, დაკარგულია?!*



*აქეთაც ქართული მიწაა და იქითაც*

## „მეზობელო კარისაო...“

ქართველი ოდითგანვე მეზობელს თვალის ჩინს უწოდებდა. მის გვერდით მოჰყვებოდა ნუთისოფლის გზანვრილს. ნუთია ნუთისოფელიო, ხშირად სწუხდა კიდეც, მაგრამ ნუთისოფელში უმეზობლოდ ყოფნა არ შეეძლო. ხან ლხინობდა, ხან წუხდა, ხან ბედნიერი იყო და ხან უბედური. ცხოვრობდა, ბრძოლობდა, შვილმრავლობდა. ოჯახის ნევრი უბედნიერდებოდა თუ ელუპებოდა, ჭირისა თუ ლხინის მალამოდ მეზობელი ეგულებოდა.

მეზობელი ქართველის გარდა სხვაც ბევრი გვყავდა, მათ შორის ოსი ხალხიც. მათი ძირითადი საცხოვრისი ცხინვალი და მისი მიმდებარე სოფლები იყო.

ცხინვალი გაშენებულია დიდი ლიახვის ორივე ნაპირზე, ტაფობში. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით: „ნიქოზის ჩრდილოეთით, დიდი ლიახვის კიდეზე არს მცირე ქალაქი ქცხინვალი, კეთილჰაეროვანი“. აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება კავკასიის ქედი. ჯერ კიდევე ადრეული პერიოდიდან ცხინვალზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში მომავალი გზა-ბილიკები, როკის გადმოსასვლელი და სხვა. ცხინვალს სამართლიანად უწოდებენ ქართლის დაბლობის ცენტრს.

აი, როგორ ახასიათებს ამ მეტად მიმზიდველ ხეობას მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი: „უნინ, როდესაც მეფე მოისურვებდა ცხინვალის ხეობაში გამგზავრებას თურმე იტყოდა ხოლმე: ჩემს პატარა ნალკოტში უნდა წავიდეო“. ცხინვალი და მისი მიდამოები მდიდარი იყო ტყით. თვით ქალაქის სახელწოდება ცხინვალი, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი ტე-

რიტორია უძველეს პერიოდში რცხილის ხეებით ყოფილა დაფარული – რცხილნარით.

დიდ ინტერესს იწვევს ქალაქ ცხინვალის გვირაბი, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს. ქალაქს ჰქონია ძლიერი ციხე-გალავანი, რომელიც შემდგომში დანგრეულა. ქალაქში 14 ეკლესია მოქმედებდა: კვირაცხოვლის, წმინდა გიორგის, კვართის წმინდა გიორგის, ზღუდრის წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს ანუ ხატიმიწის, მარინეს ეკლესია და სხვები.



*ცხინვალი. XX საუკუნის 60-იანი წლები*

ცხინვალს დიდი ხნის ისტორია ჰქონია. აი, რას მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი: „ცხინვალი მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის ნაპირზე, აშენებულია მეფე ასფაგურის მიერ მე-3 საუკუნის II ნახევარში – ქრისტიანული ერით. ქართველი მეფეები ამაგრებდნენ და ალამაზებდნენ მას“.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ასე ხასიათდება ცხინვალის პური და ღვინო: „პური მისი არს ყოველთა ქართლისათა

უმჯობესი, და გემოიანი და სპეტაკი“, ხოლო ღვინო „არს თხელი და მომჟავო, სასმელად მშვენი“. ცხინვალს გაჭირვების ჟამს თავს აფარებდნენ ქართველი მეფეები და იქიდან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს დაპირისპირებულ მხარესთან. ასევე სტუმრობდნენ კიდეც: ლუარსაბ II, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II და სხვები. ცხინვალი იყო სამყოფი გიორგი სააკაძისა, როგორც მოურავისა.

გადიოდა წლები. ცხინვალში ქართველებთან ერთად სხვადასხვა ერის წარმომადგენლებიც სახლდებოდნენ. მათ შორის ოსებიც, რომელთა ურთიერთობაშიც თანხმობა და სიყვარული სუფევდა. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სამაჩაბლოში ცხოვრება ყვაოდა. ცხინვალი მნიშვნელოვან კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. მოქმედებდა თოჯინებისა და დრამატული თეატრები. აღორძინებას განიცდიდა პედაგოგიური ინსტიტუტი, საშუალო სკოლები, გამოდიოდა გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“. აქ ცხოვრობდნენ ცნობილი გვარის წარმომადგენლები: მაჩაბლები, ციციშვილები, ამირეჯიბები, რომელთა მთავარი საზრუნავი კულტურა და განათლება იყო.

ცხინვალში ჩამოდიოდნენ პოეტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. იმართებოდა შეხვედრები, იქმნებოდა შერეული ოჯახები, ნათლავდნენ ბავშვებს, მართავდნენ ტრადიციულ ქორწილებსა და ძეობებს. მშვენიერი ქალაქი თავს იწონებდა ხიდებით, ეკლესიებით, მოკირწყლული გზებით, კულტურისა და დასვენების პარკით, ქართული ტრადიციებითა და განუმეორებელი ბუნებით და რაც მთავარია ხალხთა ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით. ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული სამკვიდრო შუა ქართლის ბარაქიან მინაზე.

ჩემს ცნობიერებაში ცხინვალი და ოს ხალხთან ურთიერ-

თობა შემოვიდა არჩილ ბიძიას უმშვენიერესი უფროსი შვილის, დირბის საშუალო სკოლის პირველი მედალოსნის ულამაზესი აზა მაზმიშვილის სტუდენტად გახდომის დროიდან, რადგან აღნიშნულმა ოჯახმა თავისი შვილი სასწავლებლად და საცხოვრებლად იმ ქალაქში გაუშვა, სადაც ყველაზე ერთგული ნათესავები, ნათლიები ჰყავდა. ეს ნათესაობა სათავეს იღებდა სოფელ ველებიდან, საიდანაც ჩემს ბიძაშვილებთან სტუმრად მოდიოდა თეთრ ცხენზე ხურჯინაკიდებული ვანო პაპა, რომლის წარმატებული შთამომავლობა ჯერ ცხინვალში, ხოლო შემდგომ ლენინგრადში დამკვიდრდა. მათი სტუმრობა ოჯახში დიდი სიხარულითა და მასპინძლობით მთავრდებოდა. ჩემს ბიძაშვილებთან მყავს ნანახი ნათლიად მოწვეული იურისტი ხაზბი გაბარაევი სოფელ ქვათეთრიდან, რომელიც მაზმიშვილებთან სანატრელ სტუმრად ითვლებოდა.

გადიოდა წლები და ეს ნათესაური კავშირები უფრო მტკიცდებოდა. იქმნებოდა შერეული ოჯახები. ეს ხდებოდა როგორც სამაჩაბლოს რეგიონში, ასევე მთელ საქართველოში. ჩვენი ქვეყნის მტრებმა ყველაზე მგრძნობიარე ადგილი აირჩიეს შურის გასაღვივებლად, სისხლის დასაღვრელად, მოუშუშებელ ჭრილობად, როგორც ქართველებისათვის, ასევე ოსებისთვისაც. სიყვარულს სიძულვილი დაუპირისპირა წამქეზებელმა და აიძულა ქართველი მოსახლეობა საკუთარი ადგილ-მამულიდან აყრილიყო: ასე მოხდა ქალეთში, ნაბაკევეში, ქურთაში, თიღვაში, წნელისში, თამარაშენში, ზნაურში, ავნევეში, ნულში. დაიძრა დევნილთა უდიდესი ტალღა და 90-იან წლებში ჩემს მშობლიურ ქარელსაც მოაწყდა. ზნაურის რაიონიდან გამოქცეული მოსახლეობა თითქოს დროებით თავშესაფარს საჭიროებდა, მაგრამ უდიდესი ნაწილი სამუდამოდ დამკვიდრდა სოფელ წვერში, ქარელში, ბრეთის მეურნეობის ტერიტორია-

ზე, აგარაში, დოღლაურში და სხვა ადგილებში. დევნილთა შორის არიან ოსი ეროვნების მოქალაქეებიც, რომელთა მხრებზეც ასევე, დიდმა ქარიშხალმა გადაიარა. მაგრამ არ დავინწყებიათ წლობით ნაშენები კარგი მეზობლობა, მეგობრობა და სიყვარული. მათი ურთიერთობა, სადაც ამჯერად ცხოვრობენ, ქართველებთან კვლავ გრძელდება. ისინი სამართლიანობის გზას ადგანან. თუმცა, იმდენად ენატრებოდა დევნილ მოსახლეობას მშობლიური სოფლები, რომ დროდადრო შესვლასაც ახერხებდნენ. ისინი მზად იყვნენ დასაბრუნებლადაც, მზად იყვნენ ხელახლა აღედგინათ ყველაფერი, რათა თავიდან დაენწყით ცხოვრება. არც იქ მცხოვრებთ ეუცხოებოდათ მათი გამორჩენა. თითქოს უნდა გადადგმულიყო ნაბიჯები შერიგებისკენ, სამართლიანობის აღდგენისთვის, მაგრამ კვლავ მესამე ძალას არ სურდა სიმშვიდე, კვლავ ამწვავებდა მდგომარეობას, რამაც 2008 წლის ომამდე მიგვიყვანა.

ომის საშინელება ჩემს თაობას არ უნახავს. ვიცოდით მხოლოდ წიგნებიდან, ფილმებიდან. განსაკუთრებით ჩაგვრჩა მეხსიერებაში 1941-45 წლების დიდი სამამულო ომის ისტორია, რომელიც იმ პერიოდში ყველა ქართველის ოჯახს შეეხო. ჩემი ოჯახი ახლაც დიდი მონინებით ახსენებს და უფრთხილდება ომში დაღუპული ბიძების ხსოვნას. სურათებიდან გადმოგვეყურებენ ახალგაზრდები, ლამაზები, ივანე და ნიკოლოზ მაზმიშვილები. ისინი ქერჩის მისადგომებთან დაიღუპნენ. მთელი ცხოვრება მაინც ელოდა ნინა ბებია და მას შემდეგ შავები არ გაუხდია. უცრემლოდ არ უხსენებია. ეს უმძიმესი ტკივილი ყოველთვის გვახსოვდა ოჯახის ყველა წევრს – დიდებსაც და პატარებსაც, თუმცა ომი არ გვენახა. დიდი სამამულო ომის დაუნდობლობა ყველა ქართველს შეეხო.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის ომი დაიწყო. ეს იყო თავზარდამცემი, წარმოუდგენელი, საკუთარ თავზე გადატანილი. ვისაც სად მოგვისწრო, იქ იყო ჩვენთვის ომის ქარ-ცეცხლი. მე არ შემიძლია იმ წუთების დავინწყება. გაუსაძლისი, წელიწადებად ქცეული დღეებისა. მოულოდნელად შევრჩით სურამში, სრულიად უცხო ოჯახში რძალ-დედამთილი სამ ბავშვთან ერთად. პატარა მხოლოდ თვეების გვყავდა.

საშინელი სისწრაფით დაცარიელდა სურამი დამსვენებლებისაგან. თითქოს დაყრუვდა, დადუმდა ყველაფერი. ხაშურის ბაზარში გაუგონარი რამ ხდებოდა. მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ყველა რაღაცის მომარაგებასა და გაქცევაში იყო. მთვარ გზაზე გამოჩნდა ჩვენი საბრძოლო მძიმე ტექნიკა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოეშურებოდა. ჩვენ ისლა მოვასწარით, რომ სოფელ საქასრიაში, უახლოეს ნათესავთან შევაფარეთ თავი, თორემ თბილისში დაბრუნებაზე ოცნებაც არ შეგვეძლო. განყვეტილი იყო ყოველგვარი კავშირი ოჯახთან. მცირე, მაგრამ საშინელ ინფორმაციას ვიგებდით ტელევიზიიდან. დროდადრო სინათლე ქრებოდა. ისმოდა ტყეში ჩამოყრილი ჭურვების ხმა. ადგილ-ადგილ ტყეს ცეცხლი ეკიდა. სოფელს ზოგჯერ ისეთი პანიკა იპყრობდა, ომიდან გამოქცეული ადამიანებისაგან, რომ მთელი მოსახლეობა თვითნებურად აიყრებოდა და თავის გადასარჩენად ტყის სიღრმეში აპირებდა ხოლმე შესვლას. ტყე კი სრულიად გაუვალა იყო. არ დამავინწყებდა ჩემი შვილიშვილების თვალებში ჩამდგარი შიში. ეს იყო ტანჯვის, წამების, ფიქრის და განცდის დაუსრულებელი დღეები. რამდენმა რამემ შეძრა მაშინ ჩვენი გულები სიკვდილის შიშის გარდა ბავშვებთან ერთად. რამდენჯერ ვიგრძენით დაუცველობა და უძლურება. საბოლოოდ მივხვდით,

რა უბედურია ადამიანი, ვისი სამშობლოც განსაცდელშია. როგორ დაგვანახვა უფალმა უპირველესის მნიშვნელობა.

როკის გვირაბიდან უმძიმესი არტილერია დაიძრა, როკის გვირაბი ხომ დამოკლეს მახვილივით კიდია ჩემი სამშობლოს თავზე. ცეცხლში იყო გახვეული ჩემი უსაყვარლესი ფრონის ხეობა, ჩემი მამა-პაპეული, ჩემი დედულეთი და ჩემი შვილების საცხოვრისი.

სოფელ დირბში შრომისმოყვარე, დაულალავი, მიწაზე უსაზღვროდ შეყვარებული ხალხი ცხოვრობს. ომის დროსაც კი არ დაცლილა სოფელი. ისინი შეუდრეკლად უყურებდნენ თვალებში ყველაფერს, რაც ხდებოდა. იყო სროლა, დატყვევება, ძარცვა, აფეთქება, მოტაცება. სოფლიდან მხოლოდ ახალგაზრდა ქალები და ბავშვები გაიყვანეს. აგვისტოს ხუთი მძიმე დღის მანძილზე მოსახლეობას არც უძინია და არც შრომა შეუწყვეტია. ჩემი სოფლის მოსახლეობა ყველაზე მაღალი ადგილიდან, უძველესი ციხის შემოგარენიდან ღამით ხედავდა, როგორ იყო ცეცხლის ალში გახვეული ნული და ავნევი. ხოლო დღისით გამუდმებით კრემატორიუმებივით ხრჩოლავდა გადამწვარი სახლები.

ომში თავს სწირავდნენ ახალგაზრდა მეომრები, მოსახლეობა. შეირყა ადამიანთა ფსიქიკა. ევროპული ქვეყნების ჩარევითა და მსოფლიოს კეთილი ნებით ომი შეწყდა.

ჯერ კიდევ დიდხანს მოქმედებდნენ შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც თავს მშვიდობისმოყვარეებს უწოდებდნენ. ისინი რუსები არ იყვნენ. მათ დღისით, მზისით, დაცხრილეს კერძო პირის მალაზია და ყველაფერი გაიტანეს. სოფლიდან გაჰყავდათ მსუბუქი ავტომანქანები, კომბაინი და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები. ეს ბანდფორმირებები ოსუ-

რი წარმომავლობის პირები იყვნენ. მათ დრო იხელთეს და ხელი მოითბეს. რუსეთმა საბოლოოდ მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია. მე ვხედავდი თავდახრილს, დაღონებულს, გაპარტახებულს, დასჯილს, განამებულს, შვილებზე მგლოვიარე დედასაქართველოს, რომლის დაცვაც ვერ შევძელით. დღემდე მოურჩენელ ჭრილობად გვაჩნია აგვისტოს ხუთი დღე, რომელმაც ომის საშინელ თვალეში ჩაგვახედა.

მძიმე დღეები გადაიტანეს ფრონის ხეობის სოფლებმა. დვანსა და ტახტისძირს არ ასცდა დარბევა, მკვლელობა, საცხოვრებელი ბინების გაძარცვა.

ტახტისძირელ ნასყიდა ქოქოშვილს ჯერ აიძულებდნენ პირუტყვი გამოერეკა საკუთარი სახლიდან, შემდეგ კი თვითონაც იქვე ჩაცხრილეს. მრავალმა პატრიოტმა გამოიჩინა ამ ბრძოლაში ვაჟკაცობა და გულანთებული შეენირა მომხდურ მტერს. ერთ-ერთი ასეთი იყო ციცქიშვილი ვალერი, საუკეთესო ჯარისკაცი, რომელიც სოფლის ეკლესიის ეზოში, პარასკევს, ძალიან საჩქაროდ და ზედაპირულად მიაბარეს მინას თანასოფლელებმა – საომარი მოქმედების გამო. შემდგომში, დირბის ეკლესიის მოძღვრის – მამა იოანეს თაოსნობით, სათანადო პატივით იქნა იგი გადასვენებული სოფლის სასაფლაოზე.

ბრმა ჭურვისგან დაიღუპა საკუთარ ჭიშკართან საღამოს საათებში მურადი მღებრიშვილი – დირბის მცხოვრები. კვლავ მამა იოანეს შემწეობით იგი მიაბარეს სამუდამო განსასვენებელს, ეს საკმაოდ სარისკო საქმე იყო შექმნილ სიტუაციაში. ძალზე დიდია მამა იოანეს ღვაწლი ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგაც მრევლთან ურთიერთობის თვალსაზრისით. სოფლის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. ეკლესიათა მოვლა-პატრონობისა და აღმშენებლობის საქმეში. მამა იოანეს ქველ-

მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ დირბში მოღვაწეობით. იგი ფრონის ხეობის ჭეშმარიტი ქომაგია. ამ ხეობის ერთგვარი პატრონი და ჭირისუფალი იყო 2008 წლის აგვისტოში.

ოსურ-ქართული კონფლიქტის შედეგად საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ (1990 წ. 9 დეკემბერი) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი გაუქმდა, ხოლო ტერიტორია გადანაწილდა ახალგორის, გორის, ჯავის, ქარელის, ონისა და საჩხერის რაიონებზე. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ყოფილი ავტონომიის ტერიტორია შედის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში. რეგიონის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ანუ ცხინვალის რეგიონი.

რაც შეეხება სამაჩაბლოს, მაჩაბლების გვარი, როგორც ვთქვით, XV საუკუნიდან მოდის. შიდა ქართლის საერისთავოს დაშლის შემდეგ წარმოიშვა ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო, საციციანო, საამილახვრო, სამაჩაბლო, საამირეჯიბო, საჯავახო, სამუხრანბატონო.

მაჩაბლები სახლობდნენ ქართლში და კახეთში. ერთი შტო რაჭაშიც ყოფილა. მაჩაბლებს რეზიდენციად ჰქონდათ ორიოდე კილომეტრით დაშორებული სოფელი თამარაშენი. მაჩაბლები თავის დროზე სახელგანთქმული და ძლიერი მთავრები იყვნენ. ცხინვალიდან დაწყებული ორივე ნაპირი და ოსთა სოფლები, მთისა და ბარის გლეხობა სამაჩაბლოში შედიოდა. მათი იყო ცხინვალი, მეღვრეკისი, მუგუთი, ხეითი, საბანმინდა, ქემერტი, სვერის ხეობა. მარტო ჯავის ხეობაში ათასამდე კომლი ჰყავდათ. დღეს, საქართველოში ხშირად ხმარობენ ტერმინებს: „სამაჩაბლო“ – „ცხინვალის რეგიონი“. ეს ერთი და იგივე ცნებებია. იმისდა მიუხედავად, რომ სამაჩაბლო ისტორიულ-გეოგრაფიულად მცირე არეალს მოიცავს.

ნუთუ კიდევ გასარკვევია, რომ ეს უძველესი ქართული მი-  
ნა – სამაჩაბლო, ჩვენია ოდითგანვე. ნუთუ წარმოსადგენია,  
რომ ცხინვალში, მესამე საუკუნეში, მეფე ასფაგურის დაარ-  
სებულ ძირძველ სამკვიდროში, დღეს ქართველის ადგილი  
ალარ არსებობს?

რატომ არ გამოვიჩინეთ მეტი სიფხიზლე, ჩემო მიმტევებე-  
ლო ერო, ჩემო სტუმართმოყვარე ხალხო. რატომ მოვდუნდით,  
რატომ არ შემოვკარით განგაშის ზარები თავის დროზე? რო-  
ცა ერის მეჭირნახულე მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა ჩვენ-  
თვის თვალის ასახელად „ჯაყოს ხიზნები“ დაწერა. ფხიზლად!  
ქართველებო! ფხიზლად! გვაფრთხილებდა დიდი მამულიშვი-  
ლი, მაგრამ „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა  
ივნებს“ – გვასწავლის დიდი რუსთაველი – ჩვენც ასე დაგვე-  
მართა.

თუმცა ისტორიულად გავლილ გზას თუ გავითვალისწინებთ,  
ჩემი მამაცი, მებრძოლი ერი ვერ შეურიგდება საქართველოს ამ-  
გვარ დანაწევრებას, რასაც დღეს ვხედავთ. ვერ შეეგუება იმას,  
რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადიოდეს სოფელ დვან-  
თან, სოფელ კნოლევთან, ახალგორთან. ვერ შეეგუება იმას,  
რომ ისტორიულ სოფელ თიღვიდან ალარ უხმობდეს საკუთარ  
მრევლს დედა ზარის ხმა. არა მარტო ქართველი ვერ შეეგუება,  
არამედ საქართველოში მცხოვრები არაქართველი ერის შვილე-  
ბიც: თუნდაც აზერბეიჯანელები, სომხები, ებრაელები, ქურთე-  
ბი და თვით ღირსეული ოსებიც არ დაუშვებენ არასოდეს ამას.



## დგომა საზღვართან

საზღვარი დედამინის ორად გამყოფი შუალედი. საზღვრის განცდა ჩემში სიმბოლურად სხვადასხვაგვარ რეალობას ნიშნავს. საზღვარი მრავალგვარი და მრავალფეროვანია, არა მარტო ფიზიკური გამომსახველობით, არამედ შინაარსობრივი დატვირთვითაც. ჩვენი პლანეტა უხსოვარი დროიდან საზღვრებად იყოფოდა. საზღვრებია ქვეყნებს შორის, კუთხეებს შორის, მტერ-მოყვარეს შორის, სახლებსა და ეზოებს შორის, მინდვრებსა და ვენახებს შორის. საზღვრები სამნებით აღინიშნება. ამ ბოლო დროს მავთულხლართებითაც. საზღვართან დგომა საპასუხისმგებლოა. დიდი დაპირისპირებები მარადიულად საზღვრის გადალახვის გამო ჩნდებოდა დედამინაზე. დამპყრობლები საზღვრის დაუფლებისათვის უამრავ სისხლს ღვრიდნენ.

კაკვასიის უძველეს მინაზე ჩვენ – ქართველები, ჩვენეული საზღვრებით ვართ დამკვიდრებული. საზღვრის შიგნით მოქცეული სამყარო სამშობლოა ჩვენი, მამულია უსაყვარლესი. „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, უბრალოდ კი არ უთქვამს ქართველს. ამ სიტყვებში ქვეყნის საზღვრებიც მოიაზრება. ამ საზღვრებს გვედავებიან დღესაც. საუკუნეების მანძილზე ქართველი გულით დაატარებს საზღვრის დაკარგვის ტკივილს. ძლიერი მოძალადე

ძალით გვართმევდა ჩვენთვის უპირველესს – სამშობლოს ნაწილს და მერე ვინცებდით ბრძოლას მისი დახსნისათვის. ხან ვიბრუნებდით, ხან ვერასოდეს. ასე დარჩა გადამთიელის ხელში დვალეთი, საინგილო, კლარჯეთი და ტაო. ასე გვეკარგება ჩვენს თვალწინ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს უძველესი ქართული მიწები. მძიმეა საზღვარგავლებულ სამშობლოში ცხოვრება, ყოველდღიური, გაუნელებელი გულისტკივილია. ძნელია მარადიულად საზღვართან დგომა, როცა ეს საზღვარი შენს ქვეყანაშია გავლებული. ჩვენი მიწა-წყლის საზღვარი ქართველი კაცის ძალის, ნებისყოფის, მამულის ერთგულების გამოცდაა და ხშირად მსხვერპლადაც ეწირებიან მის დაცვასა და შენარჩუნებას ერის შვილები.

საზღვარიც არის და საზღვარიც. ვერ შეეგუება ქართველი საკუთარ გულებზე გავლებულ საზღვარს.

დედაქალაქისკენ მიმავალს გორი მეგებება. გორთან სულ ახლოს, აქვე, ცხინვალია, რომელიც ამჯერად ჩვენი აღარ არის. სამხედრო გზიდანაც კი შეინიშნება ახალგორის ტერიტორიაზე ორად გაყოფილი სამშობლო. ამაყი ქსნის ერისთავების, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლების სამკვიდრო სამანგავლებულია.

საზღვრის იქით და აქეთ ყოველ დღით ვეებერთელა, ბღღვრიალა სხივი ორივე მხარეს ეფინება და ანათებს. ეს ის სხივია, რომელიც ჩვენი გულებიდან სითბოს და სიყვარულს მზესავით უნაწილებს გულნატკენ ახოებს, მიტოვებულ ნასოფლარებს, დარდიან, მიკარგულ ბილიკებს. ეს არის დაბრუნების, გაერთიანების, გამთლიანების იმედის სხივი, რომელიც დიდ გზაზე გაგვიყვანს, ღირსებას დაუბრუნებს ორივე მხარეს, შეუძლებელს შეგვაძლებინებს, საკუთარ თავში მომავლისაკენ სავალ გზას გვაპოვნინებს და გადაგვარჩენს. გადარჩენა ხომ ჩვენს ურთიერთგაგებასა და ურთიერთსიყვარულშია მხოლოდ შესაძლებელი.

## გორი – ქართლის უკველესი სამკვიდრო

კვლავ გორზე ფიქრი მეძალეა. ულამაზესი ისტორიული ქალაქი. ქართლის სამკვიდროში მყარად ფესვგადგმული, ძლიერი, ამაყი, თავდადებული და ღირსეული მამულიშვილებით. მებრძოლი და გონიერი ხალხით. ქალაქი, რომელიც ყველა ქალაქისაგან გამოირჩევა მდებარეობითა და გარეგნული იერსახით. ქართლის ბარაქიან მიწაზე წამომართული ჭაღარა ქალაქი, რომელსაც მისი სიმბოლური სახე – გორის ციხე ამშვენებს და აკეთილშობილებს. მრავალი ჭირ-ვარამი გამოუვლია ამ უძველეს კედლებს, გალავნებს, დაცხრილულ კოშკებს, მდუმარე სათოფურებს, ქონგურების ულამაზეს სარტყელს. უამრავი მტერი მოუგერიებია და დღემდე ვაჟკაცურად მოუღწევია.

ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ გორში გავლისას გორის ციხეს ქართლის „აკროპოლისი“ უწოდა, იმდენად მოიხიბლა მისი გრანდიოზულობით.

გორის ციხესთან დაკავშირებით სხვადასხვა ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი მათგანის შინაარსი ასეთია: თითქოს ციხეც და ის მთაც, რომელზეც ციხეა აგებული თამარ მეფის ულამაზესი შავარდენის ფრთებზე ყოფილა აშენებული. მთაზე აშენებული ციხე, მართლაც, გრანდიოზულია. ამას მაშინ მეტად იგრძნობ, როცა მის ნახვას განიზრახავ და მის სიმაღლეს დაეუფლები: მყარად ნაგები კედლები თითქოს მიწიდან ამოზიდულა. მათი სიმტკიცე დღესაც გასაოცარია. კოშკიდან



კომპკში მიემართები და მაღლა-მაღლა ადიხარ. მისი ცხრა-კარიანი კომპკების ზემოდან რომ გადმოიხედავ, ყველაფერი ნათელი ხდება: სიამაყე გიპყრობს და ხვდები როგორი წარსულის პატრონები ვართ, როგორი წინაპრები გვყოლია და გრძნობ წარსულსა და ანმყოს შორის თუ ჯაჭვი განყდა, შენც ძირს დაეშვები შენი ოცნებით, იდეალებით და მომავლით. აი, რას უნდა გავუფროთხილდე. რის პატრონები ვართ, რა არ უნდა დავკარგოთ. მერე საკუთარ თავს ვეკითხები. შევძლებთ კი ამას დღეს, გაუცხოებულ სამყაროში? XXI საუკუნეში? და მერე ვხვდები, აუცილებლად შევძლებთ სინმინდის, ურთიერთპატივისცემის, წარსულის არდავინყების, მოყვასის სიყვარულის შენარჩუნებით. ამ ღირებულებების გარეშე ჩვენი ადგილი აღარ იქნება დედამინაზე.

საერო ფიქრს შორს მივყავარ და ისევ რეალობას ვუბრუნდები. ციხის ქონგურებს და მთლიანად გორს ჩრდილოეთიდან ულამაზესი კავკასიონის მთაგრეხილი გადმოსცქერის, რომლის მწვერვალებიც მარადიულ თოვლშია გახვეული, ხოლო სამხრეთით თრიალეთის მიმზიდველი მთაა ჩაბურული.

კვლავ ერთ ლამაზ ლეგენდას მოგიტხრობთ, თუ როგორ ჩამოვიდნენ თამარ მეფის ლოცვით თრიალეთის მთებიდან ფურ-ირმები ჯოგებად და მათი რძით როგორ მოზილეს მშენებლებმა ლამი და კირი, რითაც გორის ციხის კედლებია აგებული. სწორედ ამიტომაა შეურყეველი უძველესი ციხე. ამიტომ გადაურჩა უამრავი მტრის შემოსევებს ქალაქი გორი. თრიალეთის მთის გაყოლებაზე გორს გადმოჰყურებს უძველესი და ულამაზესი გორიჯვრის მონასტერი, რომელიც დღენიადაგ ჯვარს სახავს საყვარელ ქალაქს და მასზე ლოცვაშია. მის მზეგრძელობას და დღეგრძელობას სთხოვს უფალს.

აღმოსავლეთით გორს ეკვრის კვერნაქი, რომელიც ქალა-

ქის განუშორებელი კოლორიტული სახეა. დასავლეთიდან ლიახვის ხმაურიანი წყალი მოიჩქარის ჯავის კლდეკარებიდან წამოსული და დიდი ხნის ნანატრ ოცნებას ისრულებს – დიდ მდინარეს უერთდება. მტკვრის დინჯ, მოწყენილ დინებას ახალი სიცოცხლით ავსებს და ახარებს.

ვუახლოვდები გორს და მისი მიდამოები გულღია მასპინძელივით მეგებება. თვალს იტაცებს ფართოდ გაშლილი ხეხილის ბაღები, მოშრიალე, მწვანე მინდვრები, შემწიფებული პურის ყანები მზეკაბანშია გახვეული, ყანისპირებზე უამრავი ყაყაჩო წითლად ანთია.

უხსოვარი დროიდან გორს განსაკუთრებული სტრატეგიული ადგილი ეჭირა ქართლში. იგი იყო გზაჯვარედინი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სამიმოსვლო დანიშნულების თვალსაზრისით. გორზე გადიოდა ინდოეთის საქარავნო გზა, გორზე იყო დამოკიდებული ქართლის ბედი და უბედობა. იგი განუყრელ ციხესთან ერთად ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა მტრის წინააღმდეგ. გზის გაყოლებით ქალაქს სოფლები ამშვენებს: ბერბუკი, კარალეთი, ისტორიული ნაჭარმაგევი, რომლებიც ხეხილის გაშლილ ბაღებშია ჩაკარგული. უამრავი ხილი მოკრეფილა ამ დოვლათითა და ბარაქით სავსე მინაზე.

ვუყურებ მშვენიერ ქალაქს და ვფიქრობ, თითქოს მოშუშებულია ომის მძიმე ჭრილობა 2008 წლის აგვისტოში რომ დაატყდა თავს. აღდგენილია და განახლებული საცხოვრებელი სახლები, დაწესებულებები. მონესრიგებულია ქუჩები. ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიდის. მივუყვები ნაცნობ ქუჩებს. აქ გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრია. რამდენი ლამაზი სპექტაკლი დადგმულა. რამდენი ტაში და ოვაცია ახსოვთ ამ კედლებს.

გიორგი ერისთავი ქართული თეატრის დამაარსებელი და სულისჩამდგმელია. რა საამაყოა დღესაც.

დღეს ეს მშვენიერი მინა-წყალი დევნილთა თავშესაფრად არის ქცეული. ყველაზე დიდი დარტყმა გორმა მიიღო. სარტყელივით შემოეჭდო გორის შემოსასვლელს აგვისტოს მძიმე დღეებში რუსული არტილერია. ჩემი საფიცარი მინა-წყალი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ომის პანიკამ მოიცვა დიდი



და პატარა. ახლაც თვალნათლივ ვხედავ სასონარკვეთილი, უდანაშაულო მოსახლეობის რბევა-დანოკებას, ტყვიით იცხრილებოდა სახლები, ფეთქდებოდა შენობები. უმოწყალოდ იღვრებოდა გორის ქუჩებში დაჭრილთა და დახოცილთა სისხლი. გამეტებული, დაჭრილი, გარდაცვლილი ადამიანები ვერ გამოყავდათ ქალაქიდან. არ დამავინყდება ქალების, ბავშვების, მოხუცების განამებული სახეები. უპატრონოდ დარჩენილი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მაინც არ დატოვა ქალაქი.

დიდი და პატარა ლიახვის დევნილი მოსახლეობა გორს მოაწყდა. ომგადახდილმა ქალაქმა მზრუნველობით მიიღო ისინი. დევნილები დახმარებას ითხოვდნენ. გორის შემოგარენში გაჩნდა ახალი ტიპის დასახლებები: ვერხვების, კარალეთის, კვერნაქის, წმინდა წყლის და სხვა ადგილები. ვინახულე აღნიშნული ადგილები. ვესაუბრე დევნილ მოსახლეობას. მათი შემართება, მათი გაუტეხელი ხასიათი მისაბაძია. რა არ გადახდათ თავს, მაგრამ ცხოვრებას არ უშინდებიან. მიწას უვლიან, მოსავალი მოჰყავთ, ამშვენებენ და ალამაზებენ იმ ადგილს, სადაც დასახლდნენ. საკუთარი ხელი უკვე დაატყვეს გარემოს. ამ ხალხს ეტყობა გორის მუნიციპალიტეტის მზრუნველი ხელი.

„ჭირსა შიგან გამაგრება“ რომ არ იცოდეს ქართველმა, დღემდე რა მოაღწევენებდა, მაგრამ ეს სამეზობლო ჭირი ყველაზე უმძიმესი გამოდგა, შემდეგ საქვეყნოზე გადაიზარდა და წამქეზებელმა სათავისო საქმე გააკეთა: „ჩემი მე რალაცაა, რომელი ჯერ არს ძლეულ იქმნეს: ჩემი მე ადამიანის დიდი მძულვარებაა“, – ამბობს დიდი გერმანელი მოაზროვნე ნიცშე. აქ ამჟამად ჩანს სხვაზე გაბატონების სურვილი და საკუთარი თავის აღზევება. თუმცა ამ აზრის გათავისება ყველას არ შეუძლია.

მიუყვები გორის ქუჩებს და ვიხსენებ როგორ კლავდნენ ჩემი სტუდენტობის უსაყვარლეს ქალაქს. როგორ აწყობდნენ ტერაქტებს, როგორ ესროდნენ და ანადგურებდნენ ადამიანებს. როგორ მტკიოდა გული, თითქოს მეც მეცემოდა მხრებზე აფეთქებული ჭურვები.

მადლობა უფალს, კვლავ მზეს შესცინის ჩემი ქალაქი, სილალისა და სინმინდის, მეგობრობისა და პოეზიის, სიყვარულისა და სილამაზის ქალაქი. მისი მზით გაბრწყინებული განთიადი, მყუდრო ქუჩები, მიმზიდველი შენობები, ლამაზი, მომღიმარი ადამიანები. აქ შევიცანი თავი პიროვნებად.

ეს ჩემი საყვარელი ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაა. ახლაც მემამყება, რომ მისი ღირსეული სტუდენტი ვიყავი, ახლაც სხვაგვარად მიზიდავს მისი კედლები. აქ გატარებული მაქვს ხუთი დაუვიწყარი წელიწადი, სადაც საყვარელი ლექტორები მეგულებოდნენ: დამსახურებული, მსცოვანი პროფესორი სერგი მაკალათია, ტიტე სარიშვილი, თეიმურაზ გოცაძე, კოლია გუგუშვილი, ოთარ ჩხეიძე, შოთა ქურდაძე, ნოდარ უთურგაიძე, გრიშა პატარაია, ზურაბ სარჯველაძე, როსტომ ბეჟანიშვილი, მირიან ეფრემიძე, ანზორ კაპანაძე, სიმონ გაჩეჩილაძე, ბორის დარჯანია, ნათელა ონაშვილი, ნუნუ ოქროპირიძე და სხვები.

მემამყება ისიც, რომ ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სკოლა მაქვს გავლილი. აქ გავხდი „ლიახველი“. ბატონი ოთარი საოცარი პიროვნება იყო. მუდამ მორიდება და მოკრძალება გვექონდა სტუდენტებს მის მიმართ. უბრალოებითა და თავმდაბლობით გვიზიდავდა. ბევრი საუბარი არ იცოდა. დუმილში უფრო მრავალმეტყველი იყო. ვიცოდით, ყველაფრის სხვანაირი აღქმა ჰქონდა: სწორი, ზუსტი, შეუმცდარი. სტუდენტებ-

თან შემოქმედებით მუშაობას დიდ დროს უთმობდა. ეს მისი სურვილით ხდებოდა. ყოველთვის მოუთმენლად ველოდით მასთან შეხვედრას, სადაც ხდებოდა ახალი ნაწარმოების წაკითხვა, აზრის გამოთქმა, შენიშვნა. რაც დრო გადის, მით უფრო სიღრმისეულად ვაცნობიერებ ბატონი ოთარის შემოქმედებით გავლილ გზას, ნამოღვაწარს, ადამიანებთან დამოკიდებულებას და ახალ-ახალ ნიუანსებს დღესაც ხშირად ვაგონებ. გარდა ამგვარი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ინტერესებისა, ბატონ ოთარს მწერლობის დიდი ტვირთი დაჰქონდა მხრებით. მის ნაწარმოებებში თავისებური, შეფარული სატირა, იუმორი მუდამ რალაციისკენ გვახედებდა, რითაც ეროვნული იდეების დამცველად გვევლინებოდა. შეგვახსენებდა იმ მნიშვნელოვანს, რასაც ერისთვის თავდადება და სიყვარული ჰქვია. ახალგაზრდობასთან მისი დაუღალავი, შემოქმედებითი მუშაობაც ამ მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებოდა, ამიტომ ებრძოდნენ ხან შეფარვით, ხან პირდაპირ. ხშირად მისი რედაქტორობით გამოცემულ ალმანახს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. მადლობის თქმის მაგიერ საყვედურს უცხადებდნენ. მწერალი კი ყოველდღიურობაზე მაღლა იდგა. მედროვეებზე უკეთ იცოდა, რაც ხდებოდა ზემოდან, საბჭოურ წყობილებაში, ბატონ ოთარს სურდა ფართო გზა მიეცა შემოქმედი ახალგაზრდებისათვის. წაეხალისებინა, მოჰფერებოდა, პატრონად მოვლინებოდა. გორის ლიტერატურული საზოგადოება ფართო სარბიელზე გაეყვანა. ამ გზისთვის არასოდეს უღალატია. როცა გადაწყდა მავანთა და მავანთა მითითებით გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გაუქმება, მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. აი, რას წერს წიგნის წინასიტყვაობაში „ჩემი სავანე“.

„ჩემი სავანე“ ერთი ამბავია, ერთი ინსტიტუტის ამბავია, გორის პედაგოგიური ინსტიტუტისა. მე იქ 30 წელიწადზე მეტხანს დავყავი, მივუსწარი იმათაცა ინსტიტუტს რომ მოსდევენ დაარსებიდან და დავტოვე ისინი, ვისაც რო უნდა განესვენებინა პედაგოგიური ინსტიტუტი.

... ინსტიტუტიდან წამოვედი 1980 წლის სულ ბოლო დღესა, ველარ მოვიცადე სასწავლო წლის დასრულებამდისა, ველარ მოვიცადე, ძალღონე აღარ მყოფნიდა“.

ამაზე უფრო მეტად რას უნდა შეეძრა მწერლის გული.

ასე ხდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ ეროვნული საქმეების უგულველყოფა: წინააღმდეგობა აღმანახის გამოცემაზე, ნიჭიერი ახალგაზრდების გზის გაკვალვაზე, ინსტიტუტის დახურვაზე, რამაც შედეგად მოიტანა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაციის ჩამოყალიბება და გაძლიერება. მოხდა გაუგონარი დაპირისპირება, რასაც მოჰყვა სამაჩაბლოს ტერიტორიის დაკარგვა და 2008 წლის აგვისტოს დღეები.

ბატონ ოთარს გარს ეხვია შემოქმედთა დიდი არმია გამოზრდილების და გამოსაზრდელების. გორში მოღვაწეობდა ძლიერი ლიტერატურული ფრთა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ჯემალ ინჯია, ფირუზ ჯანაშვილი, ზაურ ნაქაძე, ალექსანდრე ტაბატაძე, ჟუჟუნა ვაშაგაშვილი და სხვები. 70-იან წლებში ჩემი თაობის წარმომადგენლებიც მოღვაწეობდნენ აღმანახ „ლიახვში“, პოეტები: მირიან იორამაშვილი (მეუფე თადეოზი), ვლადიმერ ველიჯანაშვილი, ავთანდილ ივანიძე, შემდეგ მანანა ჩიტიშვილი და სხვები.

ჩვენ გვიყვარდა ჩვენი სახელოვანი მოძღვარი, ბატონი ოთარი.

კვლავ მეძახის საყვარელი ქალაქი. აქ მყავს მეგობართა, ნათესავთა, გულშემატკივართა დიდი წრე. დავდივარ საყვარელ ქუჩებში. ვათვალიერებ დევნილთა დასახლებებს. ვუსმენ და ვესაუბრები ომგამოვლილ მოსახლეობას.

მათ დიდ ტკივილთან ერთად დიდი მონატრებაც მოძალებიათ. მონატრება საყვარელი სოფლების, საყვარელი ადამიანების, ქართულ-ოსური სტუმარმასპინძლობის, მეზობლობა-ნათესაობის, რომელიც ღირსებით ავსებდათ და ახლაც ძალიან აკლიათ.

*დამმჩნევია მკერდზე ზოლი,  
დამტყობია სულში ფრთები,  
მაგ ვ ზებდან მონაყოლი  
ნაუშლელი ჭრილობების.  
მომძახიან ისევ ვ ზები  
ფიქრის ტვირთთან შენაჭიდი,  
ხომ გშველით და გეფერებით,  
ხომ გვინათებ თუ დაგვჭირდი.*

## სიცოცხლის გზა

დედაქალაქისკენ მიმავალი ნეროვანის დასახლებას როცა ვუახლოვდები, გულში ტკივილს ვგრძნობ, ეს დევნილების ყველაზე დიდი დასახლებაა, სადაც შეიგრძნობა დაკარგულის სიმძაფრე. ჩემს თვალწინ ხან წარსულის სევდიანი სურათები იელვებს, ხან აქ მცხოვრებთა ეზო-კარს ვაკვირდები.

ჩემო ქართველებო, ჩემო საქართველო, ჩემო დევნილო სამშობლო, რატომ ვერ გიპატრონეთ? ვის უნდოდა ომი? აი, კითხვები, რომელიც ყველა ქართველის გულში ტრიალებს და მოსვენებას უკარგავს. ეს ისმის მათ დიალოგებში, მონათხრობში, სანუხარში, საშველი არ ჩანს. ჩვენს გულებზე მავთულხლართებია გავლებული. სამშობლო ტყვეობაშია.



*ნეროვანის დასახლება*

## **ალექსანდრე აბაშიძე**

ასეთი განწყობით პოლიციის შენობას გავცდით და ერთ-ერთ ოჯახში შევეჩერდით, რომელიც ალექსანდრე აბაშიძეს ეკუთვნის. მასპინძლები გულლიად შეგვხვდნენ და სახლში შეგვიპატიყეს. ალექსანდრე კარგი ოჯახის პატრონია. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. იცის შრომის ფასი და დღემდე მუხლჩაუხრელად მუშაობს. ასე იყო დევნილობამდე და ასეა დღესაც. ოჯახს ამშვენებს სიკეთით სავსე, სათნო დიასახლისი, რომლის გამრჯე ხელიც ყველაფერს ეტყობა.

მძიმეა იმ დღეების გახსენება, რაც მათ გამოიარეს, მაგრამ ადამიანი გასაჭირში იცნობაო – ნათქვამია. ესეც ცხოვრების ერთგვარი უმძიმესი გამოცდა იყო და გაძლება უნდოდა, გაუძლეს და გადარჩნენ კიდეც. ცხოვრება თავისი გზით მიდის. აქაც შრომისმოყვარეობა და კარგი ქართველის ღირსებები ამშვენებთ, რითაც კმაყოფილი რჩები საკუთარი ერის შვილებით.

## **ნანა ჭოველიძე-კულუმბეგოვი**

აქვე გავიცანი სასიამოვნო ქალბატონი **ნანა ჭოველიძე**, რომელიც სოფელ თამარაშენის მკვიდრი იყო. მას მეუღლე და სამი შვილი ჰყავს. მისი მეუღლე კულუმბეგოვი, ოსი ეროვნების წარმომადგენელია, წარმოშობით ცხინვალიდან. ეს იმ შერეული ოჯახიდანაა, რომლებსაც არასოდეს უფიქრიათ დაპირისპირებაზე, ტერიტორიის წართმევაზე, ომზე, სისასტიკეზე. ცხოვრების გზას ერთი საზრუნავით მოსდევდნენ – უყვართ ქვეყანა და ოჯახი, ახლაც ასე გრძელდება. ნანას არ ავიწყდება 2008 წლის უმძიმესი აგვისტოს დღეები, როგორ ითრგუნებოდნენ შიშით, როგორ ათენებდნენ სარდაფში ოჯახის წევრები და მთელი სამეზობლო ღამეებს, რომ წვი-

მასავით წამოსული ტყვიები არ მოხვედროდათ, ან ჭურვი არ აფეთქებულიყო მათ თავზე.

გაუგონარი სისასტიკე მძვინვარებდა. შეუბრალებლად იქნა მოკლული უდანაშაულო ცოლ-ქმარი აჩაბეთში, ასევე არ დაინდეს და დაწვეს მოხუცი სოფელ კეხვში. გულდასაწყვეტია გასახსენებლადაც კი, რაც იმ პერიოდში ხდებოდა. გიკვირს, სიყვარულის წილ ბოროტებამ რატომ იზეიმა?

ოთახში შემოვიდა მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა ქალბატონი **ნანა ნანუაშვილი**, რომელიც კეხვში იყო გათხოვილი. იგი ბლიაძეების ოჯახის რძალია. ახლა ისინი წეროვანში ცხოვრობენ დევნილის სტატუსით. ბიჭიკო და ნანა ცხოვრებას არ უშინდებიან.

საოცარია, ამ ახალგაზრდა ქალბატონს რამდენი ტკივილი და ტანჯვა აქვს უკვე გადატანილი. მუშაობს საბავშვო ბაღში. არასოდეს დაავინყდება ნანას 2008 წლის 7 და 8 აგვისტო. ყველაზე გაუსაძლისი დღეები მის ცხოვრებაში. თვითონ ფეხმძიმე, 3 წლის ბავშვით და ერთი პატარა ჩანთით ხელში როგორ წამოვიდა საკუთარი სახლ-კარიდან. მან სიკვდილ-სიცოცხლის გზა გაიარა, ვიდრე დედასთან ჩამოვიდოდა თბილისში. ოჯახის დანარჩენი წევრები კი ციხეში აღმოჩნდნენ, რადგან დაიჭირეს. „ჩემს დედამთილს თვითონ დაატვირთვინეს მანქანა, რაც კი ოჯახში გაგვარჩნდა და ისე წაიღეს, როცა ეზოდან გავიდნენ ერთიანად ააფეთქეს ყველაფერი“ – იხსენებს ნანა. იქ დარჩათ ნასოფლარები და მწუხარე სასაფლაოები. ნანა არ უშინდება ცხოვრებას, იგი ახლა სამი შვილის დედაა და იმედით სავსეა.

წეროვანის დასახლებაში 90-იანი წლების დევნილებიც ცხოვრობენ. ერთ-ერთი ასეთია სანდომიანი გარეგნობის ქალბატონი **ასმათ კუსიანი** – მეტრეველების რძალი. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი თეა მეტრეველი. ასმათს ენანება

წყალში ჩაყრილი მეგობრობა და კარგად იცის, ვინ იყო წამქეზებული, ყველაზე მეტად ის უკვირს, თუ რატომ აჰყვნენ წამქეზებლის ფეხის ხმას ოსებიც. საუკუნეების მანძილზე ნაფერები, მათი კარგი ურთიერთობა, რატომ გაატანეს ერთიანად უნდობლობის ქარს.

„პირველ დევნილობას კიდევ როგორღაც გავუძელით, – ამბობს ასმათი, – მეორედ დევნილობა მართლა წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის“.

ასმათი 13 წლის განმავლობაში ჯავის საავადმყოფოში მუშაობდა და ძალიან კმაყოფილი იყო ცხოვრებით. დიდი ლიახვის ხეობა ბარაქითა და დოვლათით სავსე კუთხე იყო, არც კეთილმონყობა აკლდა ამ მხარეს, მაგრამ ნათქვამია: „მტერი მოყვარედ მოსული, მტერზედაც უარესია“. ვერ ისვენებდა კაენის ცოდვით დამძიმებული ადამის მოდგმა. სწორედ ეს სიმშვიდე და კეთილგანწყობა აშფოთებდა დაპყრობისა და დარბევის სენით შეპყრობილ დიდ მეზობელსაც, ამიტომ იმძლავრა ორგულობამ ორ ეროვნებას შორის. დათესილი სიკეთე ღვარძლად დაგვიბრუნდა და მისი მოშორება ასე ადვილი არ აღმოჩნდა.

## **ზაირა ჟესოვა პალერი ცხოვრებოვი**

ასმათი იმით მაინც კმაყოფილია, რომ როცა ქართველების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დადგა ისევ ოსი მეზობლები დაეხმარნენ.

ქართველების დევნა ყველგან დაიწყო. აღარავის ინდობდნენ მოძალადეები. იქიდან გამოსვლა გადარჩენას ნიშნავდა. ვაი, რომ ძალიან ბევრი ვერ გადაურჩა და ამ გზის გავლისას დაიღუპა. ასმათს ჯუსოევა ზაირა და ცხოვრებოვი ვალერი დაეხმარნენ, რომლებმაც გამოაცილეს ჯავიდან და გააფრ-

თხილეს, ამის შემდეგ შენს თავს შენ უნდა უშველო, ჩვენ მეტი არაფერი არ შეგვიძლიაო. თავზე ტყვიის ნვიმა გადასდიოდა. სახლები განუწყვეტლად იცხრილებოდა ტყვიებისაგან. ქალები და ბავშვები ერთად იკრიბებოდნენ. ხან სად აფარებდნენ თავს და ხან სად. სახლებში შიშით ველარ შედიოდნენ. ზოგიერთი ოსი ეროვნების მამაკაცი ქართველებს გამოსასვლელად გზას ასწავლიდა და აფრთხილებდა, ეს საიდუმლოდ შეენახათ, მათი სახელები არ გაემჟღავნებინათ. ამ ადამიანებს ერცხვინებოდათ თანამოძმეების ნამოქმედარის, ნლების მანძილზე ქართველების მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ მათ გვერდით და კვლავ შერჩენოდათ ღირსება და თავმოყვარეობა.

წეროვანის დასახლებაში ცხოვრობენ: კობერიძეები, გოგიძეები, კახნიაშვილები, ზანგულაძეები, ბლიაძეები, ჭულუხაძეები, მეტრეველები, აბაშიძეები, ტარიელაშვილები, ბაბუციძეები, გოგიძეები, კულუმბეგოვები, ქარქუსოვები. აქ დასახლებული დევნილები დიდი ღიახვის, პატარა ღიახვისა და ახალგორის ხეობიდან არიან. დევნილები იხსენებენ ჩამოსახლების პირველ პერიოდს. მაშინ, როდესაც საკუთარ სახლებს თვითონაც ვერ აგებდნენ, ისე ჰგავდა ყველა ერთმანეთს. ძალიან დიდხანს ჩიტიც კი არ დაუნახავთ აფრენილი, ხეც არსად იყო, ჩრდილში თავი რომ შეეფარებინათ. სამაჩაბლოს დოვლათ-ბარაქიან მიწაზე გაზრდილი და ნაცხოვრები ქართველობა კვლავ დატრიალდა, შრომის ფერხულში ჩაება. იცოდნენ მათი გადამრჩენი კვლავ საკუთარი შემართება და სიცოცხლის წყურვილი იყო. თავს არ ზოგავდნენ. თითოეულს 400 კვადრატული მიწის ფართობი მისცა საქართველოს მთავრობამ. ზოგს მეტიც აქვს. შემოღობეს და მოუარეს ეზოებს, კუთვნილ მიწაზე მოჰყავთ ბოსტნეული, ხილი, ყურძენი.

სამყოფი აქვთ სარჩო-საბადებელი. აქვთ გაზი, სასმელი და სარწყავი წყალი. დასახლებაზე მუშაობს დიდი საბავშვო ბაღი, სკოლა, ცხოვრებას არ ნებდებიან. კვლავ ნათესაური კავშირები მყარდება აქ მცხოვრებთა შორის.

**ნანა წერეთელი** მეტრეველების რძალია ერგნეთიდან. მან მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა ლიახვის ხეობაში, დანარჩენი წლები აქ გაატარა. ასევე არიან სხვებიც, მაგალითად, ახალი თაობა, ბავშვები, რომლებსაც არ ახსოვთ ბევრი რამ, ან არ იციან. დევნილებს ძალიან ენატრებათ დიდი და პატარა ლიახვის სამოსახლო. განსაკუთრებით უფროს თაობას, მაგრამ დაბრუნება არც ისე იოლია. „როდემდე ვიცხოვროთ საკუთარ ქვეყანაში სიკვდილის შიშით, რამდენჯერ გავხდეთ დევნილები, რამდენჯერ დავკარგოთ სახლ-კარი, საკუთარი ოჯახის წევრები, ჩვენ ველოდებით იმ დღეს რომ დავიბრუნოთ დაკარგული. როკის გვირაბის იქით და აქეთ ტერიტორიები თუ ჩვენი ქვეყნის არ იქნება, ვერც ჩვენ დავბრუნდებით“ – ამბობენ ისინი.

ვერც გაამტყუნებ. ომი ყველაზე დიდი უბედურებაა სხვა უბედურებათა შორის. იგი განუკითხავად ანგრევს და სპობს ყველაფერს. ომმა ორივე მხარე უკიდურესად დააზარალა. აქეთაც გაჩნდა ომში დაღუპულთა საფლავები და იქითაც, იქითაც ტირიან დაღუპულ შვილებს დედები და აქეთაც.

ჯვარზე ხარ გაკრული ჩემო საქართველო, როდემდე ივლიან ასე უგზო-უკლოდ შენი შვილები? სად არის მხსნელი, რომელიც უფლის ძალით შეძლებს ამალლებას, თავის თავში იპოვის ძალას და გადაგვარჩენს? ნეტავი იმ დღეს!

ნუხს მინა-წყალი თავდაუხსნელი,  
სათქმელი ტანჯავს ასნილ...  
ვერ მოვუხერხე დარდს ვერაფერი,  
თავზე ლეშხივით მანვიმს.



# ჯერ მხოლოდ სიზმრებით – სამაჩაბლოში

## მარიამ ჯავახი ხათუნა ბელოუსოვა

მარიამ ჯავახი ვარკეთილის საჯარო სკოლაში გავიცანი. პატარა, საყვარელი, ღირსებით სავსე გოგონა ყველას ყურადღებას იპყრობდა არაჩვეულებრივი ღიმილით, მოკრძალებით და თავდაჯერებით. მე მას უმცროს მეგობრად ვთვლიდი. მარიამს საინტერესო ბიოგრაფია აქვს. მოხდა ისე, რომ ნეროვანის დასახლებაში შექმნა ოჯახი. მის მონათხრობს აღელვების გარეშე ვერ მოუსმენთ. მარიამი გორის რაიონის სოფელ კოშკიდანაა. მცირე ასაკის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. ის შერეული ოჯახის წარმომადგენელია. დედამისი, ხათუნა ბელოუსოვა, ეროვნებით რუსია, თუმცა საქართველოში დაბადებული და გაზრდილი. მაშინ, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის ომი დაიწყო, მარიამი სოფელ შერთულში იმყოფებოდა. 7 აგვისტოს სოფელი ყველამ დატოვა, თუმცა ეგონათ, რომ უკან დაბრუნდებოდნენ. მარიამს შემდეგ ცხოვრება მოუხდა თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში. აქვე დაამთავრა საჯარო სკოლა, ჩააბარა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში და ახლა სტუდენტია. როცა სოფელში მიემგზავრებოდა გზად ჩამწკრივებულ სახლებს ხშირად უყურებდა და სულ ფიქრობდა, ნეტავ როგორ ცხოვ-

რობდნენ ამ „პატარა სახლებში“ დევნილები. მოხდა ისე, რომ სწორედ წეროვანში გათხოვდა დიდი ლიახვის ხეობიდან ჩასახლებულ ლაშა ჯიოშვილზე და ძალიან ბედნიერია.

„გაოცებული ვარ ამ ხალხით, მათი შემართებით, – გვიყვება იგი, – ასეთი შრომისმოყვარე ადამიანები არსად მეგულება. როდესაც დევნილები ამ ადგილზე ჩამოსახლდნენ 201 კოტეჯს შორის ერთი ხეც არ მდგარა, დღეს კი ხეხილის მსხმოიარე ხეებით არის წეროვანი გამწვანებული. მოსახლეობა შეეჩვია აქაურობას, მოუარა და მინაც გაცოცხლდა, თუმცა იმდენად უყვართ საყვარელი ლიახვის ხეობა, ულამაზესი მინა-წყალი, რომ ყველა შინ დაბრუნებაზე ოცნებობს. ცხადად თუ არა, სიზმარში მაინც იქ არიან. ცრემლის გარეშე მის შესახებ ვერ საუბრობენ. აქ დაბადებულ პატარასაც რომ ჰკითხოთ, საიდან ხარო, – მაშინვე გიპასუხებთ, – დიდი ლიახვის ხეობიდანო.

ვამაყობ ამ ხალხით, ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხის ნაწილი გავხდი. მიხარია, როცა არსებობს ასეთი შემართება, უკვდავი იმედი, იმედი დაბრუნების, ნათელი მომავლის. მე მჯერა, რომ ჩვენ ყველა ერთად დავბრუნდებით დიდი ლიახვის ხეობაში. მინდა ეს ხალხი თავის მინაზე ხარობდეს, მინდა ჩემი შვილებიც მამა-პაპათა ადგილზე დასახლდნენ და აღორძინდნენ. ის სიტბო და სიყვარული დაეკვებოთ, რითაც ეს ხალხი ასე მდიდარია“.

მარიამი უკვე დედაა. მეც მჯერა შენი, ჩემო მარიამ, აუცილებლად დაბრუნდებით ყველა ერთად სამაჩაბლოში.

## **გურამ ჯიოშვილი** **ეველინა ბასიშვილი**

**გურამ ჯიოშვილი** სამაჩაბლოდანაა, სოფელ ქურთადან. მისი მეუღლე – **ეველინა ბასიშვილიც** ქურთას მკვიდრია. მათ ღირსეული ოჯახი შექმნეს და სამი შვილი გაუზარდეს ქვეყანას. გურამი და ეველინა აჩაბეთში მუშაობდნენ სამხედრო ბაზაზე. ბოლო წლებში ხშირად იყო დაპირისპირება ოსებსა და ქართველებს შორის, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა. 7 აგვისტოს საშინელი სროლა დაიწყო, 8 აგვისტოს ძლიერი დაბომბვა, მალე ვერტმფრენებიც გამოჩნდნენ ხეობის თავზე, როკის გვირაბიდან რუსეთის მძიმე არტილერია დაიძრა ქართული სოფლებისაკენ. სოფელი დაიცალა. ეველინას ლოგინად ჩავარდნილი დედა ჰყავდა და ვერ მიატოვა. მოულოდნელად უფროსი შვილი გამოჩნდა და მანქანით წაიყვანა დედაც და დავრდომილი ბებიაც. აი, რას ჰყვება ეველინა განვლილი გზის შესახებ:

„მანქანა ტყის გზის მიმართულებით მიდიოდა, ტყეზე უამრავი ბომბი ცვიოდა. მანქანები და ადამიანები ჩემ თვალწინ ნადგურდებოდნენ, ნაფლეთებად აქეთ-იქით ცვიოდა. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერო გზა. ტყის გზაზე უამრავი ხალხი გარბოდა. ყველა გადარჩენისთვის იბრძოდა“.

8 აგვისტოს, დილით, გურამი სამხედრო ბაზაზე გამოცხადდა, ხოლო საღამოს, სახლში დაბრუნებულს სოფელი დაცლილი დახვდა. ოჯახის არცერთი წევრი შინ არ იყო, არც არაფერი იცოდა მათ შესახებ. შემდეგ ნათესავ და მეზობელ მამაკაცებთან ერთად ღამე სარდაფში გაატარეს. დილით სახლიდან დამწყვდეული პირუტყვი და ფრინველი გამოუშვა და ასე დატოვა საკუთარი ქერი. შემდეგ საკმაოდ მძიმე დღეები გამოიარა

გურამმა. რუს სამხედროებთან შეხვედრა, დაკავება, გათავისუფლება, ტყეში შეხიზნული ქართველების ნახვა. „მინა თითქოს ღმუოდა, ჩვენი საამაყო სამაჩაბლო თავზე გვენგრეოდა, – გვიყვება გურამი, – გორში ჩემი ოჯახი ვერ ვიპოვე, ბოლოს თბილისში შევხვდით ერთმანეთს. ისინი ჩემს ნახვას აღარც ელოდნენ. შემდეგ წეროვანში ჩაგვასახლეს. სამაჩაბლოში უდიდესი ბაღები გვქონდა. აქ 60 კვ მინა მოგვცეს თითოეულ კაცს და ბინები პატარა მიწით. წლების მანძილზე ნაშოვნის ცხოვრება ერთიანად ჩაიმარხა სამაჩაბლოში. ცხოვრებას იმისათვის ვაგრძელებ, რომ დავბრუნდე ჩემს მინა-წყალზე. მე თუ ველარ მოვესწრები, ჩემი შვილები და შვილიშვილები მაინც დაბრუნდებიან და თავიდან შექმნიან ახალ სამაჩაბლოს. ასე სევდითა და იმედით ამთავრებს თხრობას გურამი.

გული სწყდება ეველინას იმის გამო, რომ საოცნებო და სანატრელი მტერმა წაართვა. „ხეობაში ახლად მიცვალებული მამის საფლავი დავტოვე, – სევდით იხსენებს იგი, თუკი რამ გამაჩნდა: ბავშვობა, ახალგაზრდობა, ტკბილი მოგონებები – ყველაფერი იქ, ჩემს ლამაზ სამაჩაბლოში დარჩა. ბავშვობის ერთი სურათიც კი არ შემომრჩა. არასოდეს მინახია სიზმარი ხეობის გარეშე. სიზმრებში სულ ჩემს სახლში ვტრიალებ, იმედს არ ვკარგავთ არავინ, გვჯერა რომ ერთ დღესაც დავბრუნდებით მშობლიურ კერას. მისი სევდიანი ლექსის სტრიქონებიც სამაჩაბლოს ეხება:

*„ნისლში ჩაძირულა ჩემი სამაჩაბლო,  
ჩუმად დუდუნებს დამწვარ სახლებთან,  
ვერ მოვასწარი გამოთხოვება  
ბავშვობასთან და მამის საფლავთან.“*

**ნელი ღონღაძე** ქვიშხეთიდანაა. დიდი ლიახვის სოფელ ქურთაში გათხოვდა ვლადიმერ ბასიშვილზე. მალე მეუღლე დაელუპა და დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც ულამაზესი ხეობის სიყვარულით იზრდებოდნენ. მათი ძვირფასი მამის საფლავიც ხომ იქვე იყო. კვირა არ გავიდოდა, რომ არ მოენახულებინათ.

„დიდი ლიახვის ხეობა პატარა სამოთხეს ჰგავდა, იმდენად მიმილო და მივიღე ეს კუთხე, ეს ხალხი ჩემად, რომ ვერც კი წარმომედგინა სხვაგან ცხოვრება. ჩემს ოჯახს ყოველთვის ჰქონდა ქალაქში ცხოვრების საშუალება, მაგრამ მე ქურთაში მერჩია.

1991 წლიდან ხეობაში ხშირად იყო დაძაბული სიტუაციები, მაგრამ დროდადრო წყნარდებოდა. 2008 წლის ომის დროსაც ასე გვეგონა. 7 აგვისტოს საღამოს ომი დაიწყო. 8 აგვისტოს საღამომდე არ დამიტოვებია სოფელი. შვილები კი ნათესავს გავაყოლე გორში. იბომბებოდა გორიც, იცლებოდა სოფელი და მეც დავტოვე ჩემი სახლ-კარი იმ იმედით, რომ 3-4 დღეში უკან დავბრუნდებოდი. მივდიოდი სოფლიდან და ვხედავდი როგორ აოხრებდნენ ჩემს პატარა სამოთხეს, ეს იყო მომაკვდინებელი გრძნობა. დიდი წვალეების შემდეგ შევხვდით მე და ჩემი შვილები ერთმანეთს. შეგვასახლეს საბურთალოზე მდებარე ბაგა-ბაღში. დეკემბრის თვეში ჩაგვასახლეს წეროვანის კოტეჯებში, სადაც დღემდე ვცხოვრობთ. სიზმრებში სულ ხეობას ვხედავთ. გვითენდება და გვიღამდება იმ იმედით, რომ ჩვენ დავბრუნდებით სამაჩაბლოში. იმედს არ ვკარგავთ, გვჯერა დაბრუნების იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი მიცვალებულების საფლავების მეტი აღარაფერი არსებობს, ფიქრადაც ვერ წარმომიდგენია, რომ იქ ჩემი სახლი აღარ დგას.

61 წლის ვხდები და ერთადერთი სურვილით ვაგრძელებ

ცხოვრებას, ისე არ მომკლას უფალმა, რომ ფეხი არ დავდგა ჩემს მიწაზე, რომ ერთხელ მაინც ვნახო ჩემი მეუღლის საფლავი და მერე მშვიდად წავალ ამ ქვეყნიდან.“ – ასე ამთავრებს სათქმელს ტანჯვაგამოვლილი ქალბატონი.

ჩემო გულნატკენო, ჩემო ერთგულო, ჩემო გაუტყელო, ლამაზი ხეობის სულით ლამაზო ქართველებო, ქვეყნის სიყვარულში თქვენ ვინ შეგედრებათ, ჭირთათმენაში ვინ გაგიტოლდებათ, მხნეობისა და იმედის ძიებაში ვინ არ შემოგნატრებთ, აუცილებლად დაბრუნდებით სამაჩაბლოში.

ჯერ კი უფალმა მიმტევებლობის ძალა მოგანიჭოთ, სიყვარულის ალგენის რწმენა ჩაგისახოთ, გული გაგიტბოთ სამაჩაბლოს მიწისა და იქ მცხოვრები ადამიანების მიმართ, რომლებმაც არანაკლები ჭირთმენა გამოიარეს, რომლებსაც თქვენთან მეგობრობა, თქვენი თანადგომა, ძალიან დააკლდათ. ქვეყნის გამთლიანებისათვის, შერიგებისათვის, დაბრუნებისათვის თქვენეული ნაბიჯი თქვენც გადაგედგათ, რადგან ჩვენი ხსნა მხოლოდ ამაშია.

## ბადარჩენილი რწმენა სვალისა

გამოჩნდა გორიც, ქართლის შუაგული. ომგამოვლილი. ბრძოლაგადატანილი. მის მახლობლად დევნილთა დასახლებებია, რომლებიც მოურჩენელ ტკივილზე მიგვანიშნებს, სადაც სამაჩაბლოს ულამაზესი სოფლებიდან თავშეფარებულ მოსახლეობას ხელახლა დაფუძნება გადაუწყვეტია. ვინ იცის, მერამდენედ შესჭიდებიან ნუთისოფელს და ცხოვრება მერამდენედ გაუგრძელებიათ.

### ოთინაშვილები

ეს კარალეთის დევნილთა დასახლებაა. პირველად ოთინაშვილების სახლში შევედით. ესენი არიან მანუჩარ ოთინაშვილი და მერი თეთრუაშვილი სოფელ ქემერტიდან. ოჯახის სხვა წევრებიც აქ ცხოვრობენ, უფროსები: ამირან და ზეინაბ ოთინაშვილები.

ამირან ოთინაშვილი მძიმე ცხოვრებაგამოვლილი კაცია. გამოცდილებაც დიდი აქვს. 90-იან წლებში პირველი დევნილობა გამოიარა. ამირანი როგორ დაიჯერებდა თუ საკუთარი სახლიდან გამოქცევა მოუწევდა. იხსენებს იმ დღეებს და აღელვებას ვერ მალავს. 2008 წლის ომმა კი უფრო მეტი უბედურება მოუტანა ხალხს. ეს იყო ქართველი კაცისათვის გაუგონარი ბოროტება, როცა ტოვებ ყველაფერს, რაც შეგიქმნია და საკუთარი სახლიდან ცდილობ გაიქცე, რათა სიცოცხლე შეინარჩუნო.

მერი თეთრუაშვილი ოთინაშვილების რძალია. ახალგაზრდა, მშვენიერი დიასახლისი ახლა უკვე ორი ვაჟის დედაა,

ენერგიით სავსე, იმედიანი პიროვნებაა. იგი კვლავ დელავს, როცა ომის პერიოდს იხსენებს „ისეთი ჩაცმულები გამოვედით სახლებიდან, ჩვენი დანახვაც კი შეგზარავდათ. ვერაფერი გამოვიტანეთ, მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვიზრუნეთ. როგორ დავივიწყებ იმ წუთებს, სოფლიდან სიკვდილს გამოვექეციით და დიდი ტანჯვით კასპამდე ჩამოვედით. აქ თითქოს წელში იყო განწყვეტილი საქართველო, ორ ნაწილად გაყოფილი. მანქანას არავინ გვიჩერებდა. უამრავი ხალხი ირეოდა, ყველა სადღაც მიდიოდა, გაუთავებელი ნაკადი აწყდებოდა ორივე მხარეს. თავს გვეხვივნენ ჟურნალისტები. ჩემთან ერთად მული და დედამთილიც იყვნენ. ბოლოს ჩემი მული წინ გადაუდგა უცხო მანქანას და მძღოლი იძულებული გახდა ექვსი ადამიანი ჩამოვეყვანეთ თბილისამდე.

შემდეგ დაიწყო დევნილობის გაუსაძლისი დღეები და თვეები. ბოლოს აქ შემოგვასახლეს – საუბარს ამთავრებს მერი. ოჯახს ეტყობა გამრჯე დიასახლისის ხელი. შემდეგ მეზობლებიც შემოვიდნენ და კარგი ურთიერთმეზობლური დამოკიდებულება მაშინვე შესამჩნევი გახდა.

კარალეთის ტერიტორიაზე 40-40 ოჯახია ჩასახლებული: ძარწემიდან, თამარაშენიდან, ხეითიდან, ქურთადან, კეხვიდან, აჩაბეთიდან, ერედვიდან, დოსევიდან, ნულიდან. ამ სოფლებიდან ჩამოასახლეს ტაბატაძეები, კობერიძეები, ოთინაშვილები, კასრაძეები, ღერკენაშვილები და სხვები. ვერაფრის წამოღება ვერ მოასწრეს დევნილებმა. რაც ეცვათ, მხოლოდ ის გამოყვათ. ზოგმა მხოლოდ საბუთების წამოღება შეძლო. გამოქცეულთა შორის ოსი ქალბატონებიც იყვნენ, რომლებსაც ქართველი ქმარ-შვილი ჰყავდათ. მათ ოჯახებისთვის არ უღალატიათ. დღეს ისინიც დევნილთა შორის ცხოვრობენ.



*თაბარაშენი ოზის შახდავ*

სოფელ ქემერტში სახლები გადანვეს, წასაღები წაიღეს, ისე როგორც სხვა სოფლებიდან.

**მარია მოსიაშვილი** წარმოშობით გორიდან არის, გათხოვილი იყო ქემერტში ნოდარ კასრაძეზე. იგი ჰყვება განვლილ გზაზე, როცა სიკვდილს თვალეში უყურებდა. არ ავინყდება განამებული მოხუცების მოხრილი მხრები, რომლებსაც ფუთები ეჭირათ ხელში და გზას ისე გასდგომოდნენ. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის გზა. მოდიოდნენ ყველა ასაკის, შემჭიდროებულნი, აჩქარებულნი, ყველანაირი ტრანსპორტით, ფეხით, ტანჯული სახეებით, მოთქმით, ცრემლიანი თვალებით. ასე მოუყვებოდა დედა საქართველო დიდი ლიახვის ხეობიდან გამოსასვლელ ეკლიან გზას. დრო აღარ იცდიდა. იქიდან გამოსწრება იყო მთავარი. კიდევ უფრო საშინელება იყო დაცლილი,

მდუმარე, მიტოვებული სოფლების გამოვლა. სიჩქარეში ზოგს ეზოს კარი დარჩენოდა ღია, ზოგს სახლის, საიდანრაც ძროხის ბლავილი ისმოდა, ეზოში ხბო დარჩენოდათ დაბმული, კრუხი საბუდარს არ შორდებოდა, მხოლოდ მშვიერი ძაღლები დათარეშობდნენ, რომლებიც დღემდე დაძრნიან ჯგუფ-ჯგუფად მავთულხლართების აქეთაც და საკმაოდ საშიშნი არიან.

მარიკა მოსიაშვილი თამარაშენში მუშაობდა ბიბლიოთეკის მენეჯერად. სოფელი კეთილმოწყობილი იყო. არ აკლდათ არაფერი: მოასფალტებული გზები, უფასო ტრანსპორტი, გაზგაყვანილობა, წყალგაყვანილობა, შესანიშნავი მაღაზიები, აფთიაქი. არაჩვეულებრივ პირობებში ცხოვრობდნენ.


2008 წლის ომმა მიწასთან გაასწორა თამარაშენი, როგორც ღიახვის ხეობის სხვა მრავალი სოფელი. იქ სახლები აღარ არსებობს, მხოლოდ ნანგრევებია. განადგურდა თამარაშენის



*ნოდარ კასრაძის სახლი ქვერტში, რომელიც აღარ არსებობს.*

უნიკალური მუზეუმი, მარანი რომლის მნიშვნელობაც ძალიან დიდი იყო ეროვნული თვალსაზრისით. ამის შემდეგ ძნელია გულდამშვიდებულმა იცხოვრო. მარია ცრემლის გარეშე ვერ იხსენებს იმ წუთებს, თუ როგორ გამოვიდა საკუთარი ბინიდან მისი მეუღლე – ნოდარი. როგორ მოეფერა კედლებს მთრთოლვარე ხელებით და როგორ დატოვა. მერე იყო გორის დაბომბვა, სადაც მარიკას მეუღლე მოჰყვა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. ახლა, როგორც დევნილები, ცხოვრების აღორძინებას ხელახლა იწყებენ.

დევნილებს შორის ურთიერთნათესაური კავშირები დიდი იმედის მომცემია. დიდჭირგამოვლილი მოსახლეობა კარგად უგებს ერთმანეთს. მჯერა ეს ურთიერთსიყვარული გადაგვარჩენს. ადამიანებს შორის ურთიერთგაგება თუ დაგვეხმარება სამომავლოდ. უფლისა და მამულის სიყვარული თუ დაგვიბრუნებს დაკარგულს. ის გვაპოვინებს სამართლიანობისაკენ მიმავალ გზას. ეს გზა კი აუცილებლად მიგვიყვანს ტაძრამდე, ასე თუ მივაგნებთ გზას ხსნისას და კიდევ იმით, რომ გულნატკენი ადამიანები საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე როცა ოცნებობენ და ვერც წარმოუდგენიათ სხვაგვარად, ისინი იმ ადამიანთა თანაცხოვრებაზეც ფიქრობენ, ვინც იქ დარჩა. ამით მომავლის რწმენაა მათში გადარჩენილი.



## სტუმრად ვერხვების დასახლებაში

აქვე ახლოს ვერხვების დევენილთა დასახლებაა, აღმართს ავცდი და დასახლებაში შევედი. პირველივე შესახვევთან შევჩერდი, კვლავ ოთინაშვილების სტუმარი აღმოვჩნდი. როგორი მადლიერი ვარ ამ ღირსეული ხალხის გაცნობით.

### თამაზ ოთინაშვილი

ოჯახის უფროსი, დარბაისელი, ღირსეული, განათლებული, სიტყვამზიანი პიროვნებაა, რომელსაც საკუთარ მხრებზე აქვს გადატანილი სამშობლოს გასაჭირი. მას ჰყავს შესანიშნავი მეუღლე კეხვიდან, ქალბატონი ქეთევან კახნიაშვილი, სამი ქალიშვილი, სამივე უმაღლესი განათლებით და სამივე დაოჯახებული. ოჯახური ჰარმონია მათთან მაშინვე შეინიშნება, რითაც მოხიბლული დავრჩი. აქ ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა ყველაფრის განმსაზღვრელია, პატარებთანაც და დიდებთანაც.

ოჯახის წევრთა საუბარში იგრძნობა დიდი გულისტკივილი დაკარგულის გამო, მონატრება და უდიდესი სიყვარული, რაც დიდი ღიახვის ხეობაში დარჩათ და იმედი დაბრუნებისა.

ოჯახმა ორჯერ დევნილობა გამოიარა, მაგრამ სწავლა-განათლების მნიშვნელობა მათთვის ყველაზე მთავარია. ასევე მნიშვნელოვანია სამშობლოს სიმტკიცე და ერთიანობა. ისინი ქვეყნის გულშემატკივრები არიან.

ოთინაშვილების ოჯახი სოფელ ქერმეტიდან არის. ცხოვრობდნენ ცხინვალში. პირველი დევნილობის შემდეგ სოფელ ქურთაში დასახლდნენ. 90-იანი წლების დევნილობის დროს ბატონმა თამაზმა ტრავმა მიიღო. ბარძაყში ტყვია მოხვდა, რის გამოც კიდური დაკარგა. სხვაც ბევრი რამ აქვს სევდიანი მოსაგონარი. დაკარგა ბინა, ხილით სავსე ბაღები, ვენახი, მოშენებული ფუტკარი, ულამაზესი ეზო და მოვლილი სახლ-კარი. დაკარგა სამსახურიც, იგი პედაგოგად მუშაობდა. ქურთაში დასახლების შემდეგ იმედმა იმძლავრა, ყველაფერი ხელახლა აალორძინა, სამსახურიც დაიწყო, მაგრამ დევნილობა მაინც არ ასცდა.

2008 წლის ომმა უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა დიდი ლიახვის მოსახლეობა. „ვერაფრის გატანა ვერ მოვასწარით, გამოვედით რაც გვეცვა იმით და წამოვიღეთ მხოლოდ საბუთები.“ – იხსენებს ბატონი თამაზი.

7 აგვისტოს, საღამოთი, ყველაფერი ნათელი გახდა მოსახლეობისათვის. 50-60 კაცი სარდაფში აფარებდა თავს. არც ის საშინელება დაავინყდებათ, რა გზითაც იარეს. ეს იყო ერთადერთი სასიცოცხლო არტერია, გამოსვლა შეიძლებოდა ტყეზე გავლით, ერედვიდან აჩაბეთამდე. ეს გზა იყო სიცოცხლის გზა, რომელიც დიდი ლიახვის ყველა მცხოვრებმა გამოიარა. ეს იმდენად საშიში იყო, რომ შეიძლებოდა ხეობიდან ამბის გამომტანიც კი არ დარჩენილიყო ცოცხალი. ბევრიც ამ გზაზე დაიღუპა, გამოვიდნენ და იქ დარჩათ ყველაფერი: მატერიალური სიმდიდრე, მორალური ღირებულებები, ისტორიული საცხოვრისი, წინაპართა საფლავები, საყვარელი მამული. დიცის გზაზე გადმოსვლისას, ერედვს რომ გამოსცდნენ რუსეთის თვითმფრინავები წამოენივნენ და დაბომბეს. აქაც ბევრი დაიღუპა.

დიდი ლიახვის ხეობიდან პატარა ლიახვისკენ ტანჯვა-ნამებით გადმოდიოდა მოსახლეობა, ჯერ გორისკენ და შემდეგ თბილისისკენ მიიკვლევდნენ გზას.

ვერხვების დასახლებაში 2009 წლის ოქტომბერში შეასახლეს ოთინაშვილების ოჯახი. ასევე სხვებიც: ბასიშვილები, ჯიოშვილები, ხაჭაპურიძეები, ჯობაძეები, ბაბუციძეები, ჭულუხიძეები, ბერუაშვილები, დათაშვილები... თითო ბინა 47 კვ მეტრია, თითო კოტეჯი – 204 კვ მეტრი. დასახლებაში ცხოვრობს მოსახლეობა ვანათიდან, ერედვიდან, არაბეთიდან, ანრისხევიდან, თამარაშენიდან, არჩევიდან, ავნევიდან. თიღვის მუნიციპალიტეტიდან 28 ოჯახია, სულ 300-კომლიანი დასახლებაა. გამგებელია ზვიად მინდიაშვილი.

აქ მცხოვრებ დევნილებს ძალიან ენატრებათ მშობლიური ადგილები, სიზმარშიც კი ხედავენ ულამაზეს სახლებს, მოვლილ ბაღ-ვენახებს, ხილის ბაღებს, აბიზინებულ მინდვრებს, მოსავლით სავსე ბარაქიან მიწას, მამა-პაპათა საფლავებს, ნმინდა ადგილებს და იმედით ბრუნდებიან უკან, საკუთარ სახლებში. ეს სიზმარში, მაგრამ რეალობა სულ სხვაა.

მართალია, კავკასიონის მთავარ ქედამდე დიდი ლიახვის ხეობაში და ფანის ხეობაში ერწოს ტბამდე სამაჩაბლოს ტერიტორია იყო ერთ დროს, მაგრამ საზღვარი ახლა ახალგორთან, დვანთან, ქვათეთრთან გადის.

ვიდრე საქართველოს მთავრობა ღირსეულად არ დაეპატრონება სამაჩაბლოს მთელ ტერიტორიას, დევნილები ვერ დაბრუნდებიან იქ. ასეთია მათი აზრი დაბრუნების შესახებ. ვერც შეედავები.

ამ განაცხადში ამკარად გრძნობ ტკივილგამოვლილი ხალხის გამოცდილებას, არ სურთ საკუთარ სამშობლოში დევნილები ერქვათ. დიდი სურვილი აქვთ კვლავ ააღორძინონ ცხოვრება სამაჩაბლოში, მაგრამ მტკიცე საყრდენი ესაჭიროებათ. ხელისუფლებისაგან მეტ მხარდაჭერას ელოდებიან.

## ცხრა საუნჯე, ცხრა წყარო...

ძნელია მხოლოდ მოგონებებით იცხოვრო. ისმენ და გრძნობ, ეს ადვილი სათქმელი არ არის მათთვის, ვინც დევნილია. იქ ხომ მამა-პაპათა საფლავები ელოდებათ. დანგრეული, მიწასთან გასწორებული სოფლები უცდით აღსადგენად, მინდვრებს მთესველი ენატრება, ზვარს მეზვრე, გამრჯე ხელი ყველაფერს ფეხზე წამოაყენებს. მოვალეობის გრძნობა არ ასვენებთ დევნილებს. თავისუფლებას ეთაყვანებიან, სამშობლოს სიყვარულის მძიმე უღელი საშველს არ აძლევთ. მამული უხმობთ, ტაძრები მრევლს ელოდება. დიდი ღიახვის ხეობა მდიდარია ეკლესია-მონასტრებით. ხალხს უყვარს ტაძარში სიარული. ქართველი კაცი ტაძრებს სინმინდისა და სათნოების ნიშნად აგებდა უფლის სადიდებლად. უფალს ეკრძალებოდა და ეთაყვანებოდა. ხალხმა უამრავი რამ იცის მათ შესახებ. როგორ ააგეს, სად ააგეს, რატომ ააგეს. ზოგჯერ შემალღებულ, განმარტოებულ ადგილს ირჩევდნენ, ზოგჯერ ვაკეს. ეგეც არის, რომ ეკლესიის აგებასთან ერთად მოსახლეობაც სახლდებოდა და მრავლდებოდა მათ სიახლოვეს. მრევლი ეკლესიებში ლოცულობდა, პირჯვარს ისახავდა და მიწა მადლით იმოსებოდა.

სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ცხრა უძველესი სოფელია, ცხრა ზეცა და ცხრა წყარო, ცხრა საოცნებო და ცხრა საზღაპრეთი: თამარაშენი, ქვემო და ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ხეითი, ძარნემი, ქემერტი და სვერი. ეს მხარე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ეკლესია-მონასტრებით და ციხე-ტაძრებით. ზოგიერთი ისტორიული ძეგლი იმდენად ძველია, რომ

დანგრეულია, მაგრამ შემორჩენილი ნაშთებით ვიგებთ მათი არსებობის კვალს. ზოგიერთი ტაძარი აღდგენილია და პირვანდელი სახითაა მოღწეული.

სამაჩაბლოში განსაკუთრებული სილამაზის ბუნებაა. მოულოდნელად წაანყდები მთაზე წამომართულ ციხეს ან ტაძარს, ქართველი ხალხის სიძლიერის და რწმენის სიმტკიცის უტყვევ მოწმეს.

როგორც ვიცით, სოფელი თამარაშენი მაჩაბლების რეზიდენციად ითვლებოდა. იგი უძველესი წარსულისა და ტრადიციების სოფელია. მის შესახებ ხალხში ასეთი ლეგენდაა გავრცელებული. თამარ მეფეს სეირნობის დროს ქოში დაჰკარგვია ამ ადგილებში. ერთ კაცს უპოვია, მიუტანია მეფისთვის და უთქვამს: „თამარ აშენი“ ქოში. ამის შემდეგ თამარს აქ ქალაქი გაუშენებია, რომელიც მტერთა შემოსევისაგან დანგრეულა და შემდგომ მხოლოდ სოფლის იერი შეუნარჩუნებია. თამარაშენში მოსვლა ძალიან უყვარდათ ქართველ სახელოვან მამულიშვილებს. ეს სოფელი ძალიან ჰყვარებია ილია ჭავჭავაძეს.

აჩაბეთი ლიახვის მარჯვენა მხარეზე იყო გაშენებული და იყოფოდა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო აჩაბეთად. სოფლის სიამაყეს წარმოადგენდა აჩაბეთის ციხე, რომელიც სტრატეგიული დანიშნულებითა და ქვათა ნაგებობის ხელოვნებით, მართლაც, განუმეორებელია. ციხის გადასახედიდან საოცარი ხედი იშლება. რამდენჯერ დაუცავს მტერთა შემოსევისაგან ამაყ ციხეს სოფელი. დგას დროთა ქარიშხლებისაგან კედლებშებერებული, მაგრამ სიძლიერის სიმბოლოდ ციხე აჩაბეთისა.

აღსანიშნავია სოფელი ქურთა. ეს სოფელიც მაჩაბლების რეზიდენციად ითვლებოდა. გადმოცემის მიხედვით, ადრე

სოფელს სამება რქმევია, ალბათ ამიტომ სოფლის ეკლესია-საც სამების წმინდა გიორგის სახელი ერქვა, რომელიც 2008 წლის ომამდე მოქმედი იყო. აქვე იყო გერის წმინდა გიორგის და მთავარანგელოზის ტაძრები.



*ქურთა ომის შედეგად*

სამაჩაბლოს ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი იყო კეხვი. განუმეორებელი ბუნებით. მდიდარი ქრისტიანული სალოცავებით. სოფელში უძველესი დროიდანვე იყო: წმინდა დედალ-ვთისას, მაცხოვრის და წმინდა გიორგის ორი ეკლესია. ასევე საინტერესოა კეხვის განთქმული ციხე, საიდანაც მთელ ხეობას ხედავ.

მდინარე ლიახვის მარცხენა მხარეს მდებარეობდა სოფელი სვერი, ქემერტი, ძარწემი და ხეითი. სოფელ ქემერტის წმინდა გიორგის ეკლესია აგებულია IX-X საუკუნეებში. ეკ-

ლესიას ამშვენებდა წრიული გალავანი, მსგავსი ნაგებობა იშვიათი იყო. სოფლის კოლორიტულ სახეს ქმნიდა ცილინდრული ფორმის ხუთსართულიანი კოშკი. ყველა სართული ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

რაც შეეხება კასრაძიანთ ციხეს, ხალხი მოგვითხრობს მის შესახებ: ბეჟან და პაატა კასრაძეებს მოთარეშე ლეკები დასდევნებინან. ბიჭები კამეჩებს აძოვებდნენ კეხვის ჭალაში. ბეჟანი დაუჭერიათ და შემდგომ გაუყიდიათ. იგი ეგვიპტეში მოხვდა და მამლუქი გახდა, სადაც პირადი ღირსებებისა და დამსახურების გამო ბეგობა მიუღია. საქართველოში ძმებისთვის ხმა მიუწვდენია, დიდძალი სიმდიდრე გამოუგზავნია და უთხოვია, მის სახელზე რაიმე აეგოთ, მით უფრო, რომ ქრისტიანობაზე გული არ შეცვლოდა. ძმებმა ციხე და საცხოვრებელი ააგეს. შიშიანობის გამო თავს აფარებდნენ თვითონაც და მეზობლებიც.



*ქარნაშის წმინდა გიორგის ეკლესია*

სოფელ ხეითში ასწლოვანი ხეებით დაფარულ ვაკე ადგილზე ძელიცხოვლის ეკლესია დგას, რომელიც XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. აი, ლიახვის ხეობის ყველაზე დიდი სიმდიდრე, ყველაზე მნიშვნელოვანი საგანძური, რითაც ჩვენი წარსულის ფურცლებია დანერილი. აი, საქართველოს ერთ-ერთი ზღაპრული კუთხის ტკივილი, რომელიც დღემდე მოურჩენელია. ამ ხეობის კაცი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ახლა და როგორი პირობებიც არ უნდა ჰქონდეს, როგორ იქნება ამ მინა-წყლის გარეშე ბედნიერი. საფიცარი მინა კი გამუდმებით უხმობს საფიცარ შვილებს, ტაძრები მრევლს ელოდება.

ყოველი დილა იმედით თენდება:

*აფრინდებიან ჩიტები გუნდად,  
შეატოვებენ ვაზს ბოლო ნამცვრევს,  
გადაუვლიან ხეითს და ქურთას,  
ლიახვს, ფრონისპირს, ქემერტს და ძარნემს.  
წვიმა დათქორავს სოფლებს ნახანძრალს,  
სასონარკვეთა შემიპყრობს იმ წამს,-  
ო, დედამინავ! ჩემი ხმა ცას ძრავს,  
ჩემთვის არა ხარ, უბრალოდ, მინა!*

ეს ის საფიცარი მინაა, რომელსაც სამშობლო ჰქვია, უპირველესია, უწმინდესია, ერთადერთია, ჩვენი ძვალთმესალაგია. მასზე უფრო დიდი ტკივილი და მონატრება არ არსებობს ქვეყნად, არც დიდი სიყვარული. იქ დაბრუნებას სურვილის გარდა, მოპოვება უნდა. მუხლჩაუხრელი ღწვა უნდა, ეს ის საუნჯეა, რომლის გარეშე ჩვენს არსებობას აზრი დაეკარგება.

# სამშობლოსა და პოეზიის მუზის ერთგული

## ვალერი გომენაქი

უამრავმა ქართველმა ვაჟკაცმა თავი დადო სამაჩაბლოში სამშობლოსათვის. პირველივე დაცხებაზე მამულის გადასარჩენად უყოყმანოდ გაეშურნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ვალერი გომენაქი, რომელიც დაიბადა 1978 წელს თერჯოლაში, სოფელ ღვანკითში. ვალერი სწავლის დამთავრების შემდეგ სამხედრო-სამსახურში შევიდა, ამის შემდეგ 8 წლის მანძილზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. მას პატივს სცემდნენ, როგორც პროფესიონალს, საქმისთვის თავდადებულს. ერაყშიც იმყოფებოდა სამშვიდობო მისიით და მიხვდა, რომ სამშობლოს გარეშე არსად შეეძლო გაჩერება. სამხედრო სამსახურის გამო ხშირად იმყოფებოდა კოდორის ხეობაშიც. მოხიბლული იყო ამ კუთხის მშვენიერებით. 2008 წლის ომის დროს უყოყმანოდ გაემგზავრა სამაჩაბლოში. 11 აგვისტოს დედას ესაუბრა ტელეფონით, ამის შემდეგ დიდხანს იყო უგზო-უკვლოდ დაკარგული და ბოლოს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს მუდმივი მკვიდრი გახდა. ვალერი პირადი მაგალითით, ცხოვრების წესითა და ერის წინაშე დამსახურებით ნამდვილი გმირია. მე გავეცანი მის შესახებ საოცარ წერილებს, დღიურებს, გამოსამშვიდობებელ სიტყვებს, ახლობლებისაგან დაწერილს და ძალიან დამწყდა გული, გარდაცვალების შემდეგ რომ გავიცანი ასეთი დიდე-



ბული ვაჟკაცი. სამშობლოსათვის ასეთი უანგარო თავგან-  
წირვა მამულიშვილებს შეუძლიათ მხოლოდ. ვალერი ლექსებ-  
საც წერდა. მას პოეტ-ჯარისკაცსაც ეძახდნენ მირზა გელო-  
ვანივით, ერთ სქელ რვეულში ჰქონდა თავმოყრილი საკუთა-  
რი ლექსები და სულ თან დაატარებდა. მისი ლექსებიც მასთან  
ერთად დაიკარგა სამწუხაროდ.

*„როცა ოცნებით თბილისს ვენწევი,  
მომენატრები როცა ძალიან,  
მაშინ ბნელ ღამეს ფიქრით ვათეთრებ,  
რიჟრაჟზე ვარდებს ვკოცნი ნამიანს.  
ვდგავარ სარკმელთან, ისევ ვენწევი,  
ისევ გნატრულობს გული ძალიან,  
სანთლებს დავანთებ ჩვენს სიყვარულზე  
ჩვენს ერთად ყოფნას შევთხოვ მარიამს“.*

ეს მისი ერთადერთი გადარჩენილი ლექსის სტრიქონებია. ასე დასრულდა პატრიოტი, მეოცნებე, სამშობლოსა და პოე-  
ზიის ერთგული და შეყვარებული ჭაბუკის ხანმოკლე, მაგრამ  
ლამაზი და ვაჟკაცური სიცოცხლე.

ისევ გლოვობენ დედები შვილების დაღუპვას, მაგრამ ეამაყე-  
ბათ ასეთი გმირები რომ გაუზარდეს სამშობლოს. მათ მიაჩნიათ,  
რომ მამულისათვის თავგანწირვა ადამიანის უპირველესი მოვა-  
ლეობაა. ისინი ლოცულობენ გარდაცვლილთა სულებისათვის,  
უვლიან საფლავებს, მადლობლები არიან საქართველოს კათო-  
ლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, რომელმაც ფრონტის ხაზიც კი  
გადაკვეთა და მინდორში დახოცილი, უპატრონოდ დატოვებუ-  
ლი მათი შვილები გამოიყვანა. სანამ დედები შვილებს ეძებდნენ  
თვითონ უჭირისუფლა. 2008 წლის 26 აგვისტოს 42 დაკარგული  
ბიჭის დედას შვილების საფლავები აჩუქა.

## დიდი და პატარა ლიახვი

მწუხარება ისევ სამაჩაბლო. მდუმარე ხეობას ხმაურიანი ლიახვი მიუყვება და აცოცხლებს. ნახანძრალ მიწას იმედით ავსებს. ლიახვი ხომ შუა ქართლის მნიშვნელოვანი მდინარეა.

დიდი ლიახვი დვალეთის ქედიდან მოედინება, გადმოივლის როკის უღელტეხილს და ლამაზ მთათაშორისში ვერცხლის მძივად ჩაენვება.

პატარა ლიახვი უფრო ქვემოთ, ბერმუხის ქედიდან იღებს სათავეს. ორივე ლიახვი ცხინვალთან ერთდება და შემდეგ დოვლათ-ბარაქიანი ქართლის მიწების მორწყვა და ალერსი არ ბეზრდებათ, ვიდრე გორში, სიყვარულის ემბაზგამოვლილი, დედა მტკვარს არ შეუერთდებიან. ყველა მდინარეს მისი ისტორია ამშვენებს, მისი გავლილი გზა ალამაზებს. ზოგჯერ მდინარე მძიმე ჯვარსაც კი დაატარებს ჩვენსავით. ასეა ლიახვიც. ქართლივით და ქართველი კაცივით ჭირგამოვლილია.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანაწერებში მისი სახელიც გაიღვებს ხოლმე, როგორც სასიამოვნო დასალევად და წყალუხვი სარწყავად. ასეა ოდითგანვე. მოედინება და სიცოცხლის სიხარულით ავსებს ქართულ სამკვიდროს. ლიახვის კალაპოტი ფართოდაა გაშლილი. გამალებული მიიჩქარის მტკვირსაკენ. ყველა მდინარე ხომ უფრო დიდი მდინარისკენ მიემართება. მასაც უნდა თავი დააღწიოს ერთფეროვნებას. შეუერთდეს უფრო ძლიერ ტალღებს. ნახოს მისთვის უცნობი ადგილები, რაც სამყაროს შეცნობაში დაეხმარება. გვიან კი ხვდება ამ ყველაფრის ფასად რასაც ჰკარგავს. პირველ ყოვლისა, თავისუფლებას. მერე ნატრობს იმ დროს, როდესაც არავის ჰგავ-

და, სხვანაირი იყო. დამოუკიდებლად შეეძლო გზის არჩევა. წარსულთა ამაყოფს, ის ასულდგმულებს. ყოფიერებას ულა-მაზებს. ეს იზმრება კიდევ.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობები მისი სოფლებით შუა ქართლის განუმეორებელ მშვენებას წარმოადგენდა, ხოლო თვითონ მდინარე, მუდამ ქომაგი და გულშემატკივარი იყო მისი. ლიახვმა იცის ჩემი ქვეყნის სისხლიანი ისტორიები. ის ჩემი ხალხის მესაიდუმლე და ჭირთმალამოცაა.

ჩემო ერთგულო და განუმეორებელო ნათესავო, მოლხინევ და მეჭირნახულევ, ჩემო ლიახვო! მიყვარხარ წმინდაც, ამღვრეულიც, ცრემლიანიც, აზვირთებულნიც, სწორედ ისეთი, როგორც ხარ! ჩემი ერის რამდენი სატკივარი მოგიშუშებია, ვინ მოთვლის?

ახლა გაცეცხავ გეტყობა, შეშფოთებაც, წყენაც, ტკივილიც. სადღაა შენი აყვავებული ბაღ-ვენახები, სამკალ-სათიბები. რატომ არავის აღარ სჭირდები? სად წავიდნენ აქ მობინადრე ქართველები? მოწყენილი კაცივით დაფიქრებული დინჯად მიუყვები არჩეულ გზას. უცბად, სადღაც დიდფრთებიანი შავი ფრინველები თუ გადაგიფრენენ თავზე, ან შენს ნაპირებს დამფრთხალი ბელურების გუნდი თუ მოაწყდება წყურვილის მოსაკლავად.

დადუმებულა დიდი და პატარა ლიახვის ხეობები. ერთ დროს ულამაზესი სოფლები ნანგრევებად ქცეულა. შამბი მოსდებია გზებს, გულმოსული ქარი ქრის აღმართ-დაღმართზე. წვიმა შოლტავს შეფოთლილ ხეებს. ნასაძირკვლარზე ბალახია ამოსული. ალბათ გიკვირს, რომელმა ურჯულომ გადაიარა უფლის სამკვიდროში?

თმაშევერცხლილი მთები ბრძენი წინაპრებით გადმოს-

ცქერიან ნაქცეულ ქვეყანას და სინანულით თავსლა აქნევენ. ციდან ისმის ზარების რეკვა და ლოცვა შეუჩერებლად. აბა, ამას შენ როგორ გაიგონებ?

მთიდან მთაზე, გორაკიდან გორაკზე, ერთმანეთს თვალს არ ამორებენ ღვთის ხელით დადგმული წმინდა სალოცავები... თითქოს ერთმანეთს მხრებს აშველებენ, ამხნევენ. ჩვენლა ვართ ერთმანეთის პატრონებიო. დაჭრილი, გაპარტახებული მინა გულს შენითლა იბრუნებს.

ლამით უფრო გაუსაძლისი ხდება აქ ყოფნა. ჩაბნელებულ, გაუდაბურებულ არემარეში საზარელი მოთქმისა და გოდების ხმა ისმის. არავინ იცის, საიდან მოდის ეს გულისშემძვრელი ხმა, რომელიც დღესაც ესმით იქ მისულ ადამიანებს. ისინი ვერ უძლებენ ამ სასონარკვეთილ მწუხარებას და შიში იპყრობთ. ცდილობენ იმ ადგილს გაერიდონ. მავთულხლართების იქით, არაერთ ქართველსა თუ ოსს საკუთარი ყურით ნამდვილად მოსმენილი აქვთ ეს ხმები.

თვით რუსმა ჯარისკაცებმაც კი საგუშაგოს გადატანა ითხოვეს სხვა ადგილზე, იმდენად აღარ შეეძლოთ ამ მწუხარების ატანა. გადაიტანეს კიდეც.

იქ, ცხინვალის ტერიტორიაზე, სამაჩაბლოში, დედა სამშობლოს მოთქმის ხმა ისმის, რომელიც გლოვობს და დასტირის დაკარგულ შვილებს, ნანგრევებად ქცეულ სამკვიდროს. ან იქნებ დედა ღვთისას ხმაა გაუნელებელი სანუხარით, ეს სანუხარი სწვდება თითოეულ ჩვენგანის გულს. ეს სანუხარი ესმის სამყაროს.

დიდი ლიანკვი





## ომი და ბავშვები

**ლუკა ხუბულოვი**

**დოდო აბესაძე**

ომმა ბევრი უბედურება მოუტანა ხალხს. ყველას შეეხო მისი ბრჭყალები. განსაკუთრებული ტკივილი კი ბავშვებს მიაყენა. ყველაზე მეტად ისინი დააზარალა, საქართველოს მომავალს ფსიქიკა შეურყია, მძიმე განსაცდელი გამოატარა. მრავალი მათგანი მარჩენალის გარეშე დატოვა, დააობლა, ოცნება და სილალე წაართვა. უდარდელი, მხიარული ბავშვობა მოსტაცა. ზოგი მძიმე შრომაში ნაადრევად ჩააბა.

უამრავ ბავშვს დასჭირდა ომის შემდგომ მკურნალობა. ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების ჩარევა. მათ თვალებში ჩარჩენილმა შიშის ანარეკლმა მათ ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა.

**ლუკა ხუბულოვიც** ერთ-ერთი მათგანია. მისი ბავშვობაც ომის პერიოდს დაემთხვა. იგი შერეული ოჯახის წარმომადგენელია. ლუკა ქალაქ თბილისის 102-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეა. იგი 11 წლისაა და მის პირად საქმეს თუ

გავეცნობით, ბევრი რამ გაგიკვირდებათ. არ ჰყავს მშობლები. მამა – დავით ხუბულოვი, სამაჩაბლოში 2008 წლის ომის დროს დაიღუპა 34 წლის ასაკში. დავითი წარმოშობით ცხინვალისა და იყო. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანი, ახლა საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე განისვენებს. მან სამშობლოსათვის განირა თავი. ლუკას დედა – ნატო ყარყარაშვილი ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ბავშვის მეურვეობა მისმა ბებიამ ქალბატონმა დოდო აბესაძემ ივალდებულა. იგი 73 წლისაა. ძალიან საინტერესო ქალბატონია, რომელმაც ცხოვრების რთული გზა განვლო.

ლუკას ჰყავს 21 წლის ძმა, დაოჯახებული.

ლუკას პირად საქმეში ერთი საინტერესო საბუთიცაა მის სახელზე – „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მონაშობა.“ ესეც გავლილი ომის გამოძახილია, მოზარდისთვის სრულიად უჩვეულო.

ლუკა საკმაოდ გულჩათხრობილი ბიჭია. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. ომმა ოჯახური მყუდროება დაურღვია, მშობლების გარეშე დატოვა, თავისი კვალი დააჩნია.

გავა დრო და ომის ჭრილობა ბოლომდე მოუშუშდება. ლუკაც სხვაგვარად შეხედავს ყოველივეს, ისე როგორც მრავალი მისი თანატოლი. ბევრ რამეს სხვაგვარად განსჯის და გაიზიარებს. აუცილებლად ქვეყნის ერთგული შვილი დადგება.

კვლავ ფეხზე წამოდგება ომგამოვლილი თაობა. გაითავისებენ წლების გამოცდილებას. პატივს მიაგებენ ომში მონაწილე მშობლებს და დაღუპულებს კი სანთელს აუნთებენ და სასაფლაოზე მიაკითხავენ. მოინატრებენ, ეხსომებათ, იმედს არ გაუცრუებენ. მათგან ერთგულებას, თავდადებას, თავგანწირვას და მამულის სიყვარულს ისწავლიან, რაც ქვეყანას სამომავლოდ აუცილებლად წაადგება.

**საზნაზეთო, ჩემო!**



აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართული სამკვიდროა, თუ კარგად გავეცნობით ისტორიულ წყაროებს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე, კავკასიის ქედის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია, ქართველი ხალხით ყოფილა დასახლებული. მათ შორის ისტორიული აფხაზეთიც. იქ მეგრელთა ტომი ცხოვრობდა. „ქართლის ცხოვრების“ ჩანაწერებიც ამაზე მიგვანიშნებს. ნიკო ბერძენიშვილი წერს: „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართველი“...

საქართველოს პირველ მეფეს – ფარნავაზს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და შენებაში დიდად დაეხმარა ეგრისის ერისთავი ქუჯი. მან მიმართა ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“. ქუჯის საერისთავოს უდიდესი ნაწილი ერთიან სახელმწიფოში გაერთიანდა.

V საუკუნეში ბერძნებსა და ქართველებს შორის საზღვარი გადიოდა ეგრისწყალზე. ამას ადასტურებს როგორც ქართული, ისე რომაული წყაროები.

XVI საუკუნიდან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მის პერიფერიულ კუთხეებში ჩრდილო კავკასიელი მთიელები ჩამოსახლდნენ, რომელსაც ისტორიკოსები „მთის ჩამონოლას“ უწოდებდნენ. ასე მოექცა ისტორიული აფხაზეთი ადიღე-ჩერქეზული ტომების – აზაზეზის ანუ აფსუების ხელში. ჩამოსახლებული ტომები გამრავლდნენ, გაძლიერდნენ და განუწყვეტელი ომის შედეგად დაპატრონებაც კი შეძლეს მთელი ოდიშის (თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები) ისინი შეეცადნენ მკვიდრი

მოსახლეობის დამორჩილებას და მოახერხეს კიდევ. განსაკუთრებით ზემოქმედებას ახდენდნენ დაბალ ფენებზე. რაც შეეხება აფხაზეთის მაღალ ფენას – ძველმა ქართველმა თავადაზნაურებმა თავიანთი მაღალი მდგომარეობა შეინარჩუნეს.

აფხაზეთში ჩამოსახლებულ და მომძლავრებულ აბაზა-აფსუებს ქართველებმა ქვეყნის სახელის მიხედვით აფხაზები უწოდეს.

ჩემი ქვეყნის თითოეული მტკაველი ბრძოლით მოპოვებული და შენარჩუნებულია. ყველა მომხდურს გული მაღლიანი, ქართული მინისკენ მოუწევდა. ხშირად ისე მკვიდრდებოდა ჩვენი სიყვარულითა და სტუმარ-მასპინძლობით გარემოსილი, ჩვენს ტერიტორიებს აქეთ გვედავებოდა და ისაკუთრებდა. ასე დაგვემართა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ვერ იხეიმა სიყვარულის წილ სიყვარულმა.

გავიდა წლები და ქართულმა სამკვიდრომ ფართოდ გაუღო სიყვარულს კარები მომთაბარე აბაზა-აფსუების ტომს მკვიდრ აფხაზებთან ერთად. საკუთარ ღირებულებებს აზიარა და ძმობისა და მეგობრობის ძალაც გამთლიანდა. განსაკუთრებით გამორჩეული იყო ეს კუთხე მდებარეობით, სიმიდდრით, კლიმატით, ზღვით, ჰაერით, ხალხით. ბოლოს მაინც ამოქმედდა ფრთხილად ჩადებული ნაღმი რუსი მეზობლისაგან და უდიდესი ტრაგედიის მონმენი გავხდით.

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა იმ განუკითხაობის შესახებ, როცა ქვეყანამ საკუთარი სახე დაკარგა, როცა ურთიერთდაპირისპირება მოხდა არა მარტო მტრებს შორის, არამედ ძმათა შორისაც. როცა ერთმანეთს შეეჯახა მამულის ერთგული შვილების თავგანწირვა და ფულსა და თვალსატყუარს დახარბებული ავკაცების გამდიდრებისათვის აღძრული მადა. როცა

ყოველ ნაბიჯზე გამეფებული იყო დაუნდობლობა, ძარცვა, შეურაცხყოფა, მკვლელობა, მესამე პირის ჩარევა. ქვეყანას პატრონი აღარ გამოუჩნდა და მტერს ჩაბარდა გაგრა, სოხუმი, ოჩამჩირე. გულანთბული ქართველები განწირულნი აღმოჩნდნენ და იზეიმა ბოროტებამ. დაიწყო ეთნიკური წმენდა და მოხდა გაუგონარი გენოციდი. საქართველომ დაკარგა კიდევ ერთი ისტორიული სამკვიდრო. დაკარგა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ხოლო იმდენივე დევნილად იქცა საკუთარ სამშობლოში.

გადის წლები და იმ ტრაგედიის სიმძიმე არ ნელდება. გადის წლები და მოუშუშებელი ჭრილობა კვლავ ღიაა. უმძიმესი გასაჭირი გამოიარეს აფხაზეთიდან დევნილებმა. ვერ დაივიწყებს ქართველი ჭუბერის სიკვდილ-სიცოცხლის გავლილ გზას, ფსოუზე გავლებულ საზღვარს, ყოფნა-არყოფნის წლებს. აფხაზეთის ტკივილი საქართველოს ყველა კუთხეს შეეხო. უამრავმა ახალგაზრდამ მისთვის თავი გასწირა. გაჩნდა საძმო საფლავები. სოფლის სასაფლაოზე კი აფხაზეთში დაღუპული შვილები მოუმრავლდათ დედებს. ცრემლს ვეღარ იმშრალებს დედასაქართველო.

**კობა მაზმიშვილი** ქარელის რაიონის სოფელ დირბიდანაა. იგი განსაკუთრებული ახალგაზრდა იყო. გამბედავი, მეგობრული, ხალისიანი, შეუპოვარი. სოფელში დღემდე არ ავიწყდებათ მისი გამორჩეული თვისებები. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავდა თანასოფლელების მიმართ. მისი ვაჟკაცური ბუნება ყოველთვის შესამჩნევი იყო. პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის დროს. იგი მამაცი ჯა-



რისკაცი დადგა. კობა აფხაზეთის ომის დროს ვაჟკაცურად იბრძოდა და ღირსეულად დაიღუპა. გარდაცვლილთა შორის გვიან შეიცნეს ჯარისკაცის ქამრის ბალთით მისმა ახლობლებმა და მშობლიურ სოფელში ჩამოასვენეს. ასე დაემკვიდრა მამა-პაპათა საფლავებს შორის მისი ნეშტი. ასე დაიფერფლა სამშობლოსათვის ანთებული გული აფხაზეთის მინაზე.



**ნუკრი დოლიაშვილიც** ჩემი სოფლის შვილი იყო. ლალ და მხიარულ ახალგაზრდას დღესაც სიყვარულით იხსენებენ. ოჯახი კი მის მარადიულ მონატრებაშია. ნუკრიც აფხაზეთის ომში დაიღუპა, თანაც უგზო-უკლოდ, მისი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

**როლანდ კალმახელიძე** ღირსეული ახალგაზრდა იყო. უცრემლოდ უჭირთ მის ახლობლებს მასზე საუბარი. წესიერმა, ოჯახურ ტრადიციებზე გაზრდილმა ქაბუკმა ერის სამსხვერპლოზე თავი დადო. როლანდი აფხაზეთიდან გარდაცვლილი ჩამოასვენეს და სოფლის სასაფლაოზე სათანადო პატივით დაკრძალეს. ასე შეენირა აფხაზეთის ომს სოფლის ღირსეული შვილი.


90-იან წლებში დირბელი ჯარისკაცი **ზაზა მაზმიშვილი** სამაჩაბლოში ნალმზე აფეთქდა. უანგაროდ შესწირა მამულს ახალგაზრდობა.

ოთხი ჯარისკაცი, ერის გენეტიკური ფონდი, ოთხი ლამაზი სიცოცხლე ასე დააკლდა ქართლის ერთ-ერთ სოფელს, დააკლდა მთელ საქართველოს. სოფელში მუდამ სევდით, დანანებით და პატივით მოიხსენიებენ მათ სახელებს. მათი ხსოვნა სოფლის ღირსებასაც წარმოადგენს. საქართველოს ნებისმიერი კუთხის ტკივილი ხომ მთელი ერის ტკივილია. სოფლის ტრადიციულ სა-

საფლავს კი ღირსებას მატებს მათი განსასვენებელი.

აფხაზეთის მინაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე შეინირა. შეინირა ფიქრები, ოცნება და მომავალი.

**გიორგი ხარაშვილი** სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოს ტელევიზიაში მუშაობდა ტელეოპერატორად. ეს მისი საყვარელი საქმე იყო. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის პერიოდში შეთავსებით თავდაცვის სამინისტროშიც იყო დაკავებული. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. ჯერ იქ ყოფილიყო, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა და მშვიდობის დამყარების შემდეგ ოპერატორობას მოასწრებდა, მაგრამ არ დასცალდა. იგი მოხალისედ გაჰყვა ომში მიმავალ რაზმს და 1993 წლის 4 ოქტომბერს ქ. ფოთში მალთაყვას ხიდთან შეტაკებისას დაიღუპა. გიორგის მრავალ საბრძოლო მოქმედებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულების დროს. დარჩა მწუხარე ოჯახი და მცირეწლოვანი შვილი გურამ ხარაშვილი, რომელიც დღეს ღირსეულ ქართველთა რიგებს ამშვენებს. გიორგი მრავალთაგან ერთ-ერთი თბილისელი ახალგაზრდაა, რომელიც გულანთებული, თავდადებული, ქვეყნის მთლიანობისათვის ბრძოლას შეეწირა. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.



აფხაზეთის მინა უდიდესი ტკივილის მატარებელია. გავაწლები და უფრო ნათელი გახდება დანაშაულის სიმძიმე, რომელიც სეპარატისტულმა მართულმა ორგანიზაციებმა ნაღმად ჩადეს ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთობაში.

1993 წლის 22 სექტემბერს მთელ საქართველოს ელვის სისწრაფით მოედო ბაბუშერას აეროდრომზე თვითმფრინავის აფეთქების საშინელი ამბავი, თვითმფრინავი სავსე იყო ახალგაზრდებით, რომლებიც სამშობლოს დასაცავად მიეშურებოდნენ. მომხდარმა ტრაგედიამ ერთიანად შეძრა ყველას გული. ძლიერი ქართული გენოფონდი დაილუპა. ვაჟკაცობით, ფიზიკური სიძლიერით, სიმამაცით, შემართებით გამორჩეული ბიჭები.



**ზურაბ გელაშვილი** სწორედ იმ თვითმფრინავში იმყოფებოდა. მან ვარკეთილის სკოლა დაამთავრა. სკოლის წამყვანი კალათბურთელი იყო. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა ადგილზე მუშაობდა. ბოლოს სამხედრო პოლიციაში ოფიცრად მიიღეს. ზურაბი დაჯილდოებული იყო პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. პიროვნულ მოვალეობად მიაჩნდა სამშობლოს დაცვის საქმე, ამიტომ აფხაზეთის დამცველთა შორის უყოყმანოდ ჩადგა. იმ ავბედით დღეს გადანყვეტილება მიღებული ჰქონდა. ძლივს მოახერხა თვითმფრინავში ასვლა, იმდენად გადატვირთული იყო წამსვლელთა მსურველებით.

სოხუმში მისვლამდე თვითმფრინავს გემიდან დაუნყეს სროლა და სულ მალე თვითმფრინავის ორად გაყოფილი კორპუსი ძირს დაეშვა. ნახევარი მაშინვე ჩაიფერფლა, მეორე ნახევარში კი ძალიან მცირე, მაგრამ დასახიჩრებული ხალხი გადარჩა.

პირველ ნახევარში აღმოჩნდა ზურაბი. ყველა დაღუპული აეროპორტში დაკრძალეს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ეტაპობრივად მოახდინეს 40 ვაჟკაცის გადმოსვენება. მათ შორის გადმოსვენეს ზურაბიც.

ზურაბ გელაშვილის ტრაგედიამ სახელოვანი მოჭიდავის, ხუთგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის – ლე-

ვან თედიაშვილის ვაჟის დალუპვა გამახსენა უნებურად.

განუზომელი იყო მამის მწუხარება, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა და განიცადა შვილის თავზე დატრიალებული უბედურება. აფხაზეთის ომმა მისი ვაჟის სიცოცხლაც შეინირა.

მახსოვს მაშინ მთელი საქართველო როგორ უთანაგრძნობდა ღირსეულ მამას ღირსეული შვილის დალუპვის გამო.

ასეთ შვილებს ზრდიან ასეთი მამები. როგორ შეიძლება ამგვარი ღირებულებებით არ ვიამაყოთ? ვის შეუძლია ამგვარი სულიერი სიმდიდრე წაგვართვას, სიმდიდრე, რომელსაც ერის გადარჩენაც კი შეუძლია. წაგებულ ომშიც არ ფერმკრთალდება გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითები.

მწუხარედ დუმს დილომში „ძმათა სასაფლაო“, ყველასგან შეუმჩნევლად მოსთქვამს „ადგილის დედა“ დალუპულ შვილთა გამო. უფალს ავედრებს სამშობლოსთვის თავგანწირულ გმირებს. ერთ-ერთი ზურაბ გელაშვილიცაა.

ჩემო საამაყო გმირებო! რა იქნებოდა თქვენი შემდგომი წლები შრომასა და გარჯაში რომ გაგრძელებულიყო. ომის საშინელება რომ არა, თქვენგან წამოსული თაობები, ვინ იცის რა წარმატებებს მიაღწევდნენ ერის საკეთილდღეოდ. ახლა კი მამულის სამსხვერპლოზე ანთებული მარადიული სანთლები ხართ, რომლებიც სინმინდითა და სინათლით გვავესებთ. თქვენი საფლავები ერის სიამაყეა, ქვეყნის ერთგულების ფიცია უსიტყვოდ თქმული!

უმძიმესი იყო აფხაზეთის ომში დალუპული ქართველების ბედი, მაგრამ არანაკლებ მტკივნეული იყო დევნილი მოსახლეობის მდგომარეობა. დევნილთა ყველაზე დიდი ტალღა თბილისს მოაწყდა. მოდიოდნენ და იქით რჩებოდა ყველაფერი, რისთვისაც იცხოვრეს და იშრომეს. იქით რჩებოდა სახლკარი, მიწა-წყალი, ფიქრი, ოცნება, მომავალი, სიხარული და

სიყვარული. ეს იყო გაუსაძლისი დღეები მათ ცხოვრებაში.

დევნილების ერთი ნაწილი ვარკეთილის დასახლებაშიც შემოიყვანეს და სპორტულ კომპლექსში განათავსეს. ამჯერად სულ 84 ოჯახია ჩასახლებული. ისინი იხსენებენ წარსულს, ვერ ივინყებენ იმ საუკეთესო დამოკიდებულებას, რაც აფხაზ და ქართველ ხალხს შორის სუფევდა. ოდითგანვე არაჩვეულებრივ პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ სეპარატიზმის ამოქმედებამ ყველაფერი გააცამტვერა, შური და მტრობა დათესა, რომელიც სიძულვილად გადაიქცა, რამაც იძულებული გახადა ქართველები თავის გადასარჩენად მათივე ხელით ნაშენები მიეტოვებინათ და სიკვდილს გამოქცეოდნენ.

რაც შეეხება პირველ თვეებს, უჭირდათ დევნილობის სტატუსთან შეგუება, მაგრამ საკუთარ თავს შეებრძოდნენ, სწორედ აქ გამოჩნდა მათი სულიერი სიძლიერე. შრომისა და ოჯახის დიდმა სიყვარულმა ძალა გაუათქვეცა თითოეულ მათგანს. მიხვდნენ, რომ საკუთარი თავი იყო მათი გადამრჩენი. თავი არ დაზოგეს. პატიოსანი შრომით მიზანს მიაღწიეს. არ თაკილობდნენ ნებისმიერ სამსახურს. შვილებს სწავლა-განათლება მისცეს. კარგი ურთიერთობით საზოგადოებასთან კვლავ საინტერესო გახადეს ცხოვრება. ყველაზე დიდ მნიშვნელობას ადამიანურ ღირებულებებს ანიჭებდნენ. ზოგიერთი მათგანი უკვე გადავიდა ამ დასახლებიდან და საკუთარი ქერი გაიჩინა, ზოგიერთი კვლავ აქ აგრძელებს ცხოვრებას. არ შეიძლება არ მოიხიბლოთ მათთან ურთიერთობებით: გამორჩეული, ღირსეული, ასაკოვანი ქალბატონების საუბრით, მასპინძლობით, პატივისცემის გამოხატვით, სასიამოვნო ღიმილითა და მისალმებით, შეხვედრებით, მონატრებით. მათ ოჯახებში გაზრდილი გოგო-ბიჭებიც გამოირჩნენ სკოლაში ზრდილობით, თავდაჭერით, სწავლისადმი დიდი ინტერესით. მათ, ყველას ხომ გამორჩეული ბიოგრაფია აქვთ. ესენი არიან: კვარაცხე-

ლიები, ნაროუშვილები, შანავეები, ესათიები, ფიფიები, გოგობერიშვილები, ლურწკაიები, სხულუხიები, ქვარცხავეები, ხუხუები, ორჟონიები, ბენდელიანები, ნაჭყებიები, ჯოხაძეები, სიჭინავეები, ჯობავეები, ლაშხიები, ნარმანიები, ჯლარკავეები, გეთიები, რიგინები, ჩილინგარაშვილები და სხვები.

რაც შეეხება აფხაზეთში დაბრუნების სურვილს, ისინი ისევ ისე ოცნებობენ, როგორც 20 წლის წინათ, როცა დევნილები გახდნენ: „ოღონდ მოხდებოდეს დევნილთა დაბრუნება მშობლიურ ადგილებში და ჩვენ პირველები წავალთ“ – ასე ამბობენ. ისინი ისწრაფვიან სულიერებისაკენ. ეამაყებათ, რომ საქართველოს დიდი ნათლიის ილია II-ის ნათლულები მოუმრავლდათ ოჯახებში. ოცნებობენ იმაზე, რომ დაბრუნდნენ აფხაზეთში და ეკლესიების აგება შეძლონ.

ვუსმენ და ამაყი ვარ ჩემი ერის შვილებით, გულისტკენაც არ მტოვებს მათი წარსულის გახსენების გამო. ვინ იცის მერამდენედ უხდება ჩემს უხუცეს და ბრძენ ერს გოლგოთის გზაზე გავლა, ვინ იცის მერამდენედ მოგვძახის და შველას გვთხოვს დედა მიწა აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, ტაოკლარჯეთიდან, საინგილოდან. როდემდე უნდა გვენატრებოდეს წინაპრების საყვარელი მთა-ბარი, ულამაზესი ზღვა და ზეცა, ბუმბერაზი მთები, მქუსარე მდინარეები და ჩანჩქერები, საფიცარი საფლავეები.

*ღმერთო, ნათელი დააყენე საფლავეებს ამდენს,  
ჩვენ მაგივრად რომ განურჩევლად ინყალებს ცვარი,  
შენ გამინათლე უბრალოდან ერისკაცამდე,  
ან გარდასული წინაპრები, დასაფიცარი.*

*ღმერთო, მიცხონე სინმინდის და მადლის მთესველი  
თავდადებულნი, წმინდანების ძმათა კრებულნი,  
მოჰმადლე სამწყსოს დაკეტილი კარის შემხსნელი,  
ღირსებით სავსე, გონიერი, დაფიქრებული.*

## შინდისის გმირები



გმირები. ვინ არიან ისინი? როდის ან სად ხდებიან ადამიანები გმირებად? იქნებ წინასწარ ფიქრობენ გმირობაზე? იქნებ არც ფიქრობენ? მე კი მგონია, გმირებად ადამიანები მაშინ ხდებიან, როცა მძაფრს სიტუაციაში აღმოჩნდებიან და როცა არც ფიქრობენ გმირობაზე.

იღვა 2008 წლის აგვისტო. ომი წვავდა და ანადგურებდა შიდა ქართლის ულამაზეს სოფლებს. გამკითხავი არავინ იყო. ზოგი გარბოდა, ზოგს მოესწრო გაქცევა, ზოგიერთს კი სა-

კუთარი პასუხისმგებლობითა და დიდი სიამაყის გრძნობით მტკაველი მინა არ მიუტოვებია და მზად იყო თავგანწირვისათვის. ზოგმა თავიც განირა.

ისინი სენაკის ბატალიონის თავდადებული მებრძოლები იყვნენ, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირები. ბატალიონში 25 კაცი იყო დარჩენილი და ბრძოლით უკან იხევდნენ შინდისზე გავლით. რუსული არტილერია ფეხდაფეხ მოჰყვებოდათ. მეომრებმა, სანამ ტყვია-წამალი ჰქონდათ, თავდაუზოგავად იბრძოლეს. უთანასწორო ბრძოლაში ერთმანეთს ამხნევებდნენ, ზურგს უმაგრებდნენ. ნათელმრონობის მაღლით სიცოცხლე არ ენანებოდათ, არ ეშინოდათ. მათ დიდი შემართება, გამბედაობა, ქართული სულის უკვდავება გამოავლინეს, მაგრამ ყველა ჩაცხრილეს, ვერავინ დაეხმარათ!

დალამდა. ყველაფერი სიბნელემ მოიცვა. დიდხანს ისმოდა შეუპოვარ მებრძოლთა გმინვა. მალე ჩვიდმეტი მამაცი მებრძოლის სული ზეციურ სამყაროს შეუერთდა. ხუთი მძიმედ დაჭრილი კი სოფლის მკვიდრმა – ახმედმა გადაარჩინა. ეძება, იპოვა და სიკვდილისგან იხსნა.

ახმედი – კაცი უბრალო, თავგანწირული, ღვთიური, ქვეყნის შვილი, კაცთმოყვარე, უშიშარი, მრავალისგან გამორჩეული, ახლაც დალუპულთა ხსოვნის გულშემატკივარი. იმ ვაჟკაცებთან ერთად ახმედიც გმირია.

2014 წლის აგვისტოს ცხელი დღეა. მდუმარედ გავყურებ სოფელ შინდისში ნაომარ ტერიტორიას. თაკარა მზისგან გადამწვარ მთა-ველს ცხელი ალმური ასდის. ჩემ თვალწინ კვლავ ცოცხლდება შემზარავი სურათები. გმინავს საზღვარგავლებული ქართული მინა. თვალებდათხრილი ადამიანებიც კი მდუმარედ დგანან ნაბრძოლი სახლები. რკინიგზა შეუ-

ჩნევლად მიმალულა ხეთა ჩრდილქვეშ. ფეხს რომ ვაბიჯებ, ვგრძნობ რომ უკვე წმინდა მინაა, წმინდა ადგილია. მოკრძალება მეუფლება. იქვე ეკლესია შენდება. ეკლესიის წინ კი დალუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად მემორიალური დაფები გაკეთებული სურათებითა და გვარ-სახელებით. თითქოს მიწიდან ამოზრდილა და გაცოცხლებულა მათი სახეები. აი ისინიც: ვეფხვია ჯიშკარიანი, თეიმურაზ ბერიძე, ნიკოლოზ ფორჩხიძე, მიხეილ – „მიშკა“ დვალისძე, ემზარ ნილოსანი, შმაგი – „ბაჩო“ კუპატაძე, ლევან მელიქიანი, რომან ზოიძე, ილო გაბუნია, ზვიად კაცაძე, ალექო ონიანი, მარლენ ბარამია, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ილია შეყლაშვილი, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე. როგორი ლამაზებია, როგორი ახალგაზრდები, როგორი ენერჯია მოდის მათი გაბრწყინებული თვალებიდან, როგორი დასანანია, როგორი დანაკლისია.

ვუყურებ მათ სახეებს და მახსენდება კიდეც ერთი სასახელო ჯარისკაცი, გაუტეხელი სულისა და ნებისყოფის მქონე პიროვნება, 23 წლის გიორგი ანწუხელიძე — სიმბოლო გამირობისა, ვაჟკაცობისა და თავგანწირვისა, რომელიც სამხედრო ტყვეობის დროს მტერმა სასტიკად, შეუბრალებლად აწამა სამშობლოს ერთგულებისა და სიყვარულისათვის, მაგრამ ვერ გატეხა.

საძმო სასაფლაოზე განისვენებს მამაცი ჭაბუკი, რომლის სახელმაც ქუხილივით გადაუარა მთელ საქართველოს და ყველას გული შეძრა, რომელიც დარჩა შთამომავლობას და ნათლის სვეტად დაემკვიდრა ზეციურ საქართველოში დიდ და სასახელო წინაპართა გვერდით.

გიორგი ანწუხელიძე ვაზიანის მეოთხე ბრიგადის 41-ე ბატალიონის კაპრალი იყო. სიკვდილის შემდეგ იგი დააჯილდევს ეროვნული გამირის საპატიო ორდენით.

გიორგი ანწუხელიძესთან ერთად ძმათა სასაფლაოზე კიდევ 32 ჯარისკაცი განისვენებს, რომლებმაც გმირულად შესწირეს თავი სამშობლოს 2008 წლის ომში.

დაეცნენ, მაგრამ არ დანებდნენ, აი თურმე, როგორ ხდებიან გმირები. როგორ ეწირებიან სამშობლოს.



*გიორგი ანწუხელიძე*

უკან ვბრუნდები და მათეული ტკივილი მომდევს. ასე წამომყვა დაკარგული ტაო-კლარჯეთის ნახვის შემდეგ მონატრება და დიდი ტკივილი ისტორილი სამშობლოდან, რომელსაც დღესაც გულით დავატარებ.

მერე ფიქრს ისევ შორს მივყავარ და მახსენდება კრწანისის ძირძველ მიწაზე სამასი თავდადებული არაგველის თავგანწირვა წაგებულ ომში. მამაცი და შეუპოვარი ერეკლე მეფის მეტრძოლთა გვერდით დგომა. ცხრა ძმა ხერხეულიძის ვაჟ-კაცობაც მაგალითს გვაძლევს. ცხრავე მზად იყო სიცოცხლის დასათმობად, თუ სამშობლოს დაჭირდებოდა. დაჭირდა კიდევ. ასეთია სამშობლოს სიყვარულის ყოვლისმომცველი ძალა. როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იუნკერთა გმირობა, მათი გამძლეობა და სიმამაცე კოჯორ-ტაბახმელის მისადგომებთან. მათ მიერ დაღვრილი წმინდა სისხლი ახლაც გზამკვლევია მომავალი საქართველოსათვის. წაგებულ ომშიც არ იკარგება მამულიშვილობა და თავდადება. რა ძნელია და რა აუცილებელი ზოგჯერ სამშობლოს სიყვარულით ცხოვრება.

ქართლის ერთ-ერთ სოფელში, მწუხარების სუფრაზე იმ ჩვიდმეტი გმირის შესანდობარი ითქვა შინდისში რომ დაილუპნენ და ყველა მონინებით ფეხზე წამოუდგა.

ხალხი გონიერია და ბრძნულად სჯის ყოველივეს. არ ივიწყებს იმას, რის დავიწყებაც არ შეიძლება. „წყალი ნაწყლევს არ დაჰკარგავს“ – გვეუბნება ხალხური ანდაზა. ასეც არის. ფიცივით ჩამესმის ძმათა სასაფლაოზე მათი სახელები, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეენირა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მათი სახელები ხომ უამრავია. არ შეიძლება იმის დავიწყება, რაც დღევანდელია და უკვე წარსულს შეერთებია. მათმა თავგანწირვამ უნდა შთაგვაგონოს, რომ ძალა ერთობაშია. მათმა საფლავებმა უნდა გაგვაერთიანოს ერი და ბერი. მჯერა, ასეც იქნება.

ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე!



*გმირები არ კვდებათ*

## ლეკვი ლომისა სწორია...

ქართველები მებრძოლი ერის შვილები ვართ. ქართველი ქალების სიმამაცე ოდითგანვე ცნობილია. მოულოდნელად შემოსული მტერი არავის ინდობდა, არც ქალს და არც მამაკაცს, ამიტომ საჭირო შემთხვევაში ქალსაც უნდა შეძლებოდა თავის დაცვა. ეს იმდენად აუცილებელი იყო, რომ ქალის გამბედაობა, ვაჟკაცური თვისებები, პირიქით, მოწონებასაც კი იმსახურებდა.

ქართველი ქალის ძირითადი მოვალეობა ხომ ქართველი ვაჟკაცის გაზრდა იყო, რომელსაც მამულისთვის სიკვდილი არ დაეზარებოდა.

*„მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია,  
მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაჰზარებია“.*

მე მჯერა ასეთი დედების. სამშობლოს პირველივე დაძახილზე დედა ქვეყნის დასაცავად ისტუმრებდა შვილს, მის გადარჩენაზე ლოცულობდა და უფალს იმას ევედრებოდა, თუ სიკვდილი ეწერა მის შვილს, ტყვია ზურგში არ მოჰხვედროდა, რომ მოლაღატის მძიმე ტვირთი მის ოჯახს და მის საგვარეულოს სამუდამოდ არ ეტარებინა. ქალის სიმამაცისა და თავგანწირულობის გამოხატულებაცაა ამგვარი გააზრება.

ჩვენი ისტორიული ქართველები სავსეა ქალთა საგმირო საქმეებით. არა მარტო კარგ ვაჟკაცებს უზრდიდნენ ერს ქალები, არამედ თვითონაც მონაწილეობდნენ ბრძოლებში.

უამრავმა დამპყრობმა გადაიარა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. უამრავი რბევა და სისხლისღვრა ახსოვს უძველეს

სამკვიდროს, თუ არა ქალების გაბედულობა, ვაჟკაცობა, მე-  
ულღეების და შვილების გვერდით მტკიცედ დგომა, დღემდე  
როგორ მოვალწევდით.

ქალს მეუღლეს იმიტომ ჰქვია, რომ ჭირსა და ლხინში მამა-  
კაცთან ერთად ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს, ერისშვილო-  
ბის დიდ ტვირთს, რომლის გათავისება გონიერებას, ერთგუ-  
ლებასა და სიყვარულს მოითხოვს ოჯახის ყველა წევრისაგან  
და ოჯახი ხომ ქალის გარეშე წარმოუდგენელია. ასეთი ოჯა-  
ხური ერთგულებიდან იწყება სამშობლოსათვის ბურჯად და  
სიმაგრედ დგომა.



*მარცხნიდან მარჯვნივ: ლალი ინასარიძე, მაია აფციაური, ირინა ჯორჯენაძე,  
მანანა ჭუჭუიანი, ირინა ჭანტური*

ქალებს მრავალ ომში მიუღიათ მონაწილეობა და თავიც უსახელებიათ. ომი მედიცინის მუშაკთა გარეშე ხომ წარმოუდგენელია. ნებისმიერ ომში დაჭრილებს შველა და დახმარება ესაჭიროებათ. მინდა 2008 წლის ომზე შევჩერდე. ომზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობდა. ომზე, სადაც ძალთა არათანაბარი დაპირისპირება მაშინვე გამოიკვეთა. ომზე, რომელიც ძალიან მალე ქაოსურად წარიმართა, უმეტაწილად დარჩა. სამშობლოსათვის გულანთებული ვაჟკაცები, უწვერულვაშო ყმანვილი ბიჭებიც კი თავს უყოყმანოდ სწირავდნენ. საკუთარი ნებით სამშობლოს დასაცავად ომში წამოსული მოსახლეობა თავს არ ზოგავდა, რომ მამული დაეცვა. დამარცხება კი გარდაუვალი აღმოჩნდა. თუმცა ყველას დასანახად, კიდევ ერთხელ იელვა მებრძოლმა სულმა ქართულ გენში „ვოჟა ჯურხაის ფარივით“ გამარჯვების სურვილით მოჰრიალემ. უამრავი ვაჟკაცის სისხლი დაიღვარა. „არის ბოროტება, რომელი ვიხილე ცისქვეშეთში, მძიმეა იგი კაცთათვის“ – ვკითხულობთ „ეკლესიასტეში“ და თვალწინ 2008 წლის ომის საშინელება წარმომიდგება.

ომში დიდი როლი შეასრულეს მედიკოსმა ქალებმა, რომლებიც თავდაუზოგავად იღწვოდნენ მებრძოლთა გადასარჩენად. მათ ენით უთქმელი ტანჯვა-ნამება გამოიარეს – ერთი მხრივ, ბრძოლის ველზე დატრიალებული ტრაგედიის ხილვით და უშუალო მონაწილეობით, მეორე მხრივ, შინ დარჩენილი ოჯახების წინაშე პასუხისმგებლობით.

მე ვიცნობ ერთ-ერთ მათგანს, მის ოჯახს, მის შვილს – სალომეს, რომელიც გულის თრთოლვით ხვდებოდა ყოველი დღის გათენებას დედის მოლოდინში. მისი განცდები გადამდეგი იყო ყველასთვის. მინდა გაგაცნოთ ეს ქალბატონი – **ირინა ჯორბენაძე.**

„ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ვიტყვოდი: მე ვარ ირინა ჯორბენაძე, ომის ვეტერანი. ქალი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში პირველ ხაზზე აღმოჩნდა ავტომატით ხელში. 7 წელი გავიდა ომის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ის საშინელი დღეები არ მავინწყდება. ჩემს ქვეცნობიერში ღრმად დაილექა და დიდი კვალი დატოვა. ერთია, შორიდან ადევნებდე თვალს და მეორეა მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდე, ეს უკანასკნელი მხვდა წილად“. იწყებს თხრობას ქალბატონი ირინა.

2006 წლიდან საგურამოში ჩამოყალიბდა სახმელეთო-საველე ჰოსპიტალი, რომელსაც უნდა უზრუნველყო საველე პირობებში დაშავებული ჯარისკაცების დახმარება. ათი წლის განმავლობაში ირინა მსგავს სტრუქტურებში მუშაობდა, ამიტომ მისი დიდი გამოცდილების წყალობით შემოთავაზება მიიღო აღნიშნული ჰოსპიტალისაგან, სადაც ორი წლის განმავლობაში გადიოდა წრთვნას, ტრენინგებს, დადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ბაზებზე. სწავლობდა სროლას.

2008 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ირინას საველე ჰოსპიტალმა მიიღო ბრძანება, რომ მივლინებით წასვლა ევალებოდათ კოპიტნარში. ყველა გაემზადა, დაემშვიდობნენ ოჯახებს და ეგონათ ჩვეულებრივ საწვრთნელ ბაზაზე მიჰყავდათ, თუმცა, როცა სამხედრო მანქანებმა გეზი არა დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთისაკენ აიღეს, გაცეცხულები კითხულობდნენ თუ რა ხდებოდა. რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ გაურკვეველ ადგილზე მიიყვანეს, გააშლევინეს კარვები და სთხოვეს ზედმეტი კითხვებისაგან თავი შეეკავებინათ.

დაინყო ომი. პანიკაში ჩავარდნილი მედიკები გაანანოეს. ირინამ და რამოდენიმე მისმა თანამშრომელმა განსაკუთრებული დავალება მიიღეს. ავტომატები დაურიგეს და აუხსნეს, რომ ბრძოლის ველიდან დაჭრილები უნდა გამოეყვანათ. ადგილზევე უნდა აღმოეჩინათ დახმარება. ისინი ჯავშანჭილეტებით, საბრძოლო ქუდებით და ავტომატებით შერბოდნენ დაბომბილ, განადგურებულ, ადამიანთა სასაკლავოდ ქცეულ ადგილებში. „პირველ ხაზზე შეგვიშვეს რამდენიმე სერჟანტი-მედიკი: აფციაური მაია, ჯორბენაძე ირინა, ინასარიძე ლალი, კენკებაშვილი მანანა, იაკობიძე მადონა (ანესთეზიოლოგი, რომელიც გასულ წელს გარდაიცვალა), ჩხაიძე სოფო. გვყავდა სამხედრო ექიმი გოგუაძე ედგარი და სამოქალაქო ექიმი პეტრიაშვილი ვახო, მძლოლი ჭუჭყიანი ზვიადი და მთელი სამედიცინო პერსონალის მეთაური ოთარ ჯეჯეია“, – იხსენებს ირინა.

მედიკები თავისი თვალთ ხედავდნენ, თუ როგორ იხოცებოდნენ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები. ირგვლივ კვნესისა და ტკივილისაგან განანამები ხმები ისმოდა.

დისლოკაციის ადგილს ყოველ ნახევარ საათში ერთხელ იცვლიდნენ. მათი დატოვებული ტერიტორია კი ფეთქდებოდა. რამდენიმე წუთითაც რომ დაგვიანებოდათ ადგილების ცვლა, ყუმბარების მსხვერპლი გახდებოდნენ. სადაზვერვო ნაწილი საუკეთესოდ მუშაობდა. მებრძოლების დახმარებასთან ერთად მედიკოსები ხან გარბოდნენ, ხან ყანებში იმალებოდნენ უწყლოდ, საკვების გარეშე, ტყვიების ზუზუნში. სროლისა და აფეთქების ხმები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამით ხვდებოდნენ, რომ ცხინვალს უახლოვდებოდნენ, სახლში დაბრუნების ილუზიაც კი არავის ჰქონდა. შეშლილი სახეებით უყურებდნენ ერთმანეთს და უკვირდათ, ჯერ

კიდევ ცოცხლები რომ იყვნენ. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები გამოყავდათ ბრძოლის ველიდან. ცრემლის ზღვა იდგა. ტიროდნენ უდანაშაულო მსხვერპლის გამო. პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდნენ, ამხნევებდნენ. დაჭრილები ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნებას ითხოვდნენ, იხვეწებოდნენ, მეგობრების მიტოვება არ სურდათ, მათ სჯეროდათ გამარჯვების. მათი შემხედვარე, მედიცინის მუშაკებსაც სჯეროდათ გამარჯვების, ქართველი მეომრების იმედიან განწყობას რომ ხედავდნენ. სისხლში ამოსვრილები, დაჭრილები აქეთ ამშვიდებდნენ მედიკოსებს – ნუ ღელავთ, გამარჯვება სულ ახლოსააო.

ზოგიერთ ადგილზე ცოცხალსაც კი ვერავის პოულობდნენ, მაგრამ მაინც შერბოდნენ და გარდაცვლილთა სხეულის ნაწილები გამოჰქონდათ. უფროსობა ამის გაკეთებას არ თხოვდა, მაგრამ მაინც გამოჰქონდათ, რადგან შემდგომში მათ ამოსაცნობად ეს საჭირო იყო. ქალბატონი ირინა ახლაც გაოცებულია ასეთი ქმედებით და იხსენებს, რომ იმ წუთებში იმ ვაჟკაცების დედებზე ფიქრობდა, რომლებსაც შვილის ცხედრის ნახვაც კი სანატრელი ექნებოდათ.

ირინა იხსენებს ერთ საზარელ შემთხვევას შინდისის ბრძოლებიდან, სადაც ტერიტორია დანალმული დახვდათ და უეცრად განწირული ხმა გაიგონა, ამავე დროს ვილაცამ ხელი ჰკრა და შორს გადააგდო. ეს იყო ის ჯარისკაცი, რომელიც ნალმზე აფეთქდა და ირინა გადაარჩინა. ჯარისკაცმა ფეხი დაკარგა. „ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელი წუთები იყო, – იხსენებს ირინა, – ატყდა სროლა, თანამშრომლები გაიქცნენ. უფროსობა მიყვიროდა: ჯორბენაძე, დროზე მანქანაშიო. მაგრამ არ შემეძლო დამეტოვებინა სამხედრო, რომელმაც სიკვდილს

გადამარჩინა, თავად კი დახეიბრდა. უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და ვცდილობდი მის გამოყვანას. ეს ბიჭი მეხვეწებოდა, დამტოვებდა ქალბატონო, მე მაინც არაფერი მეშველებო, მაგრამ მისი გამოყვანა მაინც შევძელი“.

ირინა მტკივნეულად განიცდიდა ბრძოლის ველიდან ოჯახთან საუბარს, თუმცა იმედიანად ესაუბრებოდა და მალე შინ დაბრუნებას ჰპირდებოდა, რომ ომს იგებდნენ და არაფერი უჭირდათ. შემდეგ მუღს ესაუბრა და 11 წლის გოგონა ჩააბარა, თუ რამე დაემართებოდა ბრძოლის ველზე, მას უნდა გაეზარდა. და ბოლოს, ყველაზე შთამბეჭდავი მისი მონათხრობიდან სალომესთან საუბარი აღმოჩნდა. „შემდეგ ყურმილი ჩემმა სალომემ გამომართვა, საკმარისი იყო იმის თქმა, „დეე, როგორ ხარ“ და ცრემლები წამსკდა. უცებ გავიფიქრე, რომ ვერასოდეს გავიგებდი მის ნაზ და მზრუნველ ხმას, ვერასოდეს ჩავებუტებოდი, ვერ მოვეფერებოდი, ველარ ვეტყოდი, რომ ყველაზე ლამაზი და საყვარელია. ვერ ვნახავდი მისი სკოლის დამთავრებას, მის სტუდენტობას, ქორწილს, მის შვილებს. წარმოვიდგინე 11 წლის ასაკში დაობლებული ჩემი გოგონა, ატირებული ჩემს საფლავზე... მეგონა იმ წამებში გული გამისკდებოდა. უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და ვუთხარი: დე, სიგიჟემდე მიყვარხარ, მალე მოვალ, არ ინერვიულო და გავუთიშე. მერე იყო ცრემლის ზღვა“.

უფლის წყალობით მაინც ყველაფერი კარგად დამთავრდა. სალომემ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ახლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია.

ირინა დიდი სიყვარულით იხსენებს ჰოსპიტალის დამფუძნებლის ბატონ ლაშა ქოიავას ღვანლს ომის პერიოდში და ამ-

ბობს, რომ არა ის, ალბათ ახლა არცერთი ჩვენგანი ცოცხალი არ ვიქნებოდით, რომლებმაც 2008 წლის ომის საშინელება ვიხილეთ. „ბატონი ქოიავა იყო გონიერი, ჭკვიანი. ხშირად არ ემორჩილებოდა არასწორ ბრძანებებს. მას უბრძანეს ჩვენი შეყვანა ბრძოლის ველზე, სადაც 1%-იც კი არ იყო გადარჩენის იმედი, რადგან ყველა განადგურებული იყო.

ჯერ იქ მყოფი მამაო გადაგვიდგა და შეგვეხვეწა არ შევსულიყავით, რადგან გარდაუვალი სიკვდილი გველოდა. იქ უკვე აღარავინ არის ცოცხალიო, – გვეუბნებოდა იგი. არც ის დამავინწყდება, როგორი განწირული ხმით ყვიროდა რაციაში ბატონი ლაშა ქოიავა, – ჩვენ ომი წავაგეთ, ნუ ჩამახოცინებთ მედიკოსებს. იქ მთელი ჰოსპიტალი დამელუპებაო. ბოლოს მაინც ჩვენმა უფროსმა სიკვდილისთვის არ გაგვწირა, ბრძანებას არ დაემორჩილა და გადავრჩით.

ირინა სახლში სისხლიანი ტანსაცმლით დაბრუნდა. ჯერ დაჭრილი ეგონათ. ყველას სთხოვა ზედმეტი კითხვებისგან თავი შეეკავებინათ. ომმა დიდი დალი დაასვა. ველარ მშვიდდებოდა. მთელი ღამე ყვიროდა, გონებიდან ის შემზარავი სურათები ვერ ამოიგდო. ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა.



*ირინა კორბენაჟი და სათუნა ჯიბლასვილი*

მის ხუთ თანამშრომელს კანტუზია დაემართა და სერიოზული სამედიცინო ჩარევაც აუცილებელი გახდა.

„მე ვნახე ომი, სისხლისღვრა, ტკივილი, წამება, სიკვდილი, განწირული ადამიანების გოდება, ვაჟკაცობა, ქვეყნის სიყვარული. დღემდე ვიღებ მადლობებს იმ დაჭრილი ბიჭების მშობლებისაგან, ვისაც დავეხმარე, იმ ვაჟკაცებისაგან, რომლებიც გადავარჩინე. სამშობლოსათვის განეული ღვანლისთვის თავდაცვის მინისტრმა გადმომცა ვახტანგ გორგასლის სახელობის მედალი“. ირინას მრავალი წამახალისებელი ჯილდო აქვს მოპოვებული განეული საქმიანობისთვის.

იგი კვლავ ემსახურება არჩეულ საქმეს. კვლავ შრომის ფერხულშია, სამხედრო რეჟიმშია. მისი მხედრული საქმიანობა ყოველთვის დასაფასებელია. მისი ცხოვრების მაგალითი სხვა მედიკების მაგალითად გამოდგება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2008 წლის ომში, რომლებიც დღესაც ღირსეულად ემსახურებიან ეროვნულ საქმს. იგრძნეს და გაიგეს ომის საშინელება, მოყვასის სიყვარული და დახმარება, ქვეყნისათვის ზრუნვა და თავდადება. მათი ღვანლია დღეს რომ მრავალი ქართველი ვაჟკაცი გადაურჩა ომის საშინელებას და აგრძელებს სიცოცხლეს, ქმნის ოჯახს და ერს ამრავლებს:

*თვალის გახელად არ ღირს სიცოცხლე  
თუ ცხოვრებასთან არ გაქვს ჭიდილი,  
ერთი შემოკვრით თუ დაიჩოქებ,  
დარჩები ასე მუხლდაჩოქილი.  
თუ არ იწვი და თუ არ ინთები,  
თუ არ სწყურია შენს სულს მიგნება,  
უმიზნოს მოგკლავს თვითონ სიცოცხლე  
და სუნთქვასავით გაგიფრინდება!*

## ჟურნალისტიკის არჩევანი და ღირსება

ჟურნალისტიკა საოცარი პროფესიაა. ეს იმას ნიშნავს, შენი ქვეყნის, შენი ხალხის გულისცემას ყოველ ნუთს უსმინო. ადამიანს არ გაუცრუო იმედები, ემსახურო ყველაზე ღირსეულს ამქვეყნად – სიმართლეს. თვალი გაუსწორო შენ მიერ გავლილ გზას. უშურველად დაეხმარო შეჭირვებაში მყოფს. იყო შეუდრეკელი, მამაცი, შემტევი, პირველი, პროფესიონალი, ცხოვრობდე ღვთის სიყვარულში, ლოგიკა გიჭრიდეს, ფლობდე ინფორმაციას და მოქმედებდე. დარწმუნებული იყო საკუთარი არჩევნის სისწორეში და ღირსეულად ემსახურებოდე.

ყველა ეს თვისება უხვად აქვს მომადლებული ია თინიკაშვილს, რომელიც ამჟამად ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტია.

ვაანალიზებ მის მიერ მომზადებულ გადაცემებს ტელეეკრანიდან, ვისმენ მის საუბრებს, რეპორტაჟებს და გაოცებული ვარ მისი პასუხისმგებლობით, ერთგულებით და თავგანწირვით. ის მუდამ ხალხის გვერდით ტრიალებს. დღესაც მისი სამოღვაწეო ადგილი კონფლიქტური ტერიტორიაა. თავდაუზოგავად იხარჯება ჟურნალისტური საქმიანობისთვის. მოუცლელობის გამო, მასთან შეხვედრა იოლი არ არის. ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. მოულოდნელი შეხვედრები, გამოძახებები და ია მაშინვე იქ ჩნდება, ამიტომაც სარგებლობს ხალხის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით.

ია, მართლაც, უსმენს სამშობლოს გულის ფეთქვას, ითავისებს მშობელი ხალხის ტკივილს. მისი გამორჩენა ტელევიზორის ეკრანიდან კმაყოფილებისა და სიყვარულის განცდას იწვევს უცხო ხალხშიც კი. მახსოვს, წეროვანში ყოფნის დროს,



დევნილებთან შეხვედრისას, იას გამოჩენამ ტელევიზორში როგორი სიტუაცია შემოიტანა იქ მყოფ ქალბატონებს შორის. შეხედეს და თქვეს, – ეს ჩვენი იაა, ჩვენი ქირ-ვარამის გამზიარებელიო. უფრო უკეთესი რა უნდა ეთქვა ამ ხალხს ჟურნალისტის დასახასიათებლად. გამეხარდა და გამიკვირდა კიდეც, ასეთი უშუალო სიყვარულის მოპოვება ადვილად არ ხდება, ხალხი ხომ ყველაზე შეუმცდარი შემფასებელია, ყველაზე კარგად მან იცის შავისა და თეთრის გარჩევა ერთმანეთისაგან.

ჩემი პირველი საუბარი მასთან ტელეფონით შედგა. საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. იშვიათად შემხვედრია ასეთი პატრიოტული იდეებით აღსავსე პიროვნება, ინიციატორი, საქმიანი, მცოდნე, შემართებული, ბოლომდე რომ იხარჯება და იწვის მიზნის მისაღწევად. იგი უაღრესად განათლებული, დახვეწილი, მრავალმხრივი ინფორმაციის მქონე ჟურნალისტი.

გაიარა 2008 წლის ომმა, თითქოს სიმშვიდეა, მაგრამ ქართლის მიწაზე ღია ჭრილობა მოუშუშებელია, როგორც აფხაზეთის მიწაზე. ვიდრე ეს ასეა, როგორ მოისვენებს ქვეყნის გულშემატკივარი, როგორ მიეცემა მშვიდ ძილსა და მოსვენებას. მით უფრო – ქვეყნის საფიქრალთ გულანთებული ჟურნალისტი. იას ცხოვრების გარკვეული წლები ომის თანხვედრია. ყველაფერი კი 2004-2005 წლებში დაიწყო, როცა შეიარაღებული დაპირისპირებისას, ფაქტობრივად, წინა ხაზზე იმყოფებოდა. ჯავშანჟილეტი, ჯერ კიდეც როდის, ზურაბ ჟვანიას უჩუქებია, თუმცა, მხოლოდ ერთხელ გამოიყენა, რადგან მისი ჯგუფის წევრები – ოპერატორი და მძლოლი – დაუცველები, ჯავშანჟილეტის გარეშე მუშაობდნენ ცხელ წერტილში და არათანაბარ პირობებში ხომ არ იმუშავებდა. ია იმასაც იხსენებს, რამდენჯერ მოხვდა მისი გადამღები ჯგუ-

ფის ავტომანქანა ინტენსიურ სროლებში, გადარჩა და უფრო გაძლიერდა. მისთვის მიუღწეველი თითქმის არაფერი არ არსებობს. იყო შემთხვევა, ე.წ. საზღვრის იქითაც აღმოჩენილა, თავი არ დაუზოგავს საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. მოვიხიბლე მისი ახალგაზრდული თხრობისა და მოქმედების მანერით.

იას ახსოვს ის დიდი საბრძოლო დარტყმები დიდი ლიახვის ხეობაზე რომ განახორციელა რუსულმა არტილერიამ. გასახსენებლადაც კი ჭირს ის მძიმე დღეები, ეს იყო საქართველოს ყოფიერებაში უდიდესი ტრაგედია. მას გულს უკლავს ნანგრევებად ქცეული, უქართველებოდ დარჩენილი ქართლის სოფლები. ისიც იცის, წამქეზებლის ძალისხმევით როგორ დაუპირისპირდნენ ქართველები და ოსები ერთმანეთს. დღემდე არ წყვეტს საზღვართან ურთიერთობას. ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე შესთავაზეს სხვა სამსახური, საკმაოდ მაცდუნებელი წინადადებები იყო, თუმცა მიკროფონს, შეჩვეულ რეჟიმს და ცხელ წერტილებში მომუშავე რეპორტიორობის ადრენალინს ვერ შეელია, გაუჭირდა ამ ყველაფერთან გამომშვიდობება და უარი თქვა. კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფლებში თითქმის ყველა მოსახლეს იცნობს, იმაზეც ნუხს, რომ ომამდე, ფრონესა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არაერთ ტაძარში აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, ადგილობრივი ეთნიკური ოსები სახლებსაც აკურთხებინებდნენ სასულიერო პირებს და შვილებსაც ანათვლინებდნენ, ახლა კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ტაძარში შეჩერებულია მღვდელმსახურება. როგორც ერის შვილს და მისი ტრადიციების დამცველს, იას დიდ დანაკლისად მიაჩნია

სოფელ თამარაშენში, მუზეუმის განადგურება, ასევე, მაჩაბლებისეული უნიკალური მარნის მიწასთან გასწორება, იმ მარნის, სადაც სხვა სტუმართა შორის ხშირად ილია და აკაკიც იყრიდნენ თავს.

როგორც ჟურნალისტს და ქვეყნის საზღვრების თვალმადევარს, იას საკუთარი ხედვები გააჩნია ყველა მოვლენაზე. მან კარგად იცის, რამ გამოიწვია ომი, ისიც იცის, რატომ დამარცხდა საქართველო ამ ომში.

ზოგიერთმა პასუხისმგებელმა პირმა ისიც კი არ იცოდა ომის დროს სად მდებარეობდა დაპყრობილი ტერიტორიები, სადამდე იყო მტერი მოსული.

უსიყვარულობამ, უპასუხისმგებლობამ, უცოდინარობამ, უუნარობამ, ზერელობამ, მხოლოდ საკუთარი ამბიციების დამაყოფილებამ, ხალხის აბუჩად ასაგდებად ადრევე დათესილმა ქმედებებმა, ქვეყანა 2008 წლის ომამდე მიიყვანა. დღეს აღარ



არის საომარი მოქმედებები, მაგრამ ია კვლავ პოსტკონფლიქტურ ზონაში ტრიალებს. დევნილ მოსახლეობას უყვარს ეს მოუხელთებელი, მათი ჭირისა და ლხინის მონაწილე ჟურნალისტი, რომლისგანაც დიდ მხარდაჭერას გრძნობენ. დევნილების გარდა, იასაც ენატრება დაკარგული ტერიტორიები, ინტენსიური სროლების გამო, ბევრჯერ ჩარჩენილა დიდი ლიახვის ხეობაში და არაერთ ოჯახში გაუთევია ღამე.

აღდგომის აღნიშვნა ერედვის სიახლოვეს

კვლავ იმ მავთულხლართებთან ტრიალებს, ჩვენს გულეზე რომ გაავლო გადამთიელმა. იმ მიტოვებულ ქართლის ტერიტორიებს მისტირის, სამაჩაბლოდ რომ მოიაზრება და დასათმობად არ გვემეტება. რას არ აკეთებს დევნილთა გასახარებლად, დასახმარებლად, როგორმე ტკივილი რომ შეუმსუბუქოს.

შარშან, აღდგომას, სოფელ ერედვის სიახლოვეს, ახლა რომ ლითონის ნაგებობებითაა გამიჯნული სოფლის მინდვრები, რამდენიმე დევნილი მიიყვანა და საზღვრის იქით ნითელი კვერცხები გადააგორებინა.

იას სჯერა ამინდის დათბობის ოსებსა და ქართველებს შორის. ეძებს დაინახოს გზები შერიგებისკენ, დაკარგულის დაბრუნებისკენ. იგი ხალხის მომავლით დაინტერესებული ღირსეული ქართველია, მისი განვლილი გზა სწორედ იმ ეკლიან მავთულხლართს ჰგავს, ახლა რომ საზღვრადაა ქცეული ქართულ მიწაზე, არ ცდილობს იოლი გზით სიარულს. მისთვის მთავარია, არაფერი გამოეპაროს დაკარგული სამშობლოს სადარაჯოზე.

ეს ყოველივე ძალიან ძნელია, მაგრამ მისი არჩევანია. უამრავ მასალას ფლობს ამ საინტერესო ცხოვრებაზე, შეფიცულია ჟურნალისტურ პროფესიასთან და ფიქრობს, მემუარებს დაწერს შემდგომ.

ვეცნობი იას ცხოვრებას და მახსენდება ნიცშეს სიტყვები: „ვარ მოაჯირი ხევსა ზედა, მომეჭიდენით, ვისაც მოჭიდება ძალუძს, ხოლო არა ვარ ყავარჯენი თქვენი“, – აქ ყველაზე მეტად ჩანს ღირსების თაყვანისცემა, რაც მომადლებული აქვს ხალხის უსაყვარლეს ჟურნალისტს – ია თინიკაშვილს. უმრავლეს ერს ასეთი გულშემატკივრები.

## დაკარგული თავისუფლება და დაკარგული სამშობლო

*სამყურას ფრთაზე ცრემლი ციმციმებს,  
ნუხს ნაციხარის ბჭენიც,  
გულს უკლავს ქართველს მინის სიმცირე,  
დავპატარავდით ჩვენით.*

ამაღლებიდან ამაღლებამდე დიდი დრო გადიოდა, ამიტომ ამაღლებას დაცემაც მოსდევდა. ჰოდა, გვართმევდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ მინას ხან ძალით, ხან ნებით, ხანაც მოტყუებით.

გვართმევდნენ თავისუფლებას, სამშობლოს, რადგან თავისუფლებისმოყვარენი ვიყავით, ამიტომ ამირანის გამბედაობით ვინყებდით დაცემულნი კვლავ ამაღლებისთვის ბრძოლას, რომელსაც საკუთარი სურვილით ვენიერებოდით კიდეც.

XIX საუკუნის კარიბჭესთან ჩემი სამშობლო სახელმწიფოებრიობადაკარგული მივიდა. ეს კი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დამსახურება იყო. გეორგიევსკის ტრაქტატი მოჩვენებითი ხელშეკრულება გამოდგა. ძალიან მალე გამოვლინდა რუსეთის დამპყრობლური ზრახვები.

1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-ის მიერ მიღებული მანიფესტმა ყველაფერი ცხადი გახადა. ქართლ-კახეთი რუსეთმა შეიერთა.

დიდხანს ცდილობდა ბაგრატიოვანთა საგვარეულო საქართველოსთვის როგორმე დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა. გიორგი XII-ის მცდელობაც, ამ მხრივ, მარცხით დამთავრ-

და. თითქმის ყველა ბაგრატიონი ცარიზმის რუსეთში გადასახლეს. რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს გიორგი XII-ის მეუღლეს – დედოფალ მარიამსაც, რომელმაც ბრძანება არ შეასრულა და პროტესტის ნიშნად 1803 წელს საქართველოს მმართველად დანიშნული ციციანოვის მიერ გაგზავნილი რუსი გენერალი ლაზარევი, ოთახში რომ შეუვარდა, ხანჯლით განგმირა. საკუთარი თავის დაცვა თვითონ მოუხდა. ასე აღმოჩნდა მთელი ერი დაუცველი. ამრიგად, საუკუნეების ქართვეხილში გამობრძმედილი და მამაცი ქართველი ერის დამოუკიდებლობა ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას შეენირა. ტყვეობის დალი მალე დაეტყო ჩემს სამშობლოს.

ძნელია ქართველ პატრიოტთა მაშინდელი მდგომარეობის ახსნა. ეს იყო გზა მოთმინების, გადარჩენის, ტყვეობის, ჯვარცმის და ბოლოს, კვლავ საბრძოლო ნაპერწკლის გაღვივების.

რუსი მოხელეების თვითნებობამ ქართველთა მიმართ, 1832 წელს შეთქმულებად იფეთქა და საქართველოს ერთგული შვილები თავისუფლების სანაცვლოდ საპყრობილეებში აღმოჩნდნენ. ქართველთა გულებში არ ცხრებოდა ლტოლვა თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ და XIX საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე „თერგდალეულები“ გამოვიდნენ. ამით დაიწყო ახალი ტალღა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა. ილიამ თავის გარშემო შემოიკრიბა მაშინდელი ინტელიგენციის, სამშობლოს ბედ-იღბალზე და მის მომავალზე დაფიქრებული და მზრუნველი თაობა, რომლებმაც თავისუფლებისაკენ სავალი გზის ძებნა დაიწყეს.

ილიას პიროვნება თვით ერმა შვა, რომელსაც დიდხანს ელოდა, როგორც მწყურვალი წყალს, როგორც დამზრალი

მინა მზის სხივებს, როგორც უმთვარო ღამე გათენებას. მან სიყრმიდანვე სამშობლოს დაუკავშირა თავისი ბედი და მასვე ანაცვალა. ილიამ დროშასავით წაიმძღვარა უწმინდესი ცნებები: ენა, მამული, სარწმუნოება და ქართველობას თვალი აუხილა, ეროვნულობისაკენ შემოაბრუნა. ამის ნათელი მაგალითია მისი ცხოვრება და შემოქმედება. ქართული სამყარო სავსე იყო ილიას მოძღვრებით, მისი პიროვნებით, ავტორიტეტით, იგი საქართველოს ეროვნული სულის განსახიერება იყო. ასი თვალი და ასი ყური ჰქონდა, რათა უპასუხოდ არ დაეტოვებინა მოწინააღმდეგეთა შემოტევები. პირდაპირი და უდრეკი იყო, სალი კდესავით მტკიცე და დამაჯერებელი. ილია ვარო! – დღემდე ისმის წინამურიდან უმოწყალოდ გამეტებული მამულიშვილის ბოლო ამოძახილი, რომელიც შემდგომ საუკუნეებსაც გადასწვდება ჩვენდა სამარცხვინოდ. მისი მკვლევლობით საქართველოს გულში ლახვარი ჩასცეს და მოღალატე ქართველებმა მძიმე, ეკლიანი და ცოდვის გზა აირჩიეს.

წლების მანძილზე საბჭოთა კავშირში შემავალი ერების მსგავსად ჩემმა ერმაც მძიმედ იწვნია თავის თავზე უამრავი შეზღუდვები. ეროვნული ღირებულებების უარყოფა, პიროვნული ღირსების შელახვა, 1937 წლის რეპრესიები. ათეისტური პროპაგანდა ბობოქრობდა. ეკლესიებში წირვა-ლოცვა იკრძალებოდა. დიდ საეკლესიო მოღვაწეებს თავიდან იშორებდნენ. თუმცა ამან ვერ ჩააქრო ქართველ ხალხში ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წყურვილი. პირიქით, მეტად ააღორძინა.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მისი პოლიტიკური ფორმა იყო დემოკრატიული რესპუბლიკა. კვლავ სისხლში ჩაახშეს თავი-

სუფლებისმოყვარე ერის აღებული გეზი რუსმა ოკუპანტებ-  
მა. 1921 წლის 25 თებერვალი ტრაგიკული დასასრული იყო  
მცირე ხნით ახდენილი ოცნების. საქართველოს მენშევიკური  
მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა და რუსეთის მე-11 არმი-  
ამ საქართველოს რესპუბლიკის სრული ოკუპაცია მოახდინა.  
უამრავი პატრიოტი შეენირა მაშინ სამშობლოს დამოუკიდებ-  
ლობისთვის ბრძოლას, რომელიც დიდხანს საიდუმლოს წარ-  
მოადგენდა:

*„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,  
თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით,  
შემოდოდა სიკვდილი ცელით“.*

ასე გამოხატა იმ დღეების მოურჩენელი ტკივილი პოეტმა  
კოლაუ ნადირაძემ.

დაუმორჩილებელთა ჯგუფები კარგა ხანს განაგრძობდ-  
ნენ წინააღმდეგობის განევას. მათ გამორჩეული ხელმძღვა-  
ნელებიც ყავდათ. ერთ-ერთი ასეთი პატრიოტი იყო ქაქუცა  
ჩოლოყაშვილი. ხალხის უსაყვარლესი გმირი.

1956 წლის 9 მარტს დიდი საპროტესტო აქციები დაიწყო  
თბილისში. ეროვნული სიამაყის გრძნობამ, შელახულმა თავ-  
მოყვარეობამ, თავისუფლების დიდმა წყურვილმა, სტალინის  
პიროვნებასთან დაკავშირებით, მთელი საქართველო მოიც-  
ვა. ქალაქი უმართავი გახდა. უდანაშაულო, უიარაღო დემონ-  
სტრანტებს საბჭოთა მთავრობა ტყვეებით გაუმასპინძლდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კვლავ  
მძლავრად იჩინა თავი 1978 წლის აპრილში, როცა საქმე ქარ-  
თული ენის პრიორიტეტს შეეხო. მშობლიური ენის დასაცა-  
ვად ერთსულოვნად აღდგა ჩემი სამშობლო. „მჯდომარე აქ-  
ციიდან“ მთავრობის სასახლისაკენ გადაინაცვლა ახალგაზ-

რდობამ, რომელსაც სათავეში ედგნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. მაშინ რუსეთმა დათმო.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისთანავე კრემლის მიერ ხელოვნურად დაიწყო სეპარატიზმის გაღვივება.

1989 წლის 18 მარტს 30000 აფხაზი შეიკრიბა სოფელ ლიხნში. აქ იყვნენ აფხაზეთის ასსრ-ს აფხაზი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. მიიღეს ე. წ. „ლიხნის მიმართვა“, სადაც საუბარი იყო ქართველი ხალხისაგან აფხაზეთა ძალმომრეობაზე, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. აქვე ნათქვამი იყო, რომ აფხაზები ითხოვდნენ საკავშირო მთავრობისაგან დახმარებას, რათა შესულიყვნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

25 მარტს, საპასუხოდ თბილისში ჩატარდა დიდი მიტინგი, სეპარატისტების უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად. განსაკუთრებით აქტიური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პიკი იყო 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც ერი გაამთლიანა. ამის შემდეგ იწყება ბრძოლა რუსეთის იმპერიიდან გამოსვლისათვის.

9 აპრილის შემდეგ მეტად გააქტიურდნენ სეპარატისტები. აფხაზეთში „აიდგილარას“ და სამხრეთ ოსეთში „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაციების სახელწოდებით.

1990 წლის არჩევნებში გაიმარჯვა თავისუფალმა ნებამ და საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია, რომლის დროსაც მივალნიეთ დამოუკიდებლობას. კვლავ დადგა ჟამი ამაღლების, საუკუნეების მანძილზე დაკარგული თავისუფლების ზეიმის, მაგრამ უარესის წინაშე აღმოვჩნდით.

რუსეთის თვითმპყრობელური იმპერია თავის განზრახვას ყოველთვის წარმატებით ანხორციელებდა. ამას მოჰყვა საქართველოში შიდა დაპირისპირებაც: სამოქალაქო ომი, კრიზისული სიტუაციები, გაუსაძლისი პირობები. აფხაზეთში სეპარატისტულმა ძალებმა კვლავ დაძაბეს მდგომარეობა და ომი გარდაუვალი გახდა. განხორციელდა ქართველი მოსახლეობის გენოციდი. 30 000 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და 30 000-მა იძულებით დატოვა ისტორიული საცხოვრისი. ასევე მოხდა ძალთა დაპირისპირება სამაჩაბლოში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. გადიოდა წლები და ეროვნული ძალების ძალისხმევით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შეიმჩნეოდა შექმნილი მდგომარეობის მონესრიგებისაკენ მცდელობა, თუმცა დროდადრო დაპირისპირებული, ინსპირირებული ძალების მიერ კვლავ ფეთქებადი ხდებოდა სიტუაციები, რამაც 2008 წლის ომამდე მიგვიყვანა.

ომმა საშინელი ზარალი მიაყენა შიდა ქართლის მოსახლეობას. გაანადგურა და მიწის პირისაგან აღგავა ათეულობით სოფელი, დაანგრია ქალაქი ცხინვალი და ქალაქი გორი. გააპარტახა სახნავ-სათესი, დევნილებად აქცია საკუთარ მიწა-წყალზე ათასობით მოსახლე. ამავე დროს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, რომელიც დღემდე გრძელდება.

ასეთ დღეშია დღეს ჩემი სამშობლო, ჩემი ქვეყანა, უპირველესი საფიცარი. მე მას ვგრძნობ ჰაერიდან, ფერებიდან, პეიზაჟიდან. ვგრძნობ და ვხედავ ბავშვობიდან, ჩემი ეზოდან, მობიბინე მინდვრებიდან, ულამაზესი ყვავილების აფერადებული მიწის კალთიდან, სოფლის გზებიდან, მდინარეებიდან და ნაკადულებიდან, ტაძრებიდან, სასაფლაოს უძველესი წარ-

წერებიანი ქვებიდან, საყვარელი ადამიანებიდან. ვგრძნობ და ვსწავლობ მის სიყვარულს ნაბიჯ-ნაბიჯ: ბალახის მოფერებისას, ფოთლებზე წვიმის დაცემისას, ვაზის ტირილისას, ცისარტყელის მშვენებისას და ასე თანდათან საგულე ივსება მისი უსაზღვრო სიყვარულით. მტკივა დაკარგული ტაოკლარჯეთი, საინგილო, აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ნუთუ არ შეგვიძლია სიმართლის გზა გავკვალოთ და საკუთარ თავზე ავმალდეთ, თორემ ჩვენს თვალწინ სამშობლო გვეკარგება, მტერი გვეძალება, გარეშე მტერს შინაური ემატება, რომელიც უფრო საშიშია. სამშობლოს გარეშე კი რა არის ჩვენი არსებობა? ხიდან მონყვეტილი ფოთოლია ქარისგან მართული. ასეთ ფიქრებში ხშირად დამთენებია.

ირგვლივ სიმშვიდეა. ფრონის ხეობაში სინათლედ ჩამდგარა თეთრად გადაფოთილი ხეხილის ყვავილი. გარემოს ავარდისფრებს ატმის ხეები. უნებურად სევდა მეძალება. აქვე ახლოს მავთულხლართებია გავლებული ოკუპანტებისაგან, ქართული მიწებია წართმეული, დევნილი მოსახლეობა თავშეფარებული. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და-



ფრონის ხეობა

ღუპული გმირებია საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში საძმო საფლავებად მიმოხვეული. ცხოვრება გრძელდება, რომელსაც ხშირად ღირსეული ადამიანები გვილამაზებენ. თუმცა დღეს კაპიტალისტური გარემოცვა სხვაგვარ კონკურენციას გვთავაზობს, ღირებულებების გადაფასებაც სხვაგვარად ხდება. ის, რაც მისაღები და აუცილებელია, ჩრდილში ექცევა, მაგრამ დიდი და კეთილშობილი პიროვნებები ჩუმად, რუდუნებით და უბრალოებით არჩეულ საქმეს ემსახურებიან, ისინი არ ითხოვენ ქებას და დაფნას, სანთელივით დნებიან. ისინი არ იშურებენ ქველმოქმედებას, მხარში უდგანან გაჭირვებულებს. ზრდიან ღირსეულ თაობებს, წერენ წიგნებს, უვლიან მინას, აშენებენ ეკლესიებს, ერისა და მამულის წინაშე ვალმოხდილნი არიან.

„ჩვენს გარშემო და ჩვენს სულში მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს... მიმაჩნია, რომ ყველაზე გაჭირვებული სწორედ ისაა, ვინც ურწმუნოა, გზასაცდენილი და სხვასაც აცდენს“.

ეს შეგონება ეკუთვნის ჩვენს უსაყვარლეს პატრიარქს, უნ-მინდესსა და უნეტარესს ილია II-ს. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილია, რომელიც საკუთარი ცხოვრებისეული მაგალითით ერს გზას უჩვენებს. საოცარია მისი სათნოება, მიმტევებლობა, ლოცვის მადლი. იგი გვაძლევს მისაღებ და არაჩვეულებრივ იდეებს, რაც ქვეყანას ესაჭიროება წინსვლისთვის. იგი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული დიდი ქართველია. მის მიერ აღვლენილი წირვა-ლოცვა მრევლში რწმენის განმამტკიცებელია. განსაკუთრებულია მისი ღვანლი „სამებისა“ და მახათას მთაზე ეკლესიების მშენებლობის საქმეში. საეკლესიო ცხოვრების დამმკვიდრებელი და ამლორძინებელია.

ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი საეკლესიო მამა ჰყავს.

კვლავ ვფიქრობ სამშობლოზე. საზღვარგავლებულ, დატყვევებულ მინა-წყალზე. მახსენდება „უძლები ძის იგავი“. მამის უარმყოფელი შვილი როგორ გაივლის უდიდესი ტანჯვის გზას და როგორ ბრუნდება შინ შეწყალებისა და მონანიებისათვის.

„... და აღდგა და მოვიდა იგი მამისა თვისსა. და ვიდრე შორსლა იყო იხილა იგი მამან მისმან შეწყალა და მირბოდა იგი და დავარდა ქედსა მისსა და ამბორს უყოფდა მას“.

ნარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვეებს, როგორი სიხარულით მორბის მის შესახვედრად მამა-უფალი.

ძე დიდ სინანულშია ჩავარდნილი და შეწყალებას სთხოვს მამას: – „მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა“. მამა კი მიმართავს მონებს: გამოიღეთ სამოსელი პირველი, შეჰმოსეთ და შეაცვით ბეჭედი ხელსა მისს და ხამლი ფერხთა მისთა. გაუმასპინძლდა უხვად. დაუკლა ზვარაკი“.

დაკარგულის დაბრუნებამ, სინანულმა, მიმტევებლობამ და უფლის სიყვარულმა შეარიგა ისინი. მე ველოდები ასეთი დღის გათენებას საქართველოში.

*აიკრიფება ცვარ-ნამი,  
ჩიტიც ბუდეს აქ იკეთებს,  
პატარა მდოგვის მარცვალი  
ისევ რომ იქცეს სიკეთედ.  
გადმოიფრენენ კვლავ ერთად  
წერონი ისევ გუნდებად,  
უძლები შვილი მშობელთან  
შენდობისათვის ბრუნდება.*

## იმედით ძლეული უიმედოება

გავყურებ ცას დამზით ივსება სივრცე. მზე კი იმედით მავსებს და რწმენას მიათქვამს. რა იქნებოდა ეს სამყარო იმედის გარეშე? ის ხომ კაცთა მარადიული გზამკვლევა უკიდევანო სივრცეში. ჩვენ – ადამანები კი დიდ გემებს ვგავართ. ცხოვრების ტალღებს შეჭიდულებს. ხშირად გვემსხვრევა ღელვაში მხრები, მაგრამ იმედს მივყავართ აღთქმულ ნაპირამდე. ის ჩნდება შემწედ, სწორედ იქ გვხვდება, სადაც გვჭირდება. ხან გვირილის თეთრი ფრთებივით ამოანათებს მშობელ მიწიდან, ხან კი მზის სხივებს ჩამოსდევს ციდან. თავს არ გვანებებს. ფიქრსა და ოცნებას გვაყვარებს, ცხოვრებას გვასწავლის და გვილამაზებს.

მე მინახავს როგორ ასხივებს მომლოდინე თვალებს იმედი, როგორ აკეთილშობილებს გამომეტყველებას მისი ნათელი, როგორ აქცევს სინამდვილედ ნანატრ ოცნებას. იმედი ჩვენი ფესვებიცაა და საფრენი ფრთებიც. რა იქნებოდა მის გარეშე ჩვენი ცხოვრება?

იმედი ასულდგმულებს საზღვრის იქით დარჩენილ საქართველოს, იმედი აძლევს ძალას გზისპირებზე ერთნაირ სახლებში ლოდინით დაღლილ დევნილ ქართველებს. იმედი მაღამოდ ეფინება ჭერჩაშლილ სახლებს, სამკალს და სათიბს. იმედია ჩვენს გულებში ჩარჩენილი, სანთლად რომ გვინთია ამ მინა-წყლის შვილებს. ჩვენი იმედი ჩვენი გადარჩენაა.

ასეთი იმედიანი განწყობილებით მინდა ერთ საინტერესო ქალბატონზე მოგითხროთ, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს და რომელიც წარმოშობით შიდა ქართლიდანაა – სამაჩაბლოდან.

მზია ხეთაგური – საინტერესო პოეტი და მრავალმხრივი შემოქმედი. მისი ოჯახი ქართველი და ოსი ხალხის საუკეთესო ურთიერთობების სიმბოლოს წარმოადგენს.

მამას ვლადიმერ ხეთაგურს, სუხიშვილების წამყვან სოლისტს, საქართველოშიც და მის გარეთაც ხშირად უსახელებია თავი ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული ცეკვებით – ცეკვა ქართულითა და ოსური „სიმდით“ ილიკოსთან ერთად.

დედა – ქრისტინე თედიაშვილი ოლქის პედაგოგად მუშაობდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“. ახლაც ახსოვთ მისი თავდადებული ღვაწლი მედიცინის სფეროში, ხოლო ბებიის – დარეჯან მაჩაბლის ღვთიური მადლით გასხივოსნებული პიროვნული თვისებები, დღესაც ამშვენებს ქალბატონ მზიას. ეს ოჯახი საკუთარ ხიბლს მატებდა იმდროინდელი ცხინვალის კულტურულ საზოგადოებას.



*მზია ხეთაგური*

ჯერ კიდევ პატარა, უღმაზესი გოგონა ნიჭიერთა მუსიკალური ათწლეულის (ფორტეპიანოს განხრით) მოსწავლე ხდება, რომელსაც წარმატებით ამთავრებს და შემდეგ იწყება მრავალფეროვანი ცხოვრება. პოეტი ქალი ღირსეულად ემსახურება არჩეულ გზას. მისი შემოქმედებითი სფერო მრავალმხრივი ხდება, რომელიც ეხება მუსიკას, თეატრს, არაჩვეულებრივ წერილებს წერს ხელოვნებაზე, ცხოვრებისეულ საკითხებზე, ღირსეულ ადამიანებზე. მისი ნაწარმოებები იდგმებოდა თეატრებში და არა მარტო საქართველოში. საბავშვო პიესამ „ხეტილა“ თოჯინების თეატრების ორ საერთაშორისო ფესტივალზე პირველი პრიზი აიღო. მისი წიგნები თარგმნილია მრავალ ენაზე.

ქართულ-ოსური კონფლიქტების მოსაგვარებლად იგი აქტიურად იყო ჩაბმული როგორც შემოქმედებით სფეროში, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში და გულისტკივილიც ბერჯერ გამოსცადა.

მზია ხეთაგური დაულალავად ცდილობდა საქართველოს სახელის ღირსეულად გატანას ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ: რუსეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთში, უნგრეთში, ჩეხეთში, ფინეთში და შუა აზიაში. ეს ხდებოდა XX საუკუნის ბოლო ოცწლეულში და XXI საუკუნის დასაწყისში.

მას მიაჩნია, რომ საქართველო კავკასიის ხერხემალია და კავკასიური ერის წარმომადგენელთა ერთიანობამ და სიყვარულმა უნდა განამტკიცოს მისი სიძლიერე. ამით თითოეული ერის სიძლიერეც განმტკიცდება.

მე გავეცანი მზია ხეთაგურის შესახებ სახელოვან მოღვაწეთა, მწერალთა და პოეტთა შეფასებებს არა მარტო ქართველების და არა მარტო ქართულ პრესაში და გაოცებუ-

ლი დავრჩი. მასზე წერენ, როგორც პოეტზე, მთარგმნელზე, დრამატურგზე, პუბლიცისტზე და როგორც მუსიკოსზე. ეს ყოველივე კი უდაოდ მის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ქალბატონ მზიასთან საუბარი საინტერესოა. იგი ყოველთვის სიმართლის მხარეზეა, რაც მეტ სიმტკიცეს სძენს მის პიროვნებას.

შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი მზია სამაჩაბლოს მემატრიანია. უზომოდ უყვარს ეს კუთხე და ეთაყვანება იმ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი ღვანლითა და დამსახურებით სახელი გაუთქვეს. სურს მათ შესახებ მეტი იცოდეს ხალხმა, თუ როგორ ემსახურებოდნენ ქვეყნის ძლიერებისა და აღორძინების საქმეს შესანიშნავი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი, სახალხო არტისტი ივანე დარბუაშვილი, პოეტი და მუსიკოსი შოთა დარბუაშვილი, მეცნიერი ქრისტეფორე არეშიძე, დამსახურებული პედაგოგი ვახტანგ კასრაძე და სხვები.

ქალბატონი მზია სიყვარულით საუბრობს თითოეულ მათგანზე. განსაკუთრებით გამოყოფს პირველი საშუალო სკოლის დირექტორს ვახტანგ კასრაძეს, რომელიც ენერგიას არ ზოგავდა ცხინვალის ახალგაზრდობის აღზრდისათვის, ყველას სწვდებოდა მისი შორსმჭვრეტელი თვალი. სიყვარულსა და ცოდნას უნერგავდა მათ. როგორ შეიძლება იმ სკოლის ზარის დავინყება – იხსენებს ქალბატონი მზია, რომლის ხმაზეც უამრავი ბავშვი გავიზარდეთ. ის ხომ გაუქმებული ეკლესიიდან წამოღებული, მაღლით სავსე ზარი იყო, სიყვარულით რომ მოიტანა სკოლაში დიდმა პედაგოგმა ვახტანგ კასრაძემ და ლოცვასავით რომ ესმოდათ მოსწავლეებს მისი ხმა მრავალი წლის მანძილზე.

ქალბატონი მზია არც მარტო ქართველებს ეკუთვნის და არც

მარტო ოს ხალხს, არამედ ორივე ერის შვილია. იგი სიმბოლოა ამ ორ ერს შორის საუკეთესო ურთიერთობების – ძმობისა და მეგობრობის, სიყვარულის, სწორი მიმართულების, სამშობლოს ერთგულების. იგი ეკუთვნის იმ მამაც ქალთა კოჰორტას, რომლებიც სოხუმის დაცემის წინა დღეებში აფხაზეთში ჩავიდნენ და ძმათა შორის შუღლის ჩახშობას ცდილობდნენ ქეთი დოლიძის, გურანდა გაბუნიას და ზინა კვერენჩხილაძის თაოსნობით, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. საქართველოს 1500 ღვანღმოსილი ქალი სპეციალური მატარებლით ომის წინა ხაზზე გავიდა. მათ შორის იყო ქალბატონი მზიაც. მაგალითად, ქარელის რაიონიდან 11 ქალი იღებდა მონაწილეობას. ასევე იყო სხვა რაიონებიდან. ეს აქცია თავგანწირვის იშვიათი მაგალითია უახლოეს ისტორიაში.

ქალბატონი მზია მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ორი შვილის დედა, ოთხი შვილიშვილის ბებია და ერთი შვილთაშვილის დიდი ბებია. იგი მტკიცე საყრდენია ყველასათვის. ცხოვრებას მუდამ იმედით უყურებს.

წლების მანძილზე უამრავი ჯილდო და დამსახურება აქვს მიღებული მას, როგორც თეატრმცოდნეს, დაცული აქვს საკანდიდატო ხარისხი მოსკოვში. დაჯილდოვებულია არაერთი ლიტერატურული პრემიითა და ღირსების ორდენით. საქართველოს კათალიკოს – პატრიარქმა ილია II-მ ქალბატონ მზიას გადასცა წმინდა სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი, რომელიც განსაკუთრებით ეამაყება ყველა სხვა ჯილდოზე მეტად.

მადლობა ქალბატონ მზიას ასეთი ღირსეული ცხოვრებისათვის.

უმრავლოს ერს ასეთი მამულიშვილები.

იმედი ამშვენებს და აკეთილშობილებს ადამიანს.

იმედი ქმნის მომავალს და იმედით იძლევა უიმედობაც.

თუ არა იმედმა, მაშ რამ მოიყვანა ცხინვალის თეატრალური დასი დღემდე? თუ არა იმედი, მაშ რა შთააგონებს დევნილ თეატრს კვლავ შეინარჩუნოს მაღალზნეობა, გააგრძელოს მისაბაძი ტრადიციები და რაც მთავარია, უძველესი და უმშვენიერესი ქართული ენით სათქმელი მაცურებლამდე მიიტანოს.

საუკუნოვანი თეატრის ისტორია, მისი ფესვები დიდი ივანე მაჩაბლის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც XIX საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, უაღრესად განათლებული ქართველი და რაც მთავარია, ქვეყნის გულშემატკივარი იყო.

1875 წელს ივანე მაჩაბელმა ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად ადგილობრივ სცენისმოყვარეთაგან დასი შექმნა



*ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი*

და სულ მალე გორსა და ცხინვალში წარმოდგენები გამართა, სადაც გამოჩნდნენ შემდგომში დამსახურებული მსახიობები – ზაალ მაჩაბელი და ნატო გაბუნია. თვით ივანე მაჩაბელმაც გიორგი ერისთავის „გაყრაში“ ივანეს როლი შეასრულა.

ამის შემდეგ თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა კერძო ბინებში და სხვადასხვა ადგილებში. ასე ჩაეყარა საფუძველი ცხინვალში ქართული თეატრალური დასის ჩამოყალიბებას.

გადიოდა დრო. ბევჯერ დამდგარა წლები გულგატეხილობის, უიმედობის, მაგრამ იმედი მაინც იმარჯვებდა. დაღმართს აღმართი ცვლიდა, დაცემას – ამალღება.

ქალაქს თავისი ნიჭითა და დამსახურებით საყვარელი მსახიობები ჰყავდა, რომლებიც მაყურებელთა პატივისცემასა და აღტაცებას იმსახურებდნენ. ესენი იყვნენ: ირაკლი შერაზადიშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი, რაისა პლიევა, გერონტი პატარიძე, რომელმაც საპატიო ადგილი დაიკავა ცხინვალის ქართული თეატრის ისტორიაში, იოსებ ცხვირაშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი, ივანე დაბრუაშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი. უშანგი მინდიაშვილი, ჯემალ გოჩაშვილი – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ზაურ გასიევი ( ივანე ხელაძე) – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, რუსლან ოტიაშვილი – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ჰამლტ გოგიძე, ნელი ჯიოშვილი – სალამაძე, თენგიზ ხიდაშელი, ქეთევან დანელიშვილი, გიორგი ქრისტესიაშვილი, ციალა გიგაური, ალექსი დევიძე, თამაზ პურიჭამიაშვილი, დალი დოიჯაშვილი, ლელა მახნიაშვილი, მაკა გელაძე-ჩაჩუა და სხვები. ისინი ბევრნი არიან. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. სხვადასხვა

პერიოდში მოღვაწეობდნენ, ზოგი ადრე, ზოგი გვიან. ყველას ცხინვალის თეატრალური დასის წევრობა აერთიანებს. საინტერესოა მათთან შეხვედრა, მათთან საუბარი.

ზაზა თედიაშვილი ცხინვალის თეატრის დღევანდელი მმართველია. 1990 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა სახელოვან კოლექტივს. ამ დროს დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო მწვავედებოდა ქართველებსა და ოსებს შორის. ზაზა საქმიანი, ენერგიული, მტკიცე დასაყრდენია მთელი დასისათვის.

ვეცნობი თეიმურაზ იოსებაშვილს – მმართველის მოადგილეს, ნიკოლოზ მამისაშვილს – მთავარ ადმინისტრატორს და მზია კოპაძეს – ფინანსურ მენეჯერს.

ისინი საუბრობენ თეატრალურ ღირებულებებზე, მათ გავლილ გზაზე. იხსენებენ იმ დღეებს, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია. მათი თეატრი ხომ პირველი დევნილობის დროს გამოვიდა სამაჩაბლოდან. ეს მოხდა 1991 წლის დეკემბერში. იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო. თეატრს მხარში ამოუდგა საქართველოს კულტურის სამინისტრო, თეატრის მოღვაწეთა კავშირი და დახმარებაც აღმოუჩინეს.

თეატრი დღეს განთავსებულია ქ. თბილისში, ეროვნული მუსიკალური ცენტრის შენობაში (ყოფილი რკინიგზელთა სახლი), რომელიც ავარიულია, სარემონტოა. სცენაზე სპექტაკლების ჩატარება ვერ ხერხდება, მაგრამ დასი იმითაც კმაყოფილია, რომ არსებობა შეუძლია. პერიოდულად მათ სპექტაკლების დადგმა უწევთ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. გასვლითი ღონისძიებები აქვთ ბათუმში, გორში, კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. ყოფილა შემთხვევა, როცა თეატრს ღია ცის ქვეშ დაუდგამს წარმოდგენა. მაგალითად, დვანის საბავშვო ბაღის ეზოში მათ დად-

გეს სპექტაკლი „მატარებელი“ მოსახლეობისთვის. ასეთივე შემთხვევები ჰქონდათ ნიქოზში, დიცში, ერგნეთში. 2008 წლის 28 ივლისს კეხვში ითამაშეს ზეინაბ მეტრეველის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „საყდრის ჩიტები“. სამხედრო ტექნიკა დაეხმარათ, რომ მთელი თეატრალური დასი გადასულიყო წვერიახოს მთაზე.

ვუსმენ მათ და ვრწმუნდები მათ განსაკუთრებულობაში. როგორ არიან შეკრულნი, თავდადებულნი, მზად არიან ყველა სიტუაციას აუღონ ალღო, ოღონდ ითამაშონ, ოღონდ იარსებოს თეატრმა. ეს არის პატრიოტიზმისა და ოპტიმიზმის უდიდესი გამოხატულება დღევანდელ თეატრალურ ცხოვრებაში.

თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანია. ისინი, დღევანდელი თემატიკიდან გამომდინარე, ღირსეულად ამბობენ სათქმელს. რეპერტუარში აქვთ: ეთერ თედიაშვილის „ანტრაქტი“, ზეინაბ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“, ნუგზარ ლორთქიფანიძის „გუშინნინ, გუშინ, დღეს“, რაფიელ მამულაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“, გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, დავით კლდიაშვილის „აზნაურები“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყო“.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გორჩა კაპანაძე – სახელმწიფო და სანდრო ახმეტელის პრემიების ლაურეატი. იგი წერს: „ამ თეატრმა მრავალ ქართველებს გაუძლო ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე და ყოველთვის თავის სიტყვას ამბობდა სცენაზეც და იქაც, სადაც ქვეყანას სჭირდებოდა.“

მე ვეთნხმები მის ამალღებულ განწყობილებას. მეც მჯერა, კვლავ დაბრუნდება თეატრი სამაჩაბლოს მინაზე, კვლავ იმძლავრებს ქართული სიტყვა თეატრის სცენიდან. კვლავ იზეიმებს სამართლიანობა და კვლავ დაიძლევა იმედით უიმედობა.



## სიყვარული გადაგვარჩენს

ჩემი საფიქრალი მრავალთა საფიქრალის მსგავსია, რა გვემართება? ის, რაც წლების მანძილზე ბრძოლით შეგვინარჩუნებია, ის, რაც ჩვენდა სასახელოდ, ერის ტრადიციად დაგვიმკვიდრებია, ის რაც მისაბაძ მაგალითად გვქონდა და წინაპრებს სადიდებლად ძეგლებს ვუდგამდით, წიგნებს ვწერდით და სიმღერებს ვუძღვნიდით, საქილიკოდ გაგვიხდია, დავიწყებისათვის გაგვიმეტებია. სიახლის ვითომდა მაძიებლებს ერის ტრადიციები ამბიციებისთვის გვინაცვალებია. ეროვნულობისა და თვითმყოფადობისათვის ზურგი შეგვიქცევია. სულიერი ღირებულებებისათვის კარები ჩაგვირაზავს და ჩვენც კარგად ვერ გავრკვეულვართ, საით მივდივართ? უფლის სახარებისეული მცნებები ბევრს დავიწყებია და ერს უსიყვარულობის სატკივარი მოსძალებია.

ამ თემაზე მსჯელობენ, ნუხან, ფიქრობენ ღირსეული ადამიანები ოჯახურ ატმოსფეროში, შეხვედრების დროს, ზოგჯერ ტელევიზიითაც. ენთუზიასტები ცხოვრებაშიც იღებენ გადაწყვეტილებებს, ხანდახან წიგნიც ეძღვნება ამ საყოველთაო სატკივარს, მაგრამ საშველი არ ჩანს, გულგრილობისა და უსიყვარულობის უფსკრულისკენ მიექანება ქვეყანა. ჩვეულებრივი მოვლენაა საკუთარ შვილთა გაუცხოება, დევნილობის შეუჩერებლობა, საზღვარგარეთ ქართველი მოსახლეობის გადინება, მათი უკან დაბრუნების პრობლემა. განუწყვეტელი სტიქიური უბედურებები. თითქოს ყველა შენუხებულია ამ სანუხარით, მაგრამ გზა ხსნისა ჯერ კიდევ ვერ გვიპოვია. თუმცა მჯერა, ურთიერთსიყვარულია ჩვენი ერთადერთი გადამრჩენელი. სიყვარული ხომ აცოცხლებს და აკეთილშობილებს ჩვენს პლანეტას, კაცთა მოდგმას. იგი მოდის ციდან, მზის ნათელი სხივებიდან, თბილი წვიმებიდან, სააპრილო ქარებიდან, გამჭვირვალე ჰაერიდან, უთეთრესი ღრუბლებიდან, ვარსკვლავთა კაშკაშიდან. მოდის დედამიწის სიმწვანიდან, ნაზი ფურისულებიდან, იისფერი კორდებიდან, ფრთაქათქათა გვირილებიდან, მონყენილი დღეებიდან, თმაგაშლილი წნორებიდან, სევდიანი ფოთოლცვენნიდან, მოდის ჩვენი ღიმილიდან, საყვარელი თვალებიდან, შეყვარებულთა გულებიდან. ტაძრის მაღალი გუმბათიდან, ლოცვებიდან. თვით უფალი ხომ სიყვარულია. მის შეგრძნებას ჩვენეული განცდა ესაჭიროება, გულის კარების ფართოდ გაღება, სულიერი საუნჯის გამდიდრება და მიხვედრა იმისა, რომ სიყვარულით სავსეა მთელი სამყარო!

ფერისცვალების დღესასწაულის საუფლო ღამისთევა იყო. მოკრძალებით ვიდექი რუისის ფერისცვალების ტაძრის ერთ-

ერთ სვეტთან. „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვიწყალებს ჩვენ!“ ისმოდა უფლისადმი აღვლენილი ლოცვა და ვგრძნობდი როგორ ივსებოდა მთელი ტაძარი სიყვარულის უდიდესი ძალით, უდიდესი სათნოებით. თავზე საოცარი ნათელი მეღვრებოდა. თითქოს გალობდა ტაძარი. გალობის ხმა ცამდე აღწევდა. იმასაც ვგრძნობდი, უფალი სულ ახლოს, აქვე, ჩვენთან იყო და ჯვარს გვსახავდა. თუმცა კაცთა თვალისთვის შეუმჩნეველად. წირვას რუის-ურბნისის მიტროპოლიტი მეუფე იობი აღავლენდა და ტაძარი ერთი გულივით ფეთქავდა. ბევრი რამ მსმენოდა მისი ღვანლისა და კეთილშობილების შესახებ. ყველას გულში აღწევდა მეუფის ძლიერი, მტკიცე და სიყვარულით გაჯერებული ხმა. სინყნარე სუფევდა ტაძრის ირგვლივ. სანთლებით ელვარებდა სივრცე. ყველაფერი ბრწყინავდა სინათლითა და სისპეტაკით. თაბორის მთის სასწაული თითქოს მეორდებოდა. ქრისტეს ფერისცვალება, მისი თეთრი სამოსელი თითქოს ხილული ხდებოდა. მაგალობელთა გუნდის ხმა ზეციურ სამყაროში მიგვაქანებდა და უნებურად ვიმეორებდი: „უფალო შეგვიწყალებს!“ ამ დიდებულ სამეუფეო დღეს ტაძრის სიდიადეც შეეფერებოდა და ამშვენებდა. კედლებსა და სვეტებს ამკარად დასტყობოდა სიძველის ხიბლი. გამაოცა სამრეკლოს სრულყოფილებამ. მიახლოებისთანავე მუხლისმოყრა მენადა.

რუისი ქართლის უძველესი ისტორიული სოფელია. იგი მდიდარია სამონასტრო ძეგლებით. განსაკუთრებით კი ფერისცვალების (ღვთაების) ტაძარი გამოირჩევა. იგი შედგება საკუთრივ ტაძრის, სამრეკლოსა და გალავნისაგან. გადმოცემით ეს ტაძარი ვახტანგ გორგასალს აუგია. ეკლესიის უძველესი ფენა VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. X-XI საუკუნეებში

ტადარი გადაუკეთებიათ. სწორედ რუისის ტადარში აკურთხეს მეფედ დავით აღმაშენებლის მამა გიორგი II. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ეკლესიისათვის დიდ მზრუნველობას იჩენდა თამარ მეფის დედა – დედოფალი ბურდუხანი. ამ ტადარში, როგორც ადგილობრივები გადმოგვცემენ, მონათლულა დავით აღმაშენებელი.

საქართველოს ისტორიის ფურცლებზე წარუშლელი ასოებით არის შეტანილი 1103 წელს მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობა, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელდა. კრება გახდა სანყისი ეტაპი და მთავარი ძალა განახლების, აღდგენის, სამართლიანობის, საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ურთიერთშეთანხმებისა და ჰარმონიულობის მოგვარებისა! აი, რას წერს დავითის ისტორიკოსი: „უღირსთა და უწესოთა გამოღებით უფრო ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს“.



*რუისის  
შარისცვალების  
ტადარი*

რუის-ურბნისში დაწყებული მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც დიდი დავითი, გიორგი ჭყონდიდელი და კათალიკოსი იოანე ჩაუდგნენ სათავეში, ერის წინსვლას ესაჭიროებოდა, დრომ მისი აუცილებლობა თვალსაჩინო გახადა. ეს დიდებული მოღვაწენი ბჭობდნენ, მსჯელობდნენ ეკლესიის მორალურ-ეთიკურ აღორძინებასა და ერის ზნეობრივი სიმტკიცის საკითხებზე, ეს ისეთი რეფორმა იყო, რომელიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა შემდგომაც. ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. გადის წლები, საუკუნეები და ჩვენ მის გენიალურობაში უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ დროდადრო კვლავ იქმნება მსგავსი საშიშროება და მეტი ძალისხმევის გამოჩენა გვმართებს ჩვენს თავს დაუფსვათ კითხვა, ხომ არ დადგა დრო ახალი რეფორმების? ახალი ნაბიჯების გადადგმის?

რუისის საეკლესიო ცხოვრების მნიშვნელოვან ღირებულებებზე მეტყველებს ისიც, რომ აქ მოღვაწეობდა დიდი საეკლესიო პირი, მწერალი და ისტორიკოსი ლეონტი მროველი.

„დიდება ცათა შინა...“ ისმოდა ტაძარში და მრევლის გულისთქმა და გულისფეთქვა ცამდე აღწევდა. გალობდა ტაძარი და უფლისადმი ლოცვა მთელ საქართველოს ეფინებოდა. ეფინებოდა საზღვრის იქითა და აქეთა მხარეს. ისმენდა მონატრებულ ხმებს მარტოობას შერჩენილი სამოსახლოები. წლობით მომლოდინე ნასოფლარები. „უფალო შეგვიწყალენ...“ გულში, ვინ იცის, მერამდენედ ვიმეორებდი და ნათლად ვხედავდი ქვის ჯვარზე თავდახრილ ლეონტი მროველის აჩრდილს, საკუთარ მრევლზე მზრუნველს, ტაძრის სიღრმიდან დიდი დავითის სილუეტი მოჩანდა, ერის დიდი რეფორმატორი თითქოს რაღაცას გვკარნახობდა, ხოლო მაღალი გუმბათიდან უფალი ჯვარს სახავდა მთელ საქართველოს.

თითოეული ადამიანი საკუთარი მინის, საკუთარი ქვეყნის სიყვარულს თავისებურად დაატარებს. ზოგიერთის საქმიანობა საქვეყნოდ ცნობილი ხდება და მისაბაძ მაგალითადაც გამოდგება, მაგრამ ზოგიერთი სხვათათვის შეუმჩნევლად გამოხატავს, ასეთი პიროვნებები დიდ მოკრძალებასთან ერთად დიდ ღირსებასაც ფლობენ.

ყურძნის განსაკუთრებული ჯიშის მოყვანის გამო, პატარა კახეთად ცნობილ სოფელ ქალეთის მიმზიდველი სანახებიდან წამოსულთა შორის მყოფმა, დევნილი ახალგაზრდობის კოლორიტულმა ფიგურამ ბესო ნადირაძემ, იმ დროს თვითონ გაჭირვებულმა, მარიამ ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი საჩუქრად უძღვნა ქარელის ქალთა რაიონულ საბჭოს, დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის. ულამაზესი ღვთისმშობლის ხატი დღესაც ამშვენებს მის კედლებს და შვებას ფენს იქ მყოფ ადამიანებს.

ამ ადამიანის გულიდან უშურველად წამოსული ნათელი უამრავთა გამოხედვაში იხატება, რომლებზეც ღვთიური მადლი გადმოედინება. სწორედ ასეთი სიყვარული გადაგვარჩენს ერსაც და თაობებსაც. სიყვარულის მადლს კი ბევრი დაატარებს. სხვასაც უნანილებს და თვითონაც მდიდრდება მისი ყოვლისშემძლეობით.

რა აძლებინებს გლახკაცს დილიდან საღამომდე, წლიდან წლამდე თაკარა მზის ქვეშ, თუ არა მშობელი მინის სიყვარული? ბარავს, სხლავს, მკის, სარეველას ებრძვის, მინას ეფერება დამაშრული ხელებით და ესიყვარულება. ესმის მინის გულისფეთქვა. მინის სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს ჩვენი საყვარელი პატრიარქი ილია II. მინასთან სიახლოვეს ადამიანი თვითონ უნდა ეძებდესო – გვმოდვრავს იგი. თვით მი-

სი საქმიანობა მაგალითია საეკლესიო მოღვაწეთათვის, არა მარტო ღვანლში შესულებისათვის, არამედ ახალგაზრდობისათვისაც, რომლებიც აღადგენენ მიტოვებულ ტაძრებს და აგებენ ახლებს. განსაკუთრებით იქ ირჯებიან, სადაც რწმენის განმტკიცებაა საჭირო. სიყვარულსაც მრავლად იმკიან სიყვარულის წილ. გაცელებას ინვესს მათი მრავალმხრივი ცოდნა და ნაღვანი. საინტერესოა მაგალითად, ძამის ხეობაში მეუფე იობის ღვანლი და ახალგაზრდა მოძღვართა საქმიანობა. ისინი უჩუმრად, დიდი სიყვარულით ემსახურებიან საღვთო და საერო საქმეს. მათზე ის მშვენიერი 50-მდე ნამომართული ტაძარი მეტყველებს, ძამის ხეობას რომ ამშვენიებენ. ასეთი ადამიანების ნაღვანი სარკეა ერის სრულყოფილების.

საერო სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან უდიდეს ძალას წარმოადგენს მაშინ, თუ საღვთო სიყვარულით ჯვარწერილია.

არ დამავინყდება მახათას მთაზე ღვთისმშობლის ტაძრის საძირკვლის გაჭრა, როგორ დაიდრა ათასობით ადამიანი ამ დიდებული საქმისათვის. შემოგარენი მრევლს ძლივს იტევდა. ყველა მხრიდან მოემართებოდა დიდი თუ პატარა. და აინია ზეცისაკენ მახათას მთიდან ტაძრის კედლებმა ღვთის ძალით და ერის ძალისხმევით. როგორ შეიძლებოდა სიყვარულის გარეშე ასეთი დიდებული საქმის აღსრულება.

არიან ჩვენს გვერდით ადამიანები, რომლებიც სხვებისაგან განსაკუთრებული უბრალოებით გამოირჩევიან. ერის სამსახურში მალღდებიან, სიყვარულს იმკიან და მისაბაძ მაგალითად წარმოჩინდებიან. მათში სიყვარულის დიდი ენერგიაა დაგროვილი და გვერდით მყოფთ უნაწილებენ, ამით ბედნიერებას განიცდიან. ახალ-ახალ სიმაღლეებს აღწევენ და სხვათაც აბედნიერებენ.

ასეთია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი და მისი ლიდერი გოგი დოლიძე – სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ანთებული პიროვნება. უდიდესი პასუხისმგებლობით აღსავსე ქართველი. უამრავი ტრადიციული ღონისძიებების აღმდგენი და დამფუძნებელი. მახსენდება მარაბდის ძირძველ მინაზე ჩოხოსანთა მიერ აღდგენილი მარაბდობის დღესასწაულები. მთანმინდაზე ჩოხოსან რაინდთა ფიცის მიღება. დიდებული წინაპრების საფლავებთან მისვლა. მოზარდი ახალგაზრდობის ჩაბმა სამეცნიერო კონფერენციებში. ერის ღირსეული ადამიანების გახსენება. ზრუნვა და პატივისცემა ეროვნულისადმი.

არის თარიღები, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება, რადგან მუხის ძლიერი ტოტემივით შეზრდილია ერის არსებობის ისტორიაში. ერთ-ერთი ასეთი თარიღია 1625 წლის მირკანის (აპრილის) ოცდახუთი, წმინდა ღვთისმშობლის ხარების დღე, როდესაც მარტყოფის ველზე ყარჩიხა-ხანის 30 000-იანი ლაშქარი ქართველებმა გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით საბოლოოდ გაანადგურეს.

ამ ისტორიული მოვლენიდან ოთხი საუკუნის შემდეგ, 2015 წლის ხარების დღეს, 7 აპრილს, საფუძველი ჩაეყარა სოფლის ახალ დღესასწაულს – მარტყოფობას, რომლის დამკვიდრების ინიციატივაც ამავე სოფლის მკვიდრს, დამსახურებულ პედაგოგს სალომე ყველაშვილს ეკუთვნის.

მარტყოფის ველი სავსე იყო ხალხით. დროდადრო ცხენებზე ამხედრებული ახალგაზრდები აღმართ-დაღმართზე ჭენებით წარსულის სურათებს აცოცხლებდნენ. ზემოდან აპარნის წმინდა გიორგის სალოცავი გადმოჰყურებდა უღევარს. ერთ მხარეს სამგლეთხევი მოჩანდა, მეორე მხარეს – შვინდათხევი. საოცრად ამაღლებული განწყობა დაუფლებოდა

ყველას, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ფერეიდნელი მარტ-ყოფელების გამოჩენა იყო, რომლებიც ქართული მინა-წყლის მოსაფერებლად მშობლიურ სოფელში ჩამოსულიყვნენ.

ასეთმა უანგარო სიყვარულმა მოგვიტანა დღემდე სამშობლო, ასეთი თავდადებული ადამიანებით ამაყობს ქვეყანა.

არის აგრეთვე სიყვარული სულიერი ამაღლებისათვის. მარადიული, თაობებს რომ შემოუნახავთ და თაობებმა რომ უნდა გაიზიარონ. „შეხვედრები მწერალთა სახლში“ გადაცემას უძღვება შესანიშნავი პოეტი დავით მალრაძე. მასთან ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც სულიერი გზამკვლევათა სინათლისაკენ, სიმართლისაკენ, სიყვარულისაკენ მშობლიური ქვეყნის გადასარჩენად. ისინი ჰყვებიან საერთო სატკივარზე, ყველა რომ გულით დავატარებთ: საერთო გაუცხოებასა და უგულველყოფილ სამშობლოზე, მოძალებულ დევნილობასა და სულიერ სიცარიელეზე, წარსულის დავინწყებასა და ღირებულებების გაუ-



*მოსალისეები მდინარე ვერეს ხეობაში*

ფასურებაზე, გულგრილობაზე, უცხოურისაკენ ლტოლვაზე და საკუთარის უარყოფაზე, დიდ პოეზიაზე, დიდ ქართველებზე, კიდევ ბევრ რამეზე, რასც სიყვარულიც და უსიყვარულობაც ჰქვია. ერს კი მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს.

13 ივნისი, 2015 წელი. გამაოგნებელი რამ მოხდა ჩვენს საყვარელ დედაქალაქში. მდინერე ვერემ თითქმის გული ამოგვაცალა. მისმა მოულოდნელმა ადიდებამ უსაყვარლესი ადამიანები დაგვაკარგვინა. საშინელი დილა გათენდა. დანგრეული სახლ-კარი, დახოცილი ადამიანები, მიწასთან გასწორებული ნაგებობანი, შლამით ნაშლილი „მზიური“. დევნილობის ახალი ტალღა, სტიქიით გამოწვეული. უსაყვარლესი და ულამაზესი ზოოპარკის მოსპობა. უამრავი დახოცილი ცხოველი, საშიშროება მათ გამო თბილისის შემოგარენში. გლოვა მთელ საქართველოში და ცრემლად დაცლილი ჩვენი გულები.

და უცებ, ამ უბედურების ფონზე გაერთიანებული, მუშტად შეკრული საქართველო. ძალა ერთობისა. მოხდა გამაოგნებელი რამ. რამაც ყველას გული შეძრა – ქვეყანას პატრონი გამოუჩნდა, ჩვენი ულამაზესი, უნიჭიერესი, მშრომელი, გაგებუი, განათლებული, ღირსეული ახალგაზრდობის აღმოჩენა. სწორედ აქ, ხელებდაკაპინებული, შლამში ამოსვრილი, ქვეყნისა და ხალხის ქომაგი ახალგაზრდობა აღმოვაჩინეთ. შეგვენიე უფალო! ისინი გამოჩნდნენ მოულოდნელად, წვიმის ღვარცოფში, შეუდრეკელნი, შემძლენი, სიყვარულით სავსენი. გაჩნდა იმედი, შეუმცდარი იმედი ხვალის. თავისუფალ საქართველოში დაბადებული იმედი, ამიტომ ყველასგან განსხვავებული.

საუკუნეების ქარტახილებში კვლავ იწყება ერის ამაღლება. ყოველ დაღმართს ხომ აღმართი მოსდევს, ყოველ დაცემას – წამოდგომა.

## ვახაე ფიქრის კრიალოსანს

*ვახაე ფიქრის კრიალოსანს  
ბილიკ-ბილიკ, ჩერო-ჩერო,  
წამალს ვეძებ, დარდს რომ მოსრავს,  
ჭრილობა რომ გამიმრთელოს.*

ჩემი წიგნი დასასრულს მიუახლოვდა. მასში თქვენი დიდი ტკივილი და მონატრებაა თავშეფარებული. ჩემო ღისეულო, ჩემო გამძლე ერის შვილებო, თქვენ ისევ დევნილები გქვიათ. გასული წლის ზაფხულიდან, რაც თქვენ გაგიცანით, თქვენზე ფიქრი არ მშორდება. როცა მარტო ვრჩები, გესაუბრებით კიდევ, არცერთი არ მავინყდებით. თქვენი გაცნობით საოცარი სამყარო შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში: ჭირთმენის, გამძლეობის, გადარჩენის, არდავინყების, სიყვარულის გზების ძიების სამყარო და ამით გავმდიდრდი კიდევ. უდიდესი სიყვარულით ვწერდი თქვენზე. ძალიან მინდა მოგეწონოთ. ძალიან მინდა კიდევ შეგხვდეთ. ახლა უფრო სხვა თვალთ ვუყურებ თქვენ მიერ განვლილ უძნელეს გზას.

მე არ დამავინყდება თქვენი თანადგომა ჩემი პოეზიის მიმართ. მაშინ პირველი დევნილობა გქონდათ გამოვლილი. „ჩემი თეთრი გიტარა“ ჩემი ლექსების პირველი კრებულია, რომლის პირველი მკითხველებიც თქვენ იყავით. მინდა მოგვიანებით, მაგრამ ამისათვის დიდი მადლობა გადაგიხადოთ!

დღემდე არ მშორდება იმ დღეებზე საფიქრალი, რომელიც მთელმა საქართველომ გადაიტანა 2008 წლის აგვისტოში.

რუსეთ-საქართველოს ომმა მძიმე შედეგები მოგვიტანა. სა-

ქართველოს 20% მოძალადემ წაგვართვა. 100-ზე მეტი სოფელი მავთულხლართების იქით აღმოჩნდა. მცოცავი საზღვრის წყალობით თანდათან მატულობს. რატომ მოხდა ომი? ვინ დაინყო იგი? რა იყო ომის მთავარი მიზანი? ეს კითხვები ყველა ქართველის გულში ტრიალებს. ფიქრობენ, მსჯელობენ, ანალიზებენ. საკუთარ აზრს გამოხატავენ არა მარტო ექსპერტები, არამედ მოსახლეობაც, რომლებიც ყოველდღე ხედავდნენ, როგორ იძაბებოდა მდგომარეობა. მათ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა აქვთ, რადგან ჭრილობა ისევ ღიაა. ქართული გენოფონდის დიდი ნაწილი განადგურებულია. უამრავი ადამიანი დევნილადაა ქცეული. არცაა გასაკვირი, რომ ადამიანები პასუხს ითხოვდნენ დასმულ კითხვებზე. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, ნათქვამია. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. სიმართლის გზა კი ჯერ არ გამოჩენილა.

ბევრ ადამიანს შევხვდი და ვესაუბრე. საინტერესო იყო მათი მოსაზრებები. ისინი იხსენებდნენ ომის საშინელებებს, ჰყვებოდნენ გამოვლილ უბედურებაზე, დევნილობაზე და ბოლოს ყველას ვეკითხებოდი, როგორ ესმოდათ ომის დაწყების, მისი შეჩერების ან თავიდან აცილების გზები. ისინი გულწრფელად მიზიარებდნენ საკუთარ შეხედულებებს, მოსაზრებებს, დამაჯერებლად ადასტურებდნენ ნათქვამს. საინტერესოა ერთ-ერთი მათგანის აზრი:

– სამხედრო გზიდან დვანის მიმართულებით დაწყებული საავტომობილო გზის შეკეთება ჭიანჭურდებოდა. „შებენის“ გორაკები არწმუნებდა მოსახლეობას, რომ თითქოს ეს ყველაფერი აღნიშნული გზის მხოლოდ მოასფალტების წინაპირობა იყო და არა ომის. აგვისტოს დღეებში საბრძოლო ტექნიკამ, მართლაც, „მოასწორა“ გზის მონაკვეთი.

– თუ მართლა ომისთვის მზადება არ იყო – აზრს აგრძელებს ქალარაშერეული მამაკაცი – მაშ რას უნდა მივანეროთ თავზარდამცემი სროლის დანყება 7 აგვისტოს ღამეს, 11 საათსა და 30 წუთზე ცხინვალის მიმართულებით? ამის მომსწრენი ხომ ჩვენ თვითონ ვართ? რომელმა ექსპერტმა იცის ჩვენზე უკეთ? მე არ დამავინყდება ის სულისშემძვრელი წუთები. ყველაფერი ზუსტად მახსოვს, რადგან მოვლენების მსვლელობას დაძაბული ვადევნებდი თვალყურს. ინფორმაცია სწრაფად ვრცელდებოდა. ვგრძნობდი, როგორ მივექანებოდით უფსკრულისკენ.

ეს სროლები იქნებ აუწყებდა ჩვენს მოსახლეობას, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად არ მთავრდებოდა და ხელისუფლებას რალაც ფორმით უნდა ეპასუხა შემოტევისათვის, უნდა დაეცვა საკუთარი მოსახლეობა, თუ ამას დაცვა ერქვა? ძნელი სათქმელია.

საუბარში ახალგაზრდა მამაკაცი ერთვება, რომელსაც აშკარად ეტობა მღელვარება და სიფიცხე.

– საცეცხლე წერტილების ჩახშობა და ცხინვალის მიმართულებით ცეცხლის გახსნა იყო თუ არა ომის აუცილებლობის ერთადერთი გზა ჩვენგან? იქნებ ყველაფერი არ არის ჯერ კიდევ სამზეოზე გამოტანილი? იქნებ სჯეროდა ვინმეს, რომ საქართველოს სამხედრო ძლიერება გაუმკლავდებოდა რუსეთის აგრესიას? ან იქნებ ვინმეს აინტერესებდა, რა სამხედრო პოტენციალის მატარებელი იყო იმ დროისათვის საქართველო? მთავარი ის არის, რომ რეალურად ქვეყანა ვერ დაიცვეს.

კიდევ დიდხანს ვუსმენდი მამულიშვილური ფიქრებით შეწუხებულ თანამემამულეთ, რომლებიც ძალიან კარგად ერკვევიან მომხდარის არსში. აქ დასმული საკითხები და სხვა

მრავალიც გამოიწვია უცნობი ჯარისკაცების საფლავების მოძრავლებამ საქართველოში მაშინ, როცა 21-ე საუკუნეა და ეს არ უნდა ხდებოდეს. დევნილების საკუთარ სახლ-კარში დაბრუნების ნაცვლად დევნილთა ახალი ნაკადის მომძლავრება ამ პატარა ქვეყანაში წარმოუდგენელია. ამის შემდეგ უფრო მეტად მიყვარს ჩემი ტანჯული სამშობლო. მეტი სიცხადით ვხედავ პატარა ქვეყნის უმწეობას, რომელსაც შიგნით და გარეთ უამრავი მოშურნე ჰყავს. ყველაფრის გათვალისწინებით ეჭვი აღარ მეპარება იმაში, რომ საქართველოს იმდენად უჭერენ მხარს ესა თუ ის ძალები, რამდენადაც ეს მათ გამოადგებათ ახლო ან შორეულ მომავალში.

ეს განცდები, ეს გავლელი ტკივილი ჩემი ხალხის ხვალინდელ დღეს უკავშირდება. ხვალინდელი დღე კი მე ასე წარმომიდგენია: კვლავ დასახლებული და ახმიანებული სამაჩაბლოს სამოსახლოები, დოვლათითა და ბარაქით დამძიმებული მიწა, მონანიებითა და მონატრებით შერიგებული ოსი და ქართველი მოსახლეობა. სამეგობროდ განვდილი ხელით და სიყვარულით სავსე გულებით. სწორედ ამიტომ ეს ყველაფერი ერთ ნიგნად შეეკარი.

ნიგნზე მუშაობა 2014 წლის ზაფხულში დავიწყე, ომის დამთავრების მე-6 წლისთავზე. მე ვხვდებოდი ზაფხულის მცხუნვარე მზით გარუჯულ ადამიანებს შრომის დროს, მოუცლელობის ჟამს: ნვერში, დირბში, დვანში, კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში. ისინი ჰყვებოდნენ განცდით, გრძნობით, შეულამაზებლად იმ საშინელ დღეთა ქრონიკას. რომ არა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერა, მსხვერპლი განუზომელად დიდი იქნებოდა. უახლოეს სოფლებში უკვე დაწყებული იყო ძარცვა, მოსახლეობის მიერ სახლ-კარის

მიტოვება და ტყეში გახიზვნა. დარჩენილებს სიცოცხლის გადარჩენის გარდა არაფერი ახსოვდათ. სოფლების თავზე გაუნწყვეტლად ცვიოდა ჭურვები.

ქვეყნის ინტერესებისათვის თვალმადევარ მოსახლეობაში ბევრი გულშემატკივრული აზრი მოვისმინე.

გიორგის ყველა პატივს სცემს სოფელში. როცა საკუთარი აზრების გამზიურება უნევთ სოფლის ცენტრში მდგომ მამაკაცებს, გიორგის ნააზრევს ხშირად ეთანხმებიან. აი რას ფიქრობს იგი: „ქვეყნის მმართველობაში მთავრობის გადაწყვეტილებები და ეკლესიურობა ერთ სიმაღლეზე უნდა იყოს. სანამ ეს არ მოხდება, არაფერი არ გვეშველება.“

გადაშალეთ საქართველოს ისტორია, ოდითგანვე მებრძოლი ერი ვართ. ჩვენს თვითმყოფადობას ჩვენვე ვიცავდით. ვერც ახლა დავთმობთ, თუმცა დღეს XXI საუკუნეა და ამას ბრძოლით კი არა, სულ სხვა საშუალებებით უნდა აღწევდნენ. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის გააზრებული, მოგვარებადი უნდა იყოს ქვეყნებთან ურთიერთობები.“ – ამთავრებს გიორგი საკუთარ მოსაზრებას.

„ომთან დაკავშირებით, მე ჩემი აზრი მაქვს, – ამბობს ვახტანგი, – ომი იმიტომ მოხდა, რომ სხვა, ზესახელმწიფოს სურდა ჩვენი არმიის სიძლიერის გაგება. უკვე მიხვდა, რომ არ უღირს არმიის სიძლიერეს ხელი შეუწყოს. და კიდევ, ქართველ ერში სიყვარულისა და თანადგომის დეფიციტია. ომიც ამიტომ იყო გარდაუვალი.“

„ომი სურდა რუსეთს და კიდევ მიაღწია მიზანს, – ხაზგასმით ამტკიცებს ვანო, – მას ჩვენი ტერიტორიების მითვისება სურდა. არავინ იზრუნა ჩვენი გენოფონდის შენარჩუნებაზე, საკუთარმა მთავრობამაც თითქოს ერთგვარად გაგვიმეტა.“

გულში დაგუბებულ სათქმელს გზა მიეცა. აზრთა სხვადას-  
ხვაობამ გამაოცა.

ჩემო გონიერო ქართველებო, თქვენ ყველაზე კარგად  
იცით რაც დაგვემართა. გავა წლები და სიმართლე დაინერე-  
ბა. დღეს კი ყველას საწუხარი საერთოა, სამაჩაბლოს სოფ-  
ლები ტყვეობაშია, ნასოფლარებადაა ქცეული. გულისშემძვ-  
რელია ეს ყველაფერი. მთავარი იმ გზის მოძებნაა, რომელიც  
გამთლიანებისკენ წაგვიყვანს, ურთიერთპატივისცემასა და  
უფლის სიყვარულს შეგვაძლებინებს, დასახულს მიგვალწე-  
ვინებს და იმედით აგვავესებს. ოცნებას შეგვისრულებს.

*ყველა ბილიკს, გზას და შარას,  
დღეს რომ ნატკენ გულზე გადის,  
ხელი არსად შეეშალა,  
ღვთის ძალით და ღვთისვე მადლით.  
ეპიბინოს კორდს და ახოს,  
ეშრიალოს ჰურის ყანას,  
სამაჩაბლოს სამოსახლოს  
სიყვარულით გაეხარა.*



**გზა ცხინვალისკენ**

# საშაჩაბლო, ჩაბი ქალოლი



# მიყვარდი და მეყვარები

(ხალხურ მოტივზე)

მიყვარდი და მეყვარები  
პანტიანის ქარებო,  
ლიახვს ზემოთ, ლიახვს ქვემოთ  
გულის გასახარებო,  
მოდერილო გვირილებო,  
ყაყაჩოთა ხალებო,  
თავთუხებო, ხელუხლებო,  
ქალ-ვაჟების მგვანებო,  
კორდზე იის თოთო ცრემლო,  
ფრონისპირის ჭალებო!  
დაღვრემილო ახოებო,  
სევდიანო თვალებო,  
სამაჩაბლოს ბილიკებო,  
ფესვიძირძველო გვარებო,  
თოვლით ნაბურ მწვერვალამდე  
დაკეტილო კარებო,

აფრენილო  
ნატვრის ჩიტო,  
ნაცრემლო და ნალევო.  
მთებო, ძაძით შემოსილო,  
საფლავსაფიცარებო!  
აკვნებო და რიკულებო,  
ძველო სალოცავებო,  
დაჟანგულო გუთნეულო,  
დამარხულო კავებო.  
ნატკენ მკერდზე შემონნულო,  
ვაზის თბილო მკლავებო!  
დედამინავ! – დედაჩემო,  
ცაო, ლექსის ბნკარედო,  
როდის გნახავთ გახარებულს,  
ჩემო ნამეხარებო!

\* \* \*

ასე ლამაზად არსად თენდება,  
ასე ლამაზად არსად ღამდება,  
მაგრამ სადღაა სულისკვეთება,  
გულში ჩამდგარი სევდა ავდება.  
რაც დავიბადე, ასე დამყურებს  
კავკასიონის ქათქათა კალთა,  
მზე ეფინება მოწყენილ ყურეს  
დიდი ივანე მაჩაბლის კართან.  
უნდობმა ქარმა, მოხეტიალემ,  
რამდენი ვინმე დატოვა დარდთან,  
სამაჩაბლოდან დაძრულ ნიაღვრებს  
მივდევთ და მიწის სიყვარულს ვკარგავთ.  
ასე ლამაზად არსად თენდება,  
ასე ლამაზად არსად ღამდება,  
კმარა, დაბრუნდეს სულისკვეთება,  
ჭეშმარიტება დადგეს თავდებად!

# ვერ ერევას საფიქრალი

სადირბოდან ვეფერები  
შემოდგომის მღვრიე ფერებს,  
ლაშეებს და ნაკედლარებს,  
მინდვრებს, მწყერთა ასაფრენებს.  
მაჩაბლების სალოცავებს,  
ჩამოქცეულ ჭერს და ქვიტკირს  
და მნუხარე დედამინა  
რატომ მოსთქვამს, აღარ მიკვირს.  
ჩაკრეფილა ბარში ზვარი,  
აგვისტოს მზით ნაფიცხარი,  
აღარც ცაზე ცისარტყელა,  
არც სამრეკლო, არც საყდარი.  
არ შლის ფარჩას შემოდგომა,  
ამღვრევია ლიახვს წყალი,  
ნაცრისფერში იცრიცება,  
ფოთოლ-ფოთოლ ნეკერჩხალი.  
მონყენილი მივდევ ბილიკს,  
ვინ წამართვა საფიცარი?

მერამდენედ შემაჟროლებს,  
საზღვარია აქ, საზღვარი.  
სამაჩაბლო – ჩემი ქართლი,  
გაძარცული ნატვრისთვალი,  
და ზედ გულზე დასმულ სამანს  
ვერ ერევა საფიქრალი.



# ჩემთვის არა ხარ უბრალოდ მინა

აფრინდებიან ჩიტები გუნდად,  
შეატოვებენ ვაზს ბოლო ნამცვრევს,  
გადაუვლიან ხეითს და ქურთას,  
ლიახვს, ფრონისპირს, ქემერტს და ძარწემს.  
წვიმა დათქორავს სოფლებს ნახანძრალს,  
სასონარკვეთა შემიპყრობს იმ წამს,  
ო, დედამინავ! ჩემი ხმა ცას ძრავს,  
ჩემთვის არა ხარ, უბრალოდ, მინა!  
გუმბათოვანი ხარ სალოცავი,  
დაცემულო და აღმდგარო მკვდრეთით,  
გაყოფილ მკერდზე გადგას სამანი,  
ხარ სამაჩაბლო, ხარ აფხაზეთი.  
ხარ საინგილო, ტაო-კლარჯეთი,  
რწმენის საძირკველს ქვეყნად ვინ მოშლის,  
ღმერთო! აცხოვრე ყველა ქართველი  
გულგაუყოფელ საქართველოში.  
აფრინდებიან ჩიტები გუნდად,  
შეატოვებენ ვაზს ბოლო ნამცვრევს,  
გადაუვლიან ხეითს და ქურთას,  
ლიახვს, ფრონისპირს, ქემერტს და ძარწემს.

## გაგვასხენდებს რამდენი...

ქარმა ყვითელი ფოთლები  
აქეთ და იქით აგორა,  
ვერც დანდობით და მოთმენით,  
ვერც სიყვარულმა გვარგო რა.  
მთის ბილიკებზე გაკრულებს  
ლეშხი მოსდევდათ ნადენი,  
იქ გუდანაბადაკრულებს  
აქ კარს უღებდა ქართველი.  
რაც კი გაგვაჩნდა რამ გენში  
თავს შემოვავლეთ ასნილად,  
ვინც გამოვათბეთ ნუგეშში,  
ბოლოს იმანვე გაგვწირა.  
თურმე ვინ ვისთან რაინდობს,  
ვინ ვის ერთგული ეგონა,  
საფლავებიც არ დაინდო,  
აღარვინ შერჩა მეგობრად.  
გაგვასხენდება რამდენი  
ნანინად ნამღერ-ნარწევი,  
სად გაგვიფრინდა ის წლები,



ვით ფრთები ბაბუანვერის.  
ახლა ყორნისთან გზა-შარებს  
წვიმა გულდაგულ დაივლის,  
მერე დღე გადაამშრალებს  
მზის მობრიალე დაირით.  
აიკრიფება ცვარ-ნამი,  
ჩიტიც ბუდეს აქ იკეთებს,  
პატარა მდოგვის მარცვალი  
ისევ რომ იქცეს სიკეთედ.  
გადაიფრენენ კვლავ ერთად  
წერონი ისევ გუნდებად...  
უძღები შვილი მშობელთან  
შენდობისათვის ბრუნდება.

\* \* \*

მინდორი – ოქროსფერი თავთავით,  
ჰაერი – მირონით ნაზავი,  
ჩიტები – უეცრად დამფრთხალი  
და გადაკვეთილი საზღვარი.  
ოხვრად ამომსკდარი გულისთქმა,  
რაც იყო, რაც დარჩა, რაც არი,  
საზღაურ მაგ სიყვარულისა,  
თვალეებში შეყრილი ნაცარი.



\* \* \*

აგვისტოს ხვატი გდია ნახნაჲში,  
დროდადრო დიდ ფრთებს ყორნები შლიან,  
შავად მბზინავი მხრების თამაშით  
ზეცისკენ შავი ნალველი მიაქვთ.  
არსად მარცვალი თბილი მახობლის,  
ქარს წაუღია ყანების სევდა,  
უფალო, მიეც გზა თანადგომის  
ჩემს ჯვარზე გაკრულ ადგილის დედას!



# აკაცის სურნელით

აკაცის სურნელით იბანგება გზაშარა  
მატიტელამ ყვავილის მარგალიტი ჩაშალა,  
ფრინველები ახოებს მოაწყდება გუნდებად,  
მათი სტვენა-გალობა ექოებად ბრუნდება,  
ჩანწული ვარ ამ მთა-ველს ფესვად, ყლორტად, ფათალოდ,  
ფრონის ერთი წვეთი ვარ, სიცოცხლედ რომ მატაროს,  
თეთრი კავკასიონის მომლოდინე ნისლი ვარ,  
მესმის მიწის ძახილი, მისი მოთქმა, მისი ხმა.  
ვაშლის დიდი ბალები ასე არსად არ ხარობს,  
სამაჩაბლოს მიწიდან მოჩანს მთელი სამყარო,  
ყორნის ქრიან ქარები, თიღვა წვიმით სველდება,  
თრიალეთზე ინათლა, იმედი არ ბერდება,  
დუმან ნაეზოვები, დუმან ნავენახები,  
შეხიზვნიან გზისპირებს ერთნაირი სახლები,  
ბრუნავს ლურჯი ცარგვალი შორეული თალებით,  
სიყვარული სადღაა, გზად და ხიდად ნაგები?

# ჩქერში მზეა

ჩქერში მზეა, სიპებს უთვლელს  
ეფერება ფრონის წყალი,  
ღმერთო, ამგვარ ლამაზ ნუთებს  
კიდევ ბევრჯერ მომასწარი!  
მომასწარი ხეითს, ძარწემს  
დაუბრუნდეს გამრჯე ხელი,  
ბუხრის კვამლი ცას რომ ასწვდეს,  
კარს აღებდეს მასპინძელი.  
ყველა ბილიკს, გზას და შარას  
დღეს რომ ნატკენ გულზე გადის,  
ხელი არსად შეეშალა  
ღვთის ძალით და ღვთისვე მადლით.  
ეზიბინოს კორდს და ახოს,  
ეშრიალოს პურის ყანას,  
დიდ ლიახვის სამოსახლოს  
სიყვარულით გაეხარა.  
ჩქერში მზეა, სიპებს უთვლელს  
ეფერება ფრონის წყალი,  
ღმერთო, სათქმელს სანთელს ვუნთებ,  
რაც ვინატრე მომასწარი!

# სასაფლაოზე

ამოვაკითხე ჩემს მონყენილ სათუთ ზამბახებს,  
მოგონებებზე ფიქრი დავძარი...  
მივინყებული მონატრება თითქოს თვალს ახელს,  
აქ სიყვარულის მიდგას ტაძარი.  
დედამინიდან ზეცამდეა ცა გაკვალული,  
ჩამთავრებულა აქ უკვე რთველი,  
დაუფარავი აღარ რჩება, არც დაფარული,  
საუფლო სიტყვა ხდება მტვირთველი.  
ლიახვისა და ფრონისპირის გავხედავ სოფლებს,  
მინას ჩაკვრიან მათიტელები,  
დრო საზღვრისპირა საფლავების დარდთან მამყოფებს,  
იმ საფლავის ქვებს აქ ვეფერები.



# ათოვს

ათოვს უძველეს სასპასპეტოს, ათოვს თრიალეთს,  
საციციანოს, სამაჩაბლოს თოვლის ცა ბურავს,  
მთვარე ქათქათა ფანტელების სანთლებს მოანთებს  
და შეუმჩნევლად, ფიქრთა რთვაში გათენებულა.  
გადაუშლია სპეტაკ ფანტელს საზღვრის ნაშალი  
და დედამინა თითქოს ერთი გულიდან ფეთქავს,  
მოქრის ზეციდან გვირილის და შროშნის ლაშქარი,  
გაბოლილ მინას მონდომებით გვიღებავს თეთრად.



# ჩვიდმეცნი

(შინდისის გმირებს!)

მინდვრებს ადნება მზე – ცის ზედაშე,  
ათბობს დაკარგულ საზღვრის ნაწილებს,  
მუხლს ვუყერი რწმენას, სიმტკიცით ნაშენს,  
შინდისიდან რომ მზეს გააბრწყინებს.  
დგანან სახლები, თვალებდათხრილი,  
ლიანდაგი კი სადღაც გზას იკვლევს,  
შორიდან ისმის თქვენი ძახილი,  
საით მიდიხართ?! – ალბათ ზეცისკენ.  
გადარჩენისთვის მამაცი ერის  
ზარი ხომ ვინმემ უნდა დარეკოს?  
ასე ამალლდა თევდორე ბერი,  
ენირებოდა მამულს „შავლეგო“.  
ცეცხლი ეკიდა ქართლის მთა-გორებს  
და უკვდავებაც აქ დაგენიათ,  
იმ დიდ სიყვარულს ვერ დაგაშორეს,  
უფალივით რომ ერთადერთია.  
ცა სიცხისაგან გათანგულ მიწას,  
მიუალერსებს, ნამის მირონს სცხებს,  
ეგ თავგანწირვა დაგვრჩება ფიცად,  
რომ ამჯობინეთ ნაზრახ სიცოცხლეს!

ავვისტოს ცეცხლით დამწვარ სამშობლოს  
თავი მტრისათვის რომ დაეღწია,  
სულმოკლეობა? – ღმერთმა გაშოროთ,  
ერთად გესროლეს ჩვიდმეტი ტყვია!  
მზე ჩაესვენა ჩვიდმეტჯერ ციდან,  
წყარომ შეწყვიტა ჩვიდმეტჯერ ჩქერა,  
რწმენა ჩვიდმეტჯერ სიცოცხლეს ცდიდა,  
მაგრამ ერთხელაც ვერ შეაჩერა.  
ამაყი იყო ეგ შემართება,  
ახალგაზრდული, დაუდეგარი,  
კაცი მეორედ რომ იბადება,  
აინთება და ბოლოც ეგ არი!  
წუხს სამაჩაბლო, დუმს ეკლესია,  
ცა ჩამოძინდეს ისევ წვიმებმა,  
სენაკის მებრძოლთ რაც გითესიათ,  
ალარასოდეს გაინირება!  
გულისტკივილი რამ გამიმთელოს,  
გზა-გზა შემხმარი სამკალი ყრია,  
მკერდს ჩარჩენია მთელ საქართველოს  
შინდისს ნასროლი ჩვიდმეტი ტყვია.  
მოხვალთ სიმღერად, მოხვალთ ლექსებად,  
ვინ დაავინყოს ქართველს გმირები,  
რწმენის კედელი რწმენით იგება,

მოვლენ ბიჭები თქვენნაირები.  
თქვენი ღიმილით სიკვდილს ამარცხებთ,  
თქვენი ღიმილით არც ილუპებით,  
ახალგაზრდებს და ასე მამაცებს,  
მზე ხელთ გიპყრიათ თავისუფლების!



# რატომ მაძალებ

რატომ მაძალებ გულო, სიყვარულს  
მაშინ, როდესაც შვავად ჩამოდის უსახურობა,  
მანვიმს და მათოვს,  
რატომ მანონებ გულო სიყვარულს  
მაშინ, როდესაც ცა იბურება,  
გაუსაძლისი გზებია ფართო!  
მე ხომ იქიდან წამომიყვანეს  
იისფერკაბა, ჭრელთვალემა გაზაფხულებმა,  
დასაბამიდან სად მზისფრად ნათობს.  
რატომ მაძალებ გულო, სიყვარულს  
მაშინ, როდესაც ყველაზე ძვირფასს,  
ყველაზე ნანატრს თვითონვე არ თმობ!



# მე არ დავბერდები

*(ექლენება აფხაზეთის ომში დაღუპული ახალგაზრდის,  
გიორგი ხარაშვილის ხსოვნას)*

მე ვდუმვარ, როგორც დედამინა  
გადათელილი წვიმების მრეშით,  
და ვუძლებ, როგორც დედამინა  
გადაზამთრების მტკივან მოლოდინს,  
მერე იგივე მოლოდნი ცოცხლდება ჩემში  
და ქრელთვალეა გაზაფხული ჩემთანაც მოდის.  
იყო სიცოცხლით აღტაცება ახალგაზრდული,  
ხან მწუხარება დამყვებოდა,  
ხან კარნავალი,  
და როცა დადგა არჩევანი იმ ერთადერთის,  
მივხვდი, მამულის დაცვა იყო  
ჩემთვის მთავარი.  
იყო მთავარი ჩემი შვილის გადარჩენისთვის,  
იყო მთავარი სხვათა შვილთა  
გადარჩენისთვის,  
იყო მთავარი სიყვარულის  
გადარჩენისთვის,  
იყო მთავარი, რაც არსებობს  
დანარჩენისთვის.

ლურჯთვალა ია დედის ცრემლით  
გამალამაზებს,  
ალბათ ნუხილმა შეუვერცხლა  
მამასაც თმები...  
და ყველაფერი ოჯახური მყუდროებისთვის  
თქვენ დაგიტოვეთ და ამიტომ  
მე არ ვბერდები.  
ამ ზეციური სამყაროდან ისევ თქვენ გლოცავთ,  
ანმყოც, წარსულიც, მომავალიც  
ჩემში თავსდება,  
ღირდა უფლისგან გაცხადება, ამქვეყნად მოსვლა,  
ახალგაზრდული თავგანწირვაც და თავდადებაც.  
მე ვდუმვარ, როგორც დედამინა  
გადათელილი წვიმების მრეშით,  
მე ვუძლებ, როგორც დედამინა  
გადაზამთრების მტკივან მოლოდინს,  
მერე იგივე მოლოდინი ცოცხლდება ჩემში  
და ჭრელთვალეა გაზაფხული ჩემთანაც მოდის.  
მოდის და თქვენი ერთად ყოფნა ჰქვია სახელად,  
მოდის და თქმული სადღეგრძელო ჰქვია სახელად,  
არდავინწყება, სიყვარული ჰქვია სახელად,  
უპირველესის გადარჩენა ჰქვია სახელად.

ასე მძლავრობდა, მრავლდებოდა ოდითგან ერი...  
ასე მოვედით დღევანდლამდე  
ურყევი რწმენით,  
მოვედით შენით, სხვისით, მისით, ვიღაცით, ჩვენით,  
რადგან სამშობლოს სიყვარული  
მის შვილებს შევენით...



\* \* \*

მომენატრა მზით გამთბარი აივნები,  
ერთაინად თვალწინ ამიბრიალდა,  
თრიალეთზე ჩაფენილი მწიფე ზვრები,  
გზისპირებზე მოდებული ხვიარა.  
მოვვლე გზები, ყვავილებით დაფერილი,  
სიყვარულის სავსე იყო ფიალა,  
უმალ ვიგრძენ შენი თბილი ხელისგული,  
მზის ემბაზში იდგა ქართლი მთლიანად.



# გრასლოს თასი

ბინდი ეშვება ქედებზე ლურჯად,  
ქართლის მინდვრებზე ქარი არ ცხრება,  
დიდმა ტკივილმა მკერდს დაიუნჯა,  
ააცახცახეს გზები ცაცხვებმა.  
გათანგული მაქვს მკერდი საზღვართ,   
უფლის ცრემლია მზე რომ ცვარს აშრობს,  
გამკორდებია ყანა და ზვარი,  
სამაჩაბლოს ცავ, რა შორს ხარ, რა შორს...  
სად დაგვეკარგა გრაალის თასი,  
სიმაღლე ერის, სახმილი მძლეთა,  
დიდი დავითის – დიდი მოყვასის  
სიბრძნე, სიუხვე, მედგრობა – ერთად.  
მოვძებნოთ ქვეყნის ყველა კუნჭულში,  
არ დავიშუროთ ძალი და გონი,  
ყველა გულფიცხში, ყველა მორჭმულში,  
შევძრათ მინაც და ცის კაბადონიც.  
მე მჯერა ჩემი ლექსის ბნკარშია,  
ვიღაცის ფუნჯში ფერებად ლღვება,  
გლახის მოუღლე მხნეობაშია,  
ვაზის ლერწმია, ჟღერს სიმღერებად.

დიდ ლიახვშია, დედა მტკვარშია,  
ენგურის ჩქერალს ჩამოჰყოლია,  
აფხაზეთშია, ხევსურეთშია,  
ყველა ქართველის გულის ტოლია.  
ერთ განუყოფელ სამებაშია,  
მაგრამ დაშლილი ნაწილ-ნაწილად,  
ერის ძალა ხომ ერთობაშია,  
ქართველმა იცის თავის განწირვაც.  
მონაპოვარი სივრცეს დადაღავს,  
სიზიფეს ლოდის ესეც გზა არის,  
ერის სინმინდე ავწიოთ მაღლა,  
კვლავ დავიბრუნოთ ჩვენი გრაალი...



# ჩა მაცირებდა

დირბთან და ბრეთთან,  
ფრონისპირებთან,  
ყაყაჩოებო,  
რა მაცირებდა?!  
კაბა წითელი  
ისე გშვენოდათ,  
ხალი გიშრისა  
ისე ღვიოდა,  
გული მტკიოდა...  
დირბთან და ბრეთთან,  
ფრონისპირებთან,  
ყაყაჩოებო,  
რა მაცირებდა?!



# ჰაჰა ესცაწე

გამწყრალი ქარი წკეპლავდა მინას,  
სტკიოდა მინდორს გამშრალი ყელი,  
ველზე თაკარა ივნისი იწვა,  
ტკივილების და დარდების მშლელი.  
მიტოვებული ბორგავდა ხნული,  
ბელტში სიხარულს აღარ ეძინა,  
არ ჰყავდა მინას მისი ერთგული,  
აღარ დარდობდნენ მასზე მეტწილად.  
და წარმომიდგა თეთრი თმა-წვერით,  
დათავთავებულ მახობლის პურით,  
გუთნისდედა და ტკბილი ქართველი,  
ჰაჰა ესტატე დაღონებული.  
ახსოვდა სოფელს ხმა გუთნისდედის,  
დიდ ლამპარს ჰგავდა მისი ნათელი,  
საგზლად ატარა სიმდიდრე ერთი, –  
შეუბლალავი კაცის სახელი.  
მინას მდუმარედ თბილ ხელს ართმევდა,  
ერთგულ მეგობარს დარდს უქარვებდა,  
მზის ქვეშ დაღლილი ივნისი თვლემდა,  
მზე ასულიყო ზეცის დაღებთან.  
მოხრილ, დაშაშრულ ოლეს ხეს ჰგავდა,

მზის და სიცოცხლის მუდმივ მადევარს,  
სიკეთედ გვექმნას სადირბოს თავთან  
პაპა ესტატეს გამოცხადება.



# ფრონის ჰაქარა წყალო

სადირბოს სანახებიდან,  
შემომხვდი ფრონის წყალო,  
ცხოვრების დოლაბს შებმიხარ,  
წლებისგან ნალეს-ნალოკს!  
მოანთებ ატმის კელაპტრებს,  
ფერებად ქცეულ ტკივილს,  
ღამეს მიიკვლევ, ანანთებს  
მთვარის ქათქათა ტივით.  
ხან დაუმცხრალი ზენა ქრის  
და ვერ ისრულებ წადილს,  
დაუბარავი ვენახის  
ლოდივით განწევს დარდი!  
მოგაქვს ჭირთმენის მარხილი,  
კაცივით ებმი სამკალს,  
ჭალიანს შენი ძახილით  
ალამაზებ და სარკავ!  
გასაკვაღავო ადვილად,  
ზვარსა და მეზვრეს წამლობ,  
ზედ გულზე რად გადამდიხარ,  
ფრონის პატარა წყალო?!

# მეგობარს

ლილის!

უფრო ვერშესაღევი,  
უფრო ღრმა და ლამაზი,  
დამხვდი იმავ სინმინდით,  
იგივ გაუბზარავი.  
მონატრებულ ღამეებს  
ნატვრის მძივად ავისხამ,  
კვლავ სიყვარულს მასწავლი,  
ძალას მადლევ ხვალისას.  
ღამის დაგვათენდება  
ნათმენით და ნატკენით,  
რამდენი ვერ გითხარი,  
რამდენია სათქმელი.  
სანატრელი რამდენ ხანს  
სიხარულად გამყვება,  
რაღაც ძალზე ფაქიზი  
გააღვივებს ნაღვერდალს!  
უფრო ვერშესაღევი,  
უფრო ღრმა და ლამაზი  
დამხვდი იმავ სინმინდით  
იგივ გაუბზარავი.

\* \* \*

სადაც ვდგავარ,  
სიყვარულის სანთელს ვანთებ,  
ჭირთა თმენის  
ძალაც შემწევს, შემართებაც,  
გავჩნდი ჰანგად,  
სასიმღეროდ შენ მომმართე,  
შენ თუ დამცემ,  
მტრისგან არა დამაკლდება!  
სადაც ვიწვი,  
იქვე უნდა დავიფერფლო,  
ტანჯვის საგზალს  
დაგბრუნებ ნება-ნება,  
როცა ნავალ,  
იცოდე, რომ ჩემო კარგო  
შენნაირად აღარავინ მეყვარება!

# სამაჩანტოს დილოყებზე

\* \* \*

ჩაშლილა ჭერი, მინდვია ქარებს,  
პატრონი სადღაც კი ეგულება  
და ესიზმრება ახალშენს, ქალეთს,  
დაფანტულ შვილთა შინ დაბრუნება.

\* \* \*

ქარს გაუღია კარები,  
დარდს შერჩენია სახლ-კარი,  
ხელიხელსაგოგმანები,  
უქმად იყრება სამკალი.

\* \* \*

ფიქრით, სინანულშემორჩვეულით,  
ორიათას რვას ვუმზერ,  
კედლის ნაშალი – ჩამოქცეული,  
თითქოს მაყრია გულზე.

\* \* \*

მთვარეს გავყურებ მეც უბრად,  
სამყაროს სუნთქვას მეც ვისმენ,  
ძმა ძმასთან მივა საუბრად,  
გულს გადავუშლი მეც ვისმე.  
გაღღვება მთანი ყინულის,  
ვადიდებ ღამეს განათევს,  
მინდვრებს ავნევის და ნულის  
ყაყაჩოც გადაანათებს.

\* \* \*

ვაბამ ფიქრის კრიალოსანს  
ბილიკ-ბილიკ, ჩერო-ჩერო,  
წამალს ვეძებ, დარდს რომ მოსრავს,  
ჭრილობა რომ გამიმთელოს.

\* \* \*

დიდი ალვის ხე შრიალებს მზეზე,  
დაცხრილულ ტოტებს ითბობს...  
დამიზნებული ტყვია სოფელზე  
ჩემთვის უსვრიათ თითქოს.

\* \* \*

აშარი ქარი, აყვია,  
შლის ფოთლიანის ფარჩას,  
ვის ქვა და ლოდი აყრია,  
ვინ მის გარეშე დარჩა.  
რომელ უმადლოს უთხრია  
სამარის მძიმე ბჭენი,  
ადრეულ გაჭრილს, თუ გვიანს,  
სიდარბაისლე შვენის.  
წინაპრის ლოდიც აღარ თმობს,  
თითქოს ჩამესმის ფიცად,  
აქ ვრჩები, რადგან კვლავ გვათბობს,  
ჩვენი მშობელი მიწა.

\* \* \*

ნაღველს მაინც ველარ მაღავს მასპინძელი,  
აქ ურთიერთსიყვარულით ყველა თბება,  
ენატრებათ მიწა, ზეცა, სახლის ქერი,  
უფრო მეტად საფლავები ენატრებათ.

\* \* \*

მუხათგვერდს მძიმედ იღება კარი,  
ტკივილის ზიდვაც გვიჭირს,  
ნუ დავლონდებით, საძმო საფლავი  
სიამაყეა მინის!

\* \* \*

სასაფლავოს ქვაც, ვით სამლოცველო,  
დაარბიეს და მიაგდეს ნახნავს,  
მკვდარს – უპატრონოდ, ტკივილს – უცრემლოდ  
ქართულ მინაზე მრავალგან ნახავთ.

\* \* \*

უფალო, მადლი მოუვლინე დაცლილ ახოებს,  
მარადიული სიყვარული ვით სახლობს შენში,  
მიეც იმედი ჭერდაკარგულ სამოსახლოებს,  
ნაკონინები, შეგროვილი, ნათბობი პეშვით.

## ბოლოთქვა

ძალიან გამიჭირდა წიგნის დასრულება, თქვენთან დამშვიდობება. ბოლო სიტყვის თქმა. ბევრი რამ დამრჩა სათქმელი. თითოეული თქვენგანი ამ წიგნის ნაწილია. თქვენი გავლილი გზები ხომ ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ყველას გეკუთვნით ის ტკივილი, ის სიყვარული, ის მონატრება, რაც მის ფურცლებზე უხვადაა თავმოყრილი. გეკუთვნით ცხინვალის, ზნაურის, დიდი და პატარა ლიახვის, ახალგორის რაიონის თითოეულ დევნილ მოსახლეს. აქ ყველა თავის თავს შეიცნობს, თავის ახლობელს, თავის მეზობელს, თავის გულშემატკივარს შეხვდება. პატიებას გთხოვთ იმის გამო, რომ ყველასთან მოსვლა ვერ შევძელი.

მინდა ეს წიგნი ერთგვარ ძეგლად დარჩეს თაობებს, თქვენისთანა გამბედავი, ძლიერი, გმირი, სიყვარულით სავსე ადამიანებისაგან, რომლებსაც საკუთარი მხრებით მოგაქვთ ქვეყნის სიძლიერისა და ერთგულების უშრეტი ენერჯია.

ვიცი თქვენ შორის არიან კიდეც უფრო ძლიერი პიროვნებები, თქვენი რჩეულები, რომლებსაც მიჰყვებით და გჯერათ მათი, ისინი სიყვარულითა და რწმენის სიმტკიცით მაგალითს გაძლევენ, დევნილობის უძნელეს გზას გიკვალავენ.

მადლობა ასეთ ადამიანებს.

ჩემს ნაშრომს გზა პირველმა ვასილ (ვასიკო) მამულიშვილმა დაულოცა. იგი არის ქალაქ გორისა და ახალციხის უნივერსიტეტების ლექტორი, სამეცნიერო ნაშრომების ავტორი, ჟურნალისტი, ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მადლობა მას უდიდესი მხარდაჭერისთვის.

მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქ თბილისის მერიასა და თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ გულიკო ზუმბაძეს თანადგომისათვის.

მადლობა ქარელის რაიონის გამგეობის დევნილთა სამსახურის ყოფილ, ამჟამად ქალთა რაიონული საბჭოს ხელმძღვანელობას უდიდესი დახმარებისათვის, მხარში დგომისათვის.

მადლობა ჩემგან თითოეულ თქვენგანს: თანამოაზრეს, თანამოზიარეს, მეგზურს, სიტყვის ნამშველებელს, ვინც თითო აგური დადო იმ ლამაზი, თვალშეუდგამი შენობის ასაშენებლად, რომელსაც ერის გამთლიანება, ქვეყნისთვის თავდადება და უფლის სიყვარული ჰქვია სახელად და რომელთა შთაგონებითაც ეს წიგნი დაიწერა.

*ავტორი*

## სარჩევი

ციდან იმედი ჩამოაქვთ წვიმებს .....	6
ომის ექო .....	11
მინის ძახილი .....	16
სიყვარულით სავსე გზებზე .....	36
პირველი დევნილები .....	40
ქარელი – ქართლის მტკიცე საყრდენი .....	52
სტუმრად შერეული ოჯახის წევრებთან .....	60
ამაღლებიდან ამაღლებამდე .....	62
ფიქრები სამაჩაბლოზე .....	69
უფლის მადლით კურთხეულ მიწაზე .....	73
საზღვარი კავკასიონზე .....	80
„მეზობელო კარისაო...“ .....	87
დგომა საზღვართან .....	97
გორი – ქართლის უძველესი სამკვიდრო .....	99
სიცოცხლის გზა .....	109
ჯერ მხოლოდ სიზმრებით – სამაჩაბლოში .....	116
გადარჩენილი რწმენა ხვალისა .....	122
სტუმრად ვერხვების დასახლებაში .....	127
ცხრა საუნჯე, ცხრა წყარო... ..	130
სამშობლოსა და პოეზიის მუზის ერთგული .....	135
დიდი და პატარა ლიახვი .....	137
ომი და ბავშვები .....	140
აფხაზეთო, ჩემო! .....	142
შინდისის გმირები .....	152
ლეკვი ლომისა სწორია... ..	157
ყურნალისტის არჩევანი და ღირსება .....	166
დაკარგული თავისუფლება და დაკარგული სამშობლო ....	172

იმედით ძლეული უიმედობა .....	181
სიყვარული გადაგვარჩენს .....	190
ვაბამ ფიქრის კრიალოსანს .....	200

## **სამაჩაბლო, ჩემი ქართლი**

მიყვარდი და მეყვარები.....	207
ვერ ერევა საფიქრალი .....	210
ჩემთვის არა ხარ უბრალოდ მიწა .....	212
გაგვახსენდება რამდენი.....	213
აკაციის სურნელით.....	217
ჩქერში მზეა.....	218
სასაფლაოზე .....	219
ათოვს.....	220
ჩვიდმეტნი .....	221
რატომ მაძალებ .....	224
მე არ დავბერდები .....	225
გრაალის თასი.....	229
რა მატირებდა .....	231
პაპა ესტატე.....	232
ფრონის პატარა წყალო .....	234
მეგობარს.....	235
რწმენავ და სიმაღლე.....	236
სამაჩაბლოს ბილიკებზე .....	237
ბოლოთქმა .....	241

ფოტოები:

ია თინიკაშვილი (გვ. 12, 15, 68, 75, 86, 97, 103, 140, 152, 156, 167, 190)

ჯემალ კასრაძე (გვ. 18, 19, 33, 71, 79, 88, 100)



## დალი მაზმიშვილი

პოეტი, ფილოლოგი, ისტორიკოსი.

დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ დირბში, მოსამსახურის ოჯახში. ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში. წლების მანძილზე იგი მუშაობდა ქარელის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდო-

ბის დანესებულების დირექტორად. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა 44 წელს ითვლის. დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლით.

დალი მაზმიშვილის ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. გამოქვეყნებული აქვს ლირიკული ლექსების ნიგნები: „ჩემი თეთრი გიტარა“, „ჩემი ტაო-კლარჯეთი“ და საბავშვო ლექსების კრებული „ნათლულების ქვეყანა“.

*უერთმანეთოდ ორივეს გვიჭირს,  
უფსკრულის პირი მზეზე პრიალებს,  
უფალო! მოგვეც შენდობის ნიჭი,  
სიყვარულს ნულარ დავაგვიანებთ!*

ISBN 978-9941-0-6432-0



9 789941 064329